2021 - 2025

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021 წლის სამოქმედო გეგმის

წლიური ანგარიში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის

2021 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

© ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

თებერვალი, 2022 წელი

აბრევიატურა

CIDA	სამოქალაქო განვითარების სააგენტო
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
ECA	აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი
EN	ევროპული სტანდარტი
ETF	ევროპული განათლების ფონდი
GCNG	გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი
GIA	გენდერული გავლენის შეფასება
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია
GRB	გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PPD	საჯარო-კერძო დიალოგი
Responsible Business Conduct (RBC)	ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევა
Regulatory Impact Assessment (RIA)	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
R&D	კვლევა და განვითარება
SBA	მცირე ბიზნესის აქტი
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNEP	გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა
UN Women	გაეროს ქალთა ორგანიზაცია
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WEPs	ქალთა გაძლიერების პრინციპები

სარჩევი

აბრევიატურა 3
მოკლე შეჯამება 6
შესავალი 15
ზოგადი პროგრესი 21
დეტალური პროგრესი 22
პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება 40
ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით 40
ამოცანა 1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა 44
ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება 47
ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა 49
ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა 55
ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა 61
ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება 65
ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება 66
პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა 71
ამოცანა 2.1. შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა 72
ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება 74
ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრენინგების გზით 76
ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება 78
ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება 82
ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია 87
ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა 92
პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 94
ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება 94
ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება 103
ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება 105
ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება 108
ამოცანა 3.5. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა 109
ამოცანა 3.6. „Venture Capital" (VC) და „business angels" ეკოსისტემის შემდგომი განვითარება 111
პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა 113
ამოცანა 4.1. საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა 114
ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება 118

ამოცანა 4.3. ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთაშორისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით 120
ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება 123
პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა 124
ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება 126
ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა 128
ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა 129
ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება 131
ამოცანა 5.5 მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება 134
ამოცანა 5.6. კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება 135
პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა 137
ამოცანა 6.1. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების" (WEPs) პოპულარიზაცია 139
ამოცანა 6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში 142
ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება 147
ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება 151
ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის 152
პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 156
ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება 157
ამოცანა 7.2. ეკო-ინოვაციის მიდგომის პოპულარიზაცია 159
ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება 160
ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება 161
ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება 161
ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება 164
რისკები და გამოწვევები 170

მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის მიერ, 2021 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით.

სტრატეგიის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის შედეგად 2025 წლისთვის მისაღწევი **სამიზნე მაჩვენებლებია** [1] (საბაზისო წელი - 2019წ.):

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების ზრდა **20%-ით**;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა **10%-ით;**
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა **20%-ით.**

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგიის 7 პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს 42 ამოცანას და 84 ამოცანის შედეგის ინდიკატორს. თავის მხრივ, სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმა, 7 პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, ითვალისწინებს 42 ამოცანას და 94 აქტივობას.

პირველი პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწას მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) სისტემის განვითარება, მათ შორის, RIA SME ტესტის ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა RIA SME ტესტის სახელმძღვანელო ბიზნესის რეგულაციებისთვის, განხორციელდა ცნობიერების ამაღლება RIA SME ტესტის შესახებ, ჩატარდა ტრენინგები მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით.

[1] აღნიშნული სამიზნე მაჩვენებლების შეფასება შესაძლებელი იქნება საქსტატის მიერ მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის გათვალისწინებით, 2022 წლის მარტში.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში, უზრუნველყოფილია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსების მდგრადობა. ამასთან, განხორციელდა სააგენტოების „აწარმოე საქართველოში", „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა ტრენინგები. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის არსებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისა და გავლენის შეფასების მიზნით, სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ შემუშავდა გავლენის შეფასების ჩარჩო, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ინდუსტრიული კომპონენტისა და ექსპორტის მხარდაჭერის აქტივობების გავლენის შეფასება.

მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით, საქსტატმა გააფართოვა საწარმოთა კვლევის არეალი, მათ შორის, მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის ინდექსაციის თვალსაზრისით. აღნიშნული ინდექსების გასაანგარიშებლად შემუშავებული იქნა შესაბამისი მეთოდოლოგია.

კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ „საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ", საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე, ჩაატარა საქმეთა მოკვლევა, მოამზადა დასკვნები და გასცა რეკომენდაციები. ამასთან, კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, კერძო სექტორის წარმომადგენელების ცნობიერების ამაღლებისთვის მიზნით, ჩატარდა სემინარები.

აქტიურად მიმდინარეობს ქვეყანაში დავების გადაწყვეტის მიუკერძოებელი და სანდო ალტერნატიული მექანიზმების განვითარების პროცესი. განხორციელდა საარბიტრაჟო დავების და მედიაციის პროცესის ადმინისტრირება. ჩატარდა სემინარები და შეხვედრები დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით. ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ განხილული იქნა საკანონმდებლო აქტების პროექტები და მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები. ბიზნესომბუდსმენის აპარატში საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების მიზნით ამუშავდა ცხელი ხაზი. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებ-გვერდზე განთავსდა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროექტების და პროგრამების შესახებ ერთიანი ინფორმაცია ელექტრონული სერვისების შესახებ.

ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე განხორციელდა ახალი სერვისების ინტეგრაცია, ასევე განხორციელდა აქტივობები სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებ-გვერდის გაუმჯობესებისთვის, შემოსავლების სამსახურის მიერ სერვისებთან დაკავშირებით მომზადდა მომხმარებლის ელექტრონული სახელმძღვანელოები, იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელდა აქტივობები გადახდისუუნარობის

პრაქტიკოსების შერჩევისა და მათი ერთიან რეესტრში შეყვანისთვის აუცილებელი საკანონმდებლო და ლოგისტიკური ბაზის შექმნის მიმართულებით.

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები, DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით, გაიმართა სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის გაფართოებული სხდომა. DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისა და შენიშვნებისთვის განთავსდა dcfta.gov.ge-ზე.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარდა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორების შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. კვლევის შედეგად განხორციელდა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე როგორც არსებული მოთხოვნის, ასევე სამომავლო განზრახვის შესწავლა და შესაბამისად, გაანალიზდა ამ სექტორებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, დასაქმების ცვლილების და არსებული სამუშაო ძალის ახლით ჩანაცვლების საჭიროებების ასპექტები. ასევე, მომზადდა „საქართველოს შრომის ბაზრის წლიური ანალიზი - 2021". ანგარიშში წარმოდგენილი იქნა საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა, ასევე, დასკვნები და რეკომენდაციები.

უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, ასევე, განხორციელდა ტრენინგები სხვადასხვა სექტორის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მეწარმე-სუბიექტებისათვის გაიმართა ტრენინგები სხვადასხვა თემატიკის მიმართულებით. ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ცენტრებში განხორციელდა თემატური ტრენინგები, ასევე, ბენეფიციარებს საშუალება მიეცათ დასწრებოდნენ ონლაინ ტრენინგებს.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების 2021-2025 წწ. სტრატეგიის პროექტი. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მიზნით,

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის მოდელის პილოტირება, პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგა დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში" შექმნილია და ფუნქციონირებს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა (WorkNet). სისტემაში დარეგისტრირდა და ინდივიდუალური კონსულტირება გაეწია სამუშაოს მაძიებლებს. მონაცემთა მართვის, დაცვისა და კიბერუსაფრთხოების თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის შემდგომი განვითარება.

შრომის ბაზრის ტენდენციებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ფუნქციონირებს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა (lmis.gov.ge). განხორციელდა აქტივობები მისი შემდგომი განვითარების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს ახალი ფუნქციონალების დამატებასა და საზოგადოების ფართო აუდიტორიისათვის ციფრობრივი ინფორმაციის აღქმადობის გაუმჯობესებას, მათ შორის შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების „გაციფრულებას".

დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით, პიროვნული განვითარების მიზნით, განხორციელდა შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება. ჩატარდა დასაქმების ფორუმები, რომლის ფარგლებშიც დასაქმდნენ სამუშაოს მაძიებლები. ვაკანსიების მონიტორინგის მიზნით შემუშავდა დამსაქმებლების გამოკითხვისა და ვაკანსიების მონიტორინგის სახელმძღვანელო. სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამები.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში აქტიურად ხორციელდება ქვეყანაში ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა. GCNG-ს ორგანიზებით და სსიპ „აწარმოე საქართველოს" ჩართულობით გაიმართა „კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოს კონკურსი 2021" და გამოიცა პუბლიკაცია, რომელიც აერთიანებს პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის მაგალითებს საქართველოში.

საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების განხორციელების მიზნით, მსოფლიო ბანკთან დაწყებული „Log-in Georgia" პროექტის ფარგლებში, რომელიც შეეხება მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობას, დაიწყო ციფრული უნარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. აღნიშნული

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება, შეიქმნა ახალი პროდუქტები. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში, განხორციელდა შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, „აგროდაზღვევის პროგრამის" ფარგლებში დაზღვეული იქნა 20 ათასამდე ჰა. მიწის ფართობი, განხორციელდა თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობის პროგრამა, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, დაფინანსდა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვა.

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში" 2021 წელს დანერგა 3 ახალი პროგრამა: „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი", ბიზნეს უნივერსალი და სპორტული ობიექტებისა და საბავშვო ბაღების ხელშეწყობის მექანიზმი. განახლდა 2 პროგრამა: საკრედიტო-საგარანტიო სქემა (მ.შ. გაფართოვდა პროგრამის სამიზნე ეკონომიკური სექტორების ჩამონათვალი) და სარესტორნო ინდუსტრიის ხელშეწყობის პროგრამა (მ.შ. გაიზარდა პროგრამის განხორციელების ვადა). პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში განხორციელდა სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა 435 ხელშეკრულება. საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში გაიცა სესხების გარანტიები და დამტკიცდა 235 პროექტი, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, რეგიონებში სამეწარმეო აქტივობის მხარდაჭერის მიზნით, 689 ბენეფიციარზე გაიცა გრანტები.

ბიზნესისთვის დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების შეთავაზების მიზნით, შემუშავდა ლიზინგის ბაზრის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ასევე, შემუშავდა ფაქტორინგის მარეგულირებელი ჩარჩო. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა ტრენინგები მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის. ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პორტალის საშუალებით განხორციელდა მეწარმეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო მასალების გაზიარება. ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების დონის პირველი კვლევა საქართველოში, რომელიც დაფუძნებული იყო OECD/INFE მეთოდოლოგიაზე.

გირავნობის საგნის გაფართოების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მიწის რეგისტრაციის რეფორმა. ამასთან, სისტემური რეგისტრაციის საკომუნიკაციო სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა კომპლექსური საინფორმაციო კამპანია. მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა „ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების" პროექტი.

მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდის მიზნით განხორციელდა საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგების წესთან და კანონთან შესაბამისობის დადგენა და ანგარიშგებების გასაჯაროება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელდა აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

ქვეყანაში ალტერნატიულ ფინანსებზე წვდომის მექანიზმების წახალისების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი აქტივობები და მიმდინარე ეტაპზეა პირველი ვენჩურული ფონდის შექმნის პროცესი საქართველოში. დაფინანსდა ინოვაციური სტარტაპები.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, მეწარმეებს ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწიათ ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე. პალატამ ორგანიზება გაუწია ბიზნეს ფორუმის ჩატარებას საქართველოსა და საზღვარგარეთ, უზრუნველყო საზღვარგარეთ დაგეგმილი საერთაშორისო გამოფენების შესახებ მეწარმეთა ინფორმირება და ქართველ მეწარმეთა მონაწილეობა აღნიშნულ გამოფენებზე.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ იდენტიფიცირებული იქნა საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტები, როგორიცაა, შესაფუთი მასალები და ფარმაცევტული პროდუქცია.

განხორციელდა DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ჩატარდა შეხვედრები და მოეწყო ტრენინგები DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე. სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს რეგიონებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლებთან განხორციელდა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით. სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ, ექსპორტის სასერთიფიკატო კურსის ფარგლებში განხორციელდა ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსი. ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სტანდარტად მიღებული იქნა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები. საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონურმა განყოფილებამ დაიწყო დაკალიბრების ახალი სერვისის შეთავაზება.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განხორციელდა ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, ინოვაციური სტარტაპების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის, ინოვაციური პროდუქტების განვითარებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მცირე გრანტების,

სტარტაპებისთვის თანადაფინანსების გრანტების და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების გაცემა. ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ელექტრონული კომერციის საკითხებსა და სხვადასხვა ციფრულ სერვისთან დაკავშირებით. „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის" ფარგლებში გადამზადდნენ IT სპეციალისტები, რეგიონებში ინოვაციების მხარდაჭერისა და რეგიონული ეკონომიკის გაძლიერების მიზნით, დაიწო 2 ახალი საგრანტო პროგრამა,

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიზარდა ინტერნეტ ქსელებით დაფარული პუნქტების რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდში დასრულდა ინტერნეტ ქსელის მშენებლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს აქტივობები მსოფლიო ბანკის პროექტის „Log-in Georgia" ფარგლებში, გატარდა ღონისძიებები ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მიზნით და იდენტიფიცირებულია კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე ტექნოლოგიები.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდა ღონისძიებები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, მათ შორის, მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები „ქალთა გაძლიერების პრინციპების" (WEPs) პოპულარიზაციის მიზნით, ჩატარდა ტრენინგები ქალი მეწარმეებისთვის ელექტრონული კომერციის საკითხებთან დაკავშირებით. გაიმართა ღონისძიება „დარეკე ზარი გენდერული თანასწორობისთვის", რომლის თემას წარმოადგენდა პანდემიის გავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. ჩატარდა შეხვედრები ქალი მეწარმეებისთვის სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო მხარდამჭერ ინსტრუმენტებში გენდერული მიდგომების ინტეგრირების კუთხით, კერძოდ, გაუმჯობესდა სახელმწიფო პროგრამებში გენდერული სტატისტიკის წარმოება, გენდერული ასპექტების გათვალისწინება და პროგრამების გენდერულ ჭრილში შეფასება. ამასთან, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალ მეწარმეთა პრიორიტეტიზაცია, რის შედეგადაც პროგრამაში ქალ ბენეფიციართა რიცხვმა 50%-ს მიაღწია.

შეიქმნა რეგიონალური მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტრუმენტის - ე.წ. „ბიზნეს ჰაბის" კონცეფცია (Growth Hubs), რომელიც რეგიონებში ქალ მეწარმეთა აქტივობის ზრდისა და მათი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მნიშვნელოვანი მექანიზმია.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ განხორციელდა ღონისძიებები ინოვაციებში ქალთა ჩართულობის წახალისების მიზნით. კერძოდ, ქალ

ბენეფიციარებზე გაიცა მცირე გრანტები, ასევე, თანადაფინანსების გრანტები და დამტკიცდა „გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა 2020-2022", ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები.

დამტკიცდა საქსტატის გენდერული სტატისტიკის პირველი სტრატეგია 2021-2023 წლებისთვის.

განხორციელდა შესაბამის უწყებათა თანამშრომლების უნარ-ჩვევების გაძლიერება გენდერთან დაკავშირებული საკითხებისა და გენდერული გავლენის შეფასების მიმართულებით.

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, შემუშავდა მწვანე ზრდის კონცეფცია, რომელსაც დაეფუძნება მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია. „ეკოინოვაციური მიდგომების პოპულარიზაცია საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში" პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციას. ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით ჩატარდა საინფორმაციო სესიები. აქტიურად მიმდინარეობს ღონისძიებები კომპანიებში ეკოინოვაციური მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, დამტკიცდა საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია 2020-2030 და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა. განხორციელდა აქტივობები ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, კერძოდ, მოეწყო საგანმანათლებლო და საფეხმავლო ბილიკები, შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები. ნარჩენების მართვის სფეროში კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და სტანდარტების შესახებ ბიზნესის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა „გარემოსდაცვითი მმართველის" სასწავლო კურსები. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდა ტრენინგები. „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში" პროგრამის ფარგლებში გადამზადდნენ მასწავლებლები, გარემოს დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და განათლების გაუმჯობესების მიზნით, მიზნობრივი ჯგუფებისთვის მოეწყო კონფერენციები, სემინარები და ტრენინგები სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხზე,

დამტკიცდა საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ", რომლის მიზანია გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენცია და მიყენებული ზიანის ანაზღაურება „დამბინძურებელი იხდის" პრინციპის შესაბამისად. საზოგადოების ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიქმნა პუბლიკაციები, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის შესახებ მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი.

მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი, შემუშავდა სახელმძღვანელო ეკომარკირების შესახებ და გაიმართა ტრენინგი „ეკომარკირების მექანიზმები საქართველოში". ჩატარდა მწვანე ეკონომიკის ელექტრონული სასწავლო კურსი.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია **7 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულების** ფარგლებში ითვალისწინებს **7 გავლენის ინდიკატორს,**[2] **42 ამოცანას** და **84 ამოცანის შედეგის ინდიკატორს**, რომლის ფარგლებშიც წარმატებით განხორციელდა 2021 წლისთვის განსაზღვრული ინდიკატორები, გარდა ერთი ინდიკატორისა.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით და 2021 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული, შვიდივე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში გათვალისწინებული 94 აქტივობიდან **85 აქტივობა განხორციელდა სრულად, 6 აქტივობა შესრულდა მეტწილად, 1 აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ და 2 აქტივობა არ შესრულდა.**

რაც შეეხება 2 აქტივობას, რომელიც ვერ შესრულდა 2021 წელს, შეუსრულებლობის მიზეზს და ამასთან, გამოწვევას წარმოადგენდა პანდემია და პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები. კერძოდ, აღნიშნული განაპირობა, როგორც პანდემიის გამო დისტანციურმა მუშაობამ, ასევე ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, რამაც საანგარიშო წელს ტრენინგებზე მიწოდება და მოთხოვნა შეამცირა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის ფარგლებში, ასევე, დამტკიცებული იქნა შემდგომი, 2022 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც, 7 პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, ითვალისწინებს 42 ამოცანას და 97 აქტივობას.

[2] 1-ელი, მე-3 და მე-4 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორების შეფასება შესაძლებელი იქნება საქსტატის მიერ მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად; მე-2 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორისა, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) განხორციელების შესაბამისად 2022 წლის მე-2 კვარტალში, ხოლო მე-5 და მე-7 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორების შეფასება შესაძლებელი იქნება OECD-ის მიერ SBA SME Policy index კვლევის ჩატარების და გამოქვეყნების შესაბამისად.

შესავალი

საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში ქვეყნის რიგით მეორე სტრატეგიულ დოკუმენტს. სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის უმთავრეს პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“.

საქართველოს მთავრობის მთავარ პრიორიტეტს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება წარმოადგენს. ეკონომიკის სისტემური გაჯანსაღების პოლიტიკა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაძლიერების თვალსაზრისით.

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა ეფუძნება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც ეკონომიკურ პროგრესს, სოციალურ კეთილდღეობას და სამუშაო ადგილების გენერირებას კერძო სექტორი განაპირობებს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნაზე, ბიზნეს სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობაზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასა და შედეგად, მათი მდგრადი განვითარების მყარი საფუძვლების შექმნაზე.

საქართველოს მთავრობის მიერ, 2021 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის 10-ვე პრინციპთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით.

2025 წლისთვის სტრატეგიით განისაზღვრა სამიზნე მაჩვენებლები (საბაზისო წელი - 2019 წ):

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების ზრდა 20%-ით;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 10%-ით;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა 20%-ით.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია მოიცავს 7 ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას:

- ✓ **პრიორიტეტი 1.** საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
- ✓ **პრიორიტეტი 2.** მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

- ✓ **პრიორიტეტი 3:** ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ✓ **პრიორიტეტი 4:** მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- ✓ **პრიორიტეტი 5:** ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
- ✓ **პრიორიტეტი 6:** ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ **პრიორიტეტი 7:** მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმა, ზემოაღნიშნული 7 პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, ითვალისწინებს 42 ამოცანას და 94 აქტივობას. 2021 წელს, აღნიშნული 94 აქტივობიდან 85 აქტივობა განხორციელდა სრულად, 6 აქტივობა შესრულდა მეტწილად, 1 აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ და 2 აქტივობა არ შესრულდა.

დიაგრამა 1. 2021 წლისთვის აქტივობების შესრულება



ასევე აღსანიშნავია, რომ 2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ 94 აქტივობაზე, ჯამში, 22 პასუხისმგებელი უწყება განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია უწყებები და თითოეული უწყების მიერ 2021 წლისთვის განსაზღვრული აქტივობების რაოდენობა.

დიაგრამა 2. პასუხისმგებელი უწყებები და აქტივობები



სტრატეგიის თანახმად, საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში წარმოდგენილი ამოცანების შედეგების მიღწევის და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პროგრესის დადგენის მიზნით, განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის რეგულარული მონიტორინგი.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს, რომელიც მომზადებულია მაკოორდინირებელი ორგანოს - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

✓ ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

აღსანიშნავია, რომ 2019 წლამდე ეკონომიკური განვითარების დადებითი ტენდენციების შედეგად, 2019 წელს, ბოლო 7 წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია და 5% შეადგინა. თუმცა, 2020 წელს დაწყებულმა კორონავირუსის პანდემიამ რთული გამოწვევების და მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დააყენა გლობალურად მსოფლიო, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკა, გამოავლინა მნიშვნელოვანი გამოწვევები, თუმცა გამოწვევებთან ერთად, შექმნა განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები.

2020 წელს მკვეთრად გაუარესებული ეკონომიკური პარამეტრების ფონზე, 2021 წელი საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ტენდენციებით დაიწყო. თუმცა, 2021 წლის დასაწყისში ეკონომიკის აღდგენის მიმართულებით გადადგმულმა ეფექტიანმა ნაბიჯებმა, შედეგად, გაზრდილმა ეკონომიკურმა აქტივობამ და პოზიტიური მოლოდინების გაჩენამ, ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში დადებითი დინამიკის საფუძვლები შექმნა და შედეგად, 2021 წელს, ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა ორნიშნა მაჩვენებელს - **10.6%-ს** გაუტოლდა.

ერთ-ერთი მიმართულება, რომელშიც ეკონომიკაში არსებული დადებითი დინამიკის პარალელურად მკვეთრად პოზიტიური ტენდენციები აღინიშნა, საგარეო ვაჭრობაა. კერძოდ, 2021 წლის წინასწარი მონაცემებით, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, 25.6%-ით გაიზარდა და 14.3 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, ექსპორტი 26.9%-ით გაიზარდა და ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მაღალ ნიშნულს 4.2 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია. აღსანიშნავია, ასევე, ადგილობრივი ექსპორტის მიმართულებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. კერძოდ, 2021 წელს, ადგილობრივი ექსპორტის მაჩვენებელი 2020 წელთან შედარებით თითქმის 30%-ით გაიზარდა და 3,1 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის, ექსპორტის და ადგილობრივი ექსპორტის 2021 წლის მონაცემები აღემატება არა მხოლოდ 2020 წლის, არამედ პანდემიამდე არსებულ მაჩვენებლებსაც.

2021 წელს, მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობამ 135.5 ათასი შეადგინა, მათ შორის, საშუალო ზომის საწარმოების წილი - 1.4%, ხოლო მცირე ზომის მოქმედ საწარმოთა წილი 98.3%-ია. ამასთან, მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა 2020 წლის მონაცემს 6%-ით, ხოლო პანდემიამდელ 2019 წელს 5.5%-ით აჭარბებს. აღსანიშნავია, რომ როგორც მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა, ასევე, მათ შორის, მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა 2015 წელთან შედარებით 50%-ით არის გაზრდილი (2015 წელს 90,4 ათასი მოქმედი საწარმო, მათ შორის, 90,0 ათასი მცირე და საშუალო საწარმო).

2021 წელს (3 კვარტლის მონაცემებით) ბიზნესსექტორის გამოშვებამ 38,5 მილიარდი ლარი შეადგენა, რაც 23.7%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს, ხოლო 2019 წლის მონაცემს - 14.9%-ით.

✓ 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები

2015 წლის დეკემბერში, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტის წევრებმა, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე, მიიღეს ღია მმართველობის ერთობლივი დეკლარაცია 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ. მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტს „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის" 193 წევრი ქვეყანა მიუერთდა. დღის წესრიგი აერთიანებს 17 მიზანს, 169 ამოცანას და მოიცავს მდგრადი განვითარების სამივე მიმართულებას, როგორიცაა სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი.

2030 წლის დღის წესრიგი ერთადერთი გლობალური დღის წესრიგია, რომლის შესრულებაშიც ყველა ქვეყანა თანაბრად ერთვება და იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას გამჭვირვალობის, ჩართულობის, ანგარიშვალდებულების გაზრდის და ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე. 2030 წლის დღის წესრიგი მთავარი მიზანია „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა".

2030 წლის დღის წესრიგი ეფუძნება 5 ძირითად პრინციპს, რომელიც არის სახელმძღვანელო ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.

- ✓ **უნივერსალურობა:** მდგრადი განვითარების მიზნები ერთნაირად ეხება დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს;
- ✓ **ინტეგრირებული მიდგომა:** მდგრადი განვითარების (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი) სამი განზომილების დარეგულირება განზომილებებს შორის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთობების გათვალისწინებით;
- ✓ **პასუხისმგებლობის განაწილება:** ყველა მოთამაშემ – მთავრობებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ, კერძო სექტორმა, სამეცნიერო წრეებმა – საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით უნდა გაითავისოს პასუხისმგებლობა მიზნების შესრულებაზე;
- ✓ **არავინ დარჩეს პროცესის მიღმა:** 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებისას ყურადღება უნდა დაეთმოს ნაკლებად პრივილეგირებულ, მარგინალიზებულ ჯგუფებს;

- ✓ **ანგარიშვალდებულება/მონიტორინგი და შეფასება:** განხორციელების მიმდინარეობა უნდა იყოს შეფასებადი და შესაძლებელი უნდა იყოს პროცესისგან სწავლა, რათა შემუშავებული პოლიტიკა ეფექტიანი იყოს.

საქართველომ გაეროს მდგრადი განვითარების 2030 წლის მიზნები (SDG) ქვეყნის პრიორიტეტად გამოაცხადა და მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად, საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, შეიმუშავა გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ეროვნული დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს, 2030 წლის დღის წესრიგიდან გამომდინარე, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით შემუშავებულ მდგრადი განვითარების მიზნებს, გლობალურ და ეროვნულ ამოცანებსა და ინდიკატორებს, საბაზისო მონაცემებს და მონაცემთა წყაროებს. **საქართველოს ნაციონალიზებული აქვს 17 მიზანი, 94 ამოცანა და 202 სამიზნე ინდიკატორი.**

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 7-ვე ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება კავშირშია მდგრადი განვითარების შესაბამის მიზნებთან.

ზოგადი პროგრესი

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგია 7 პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს **42 ამოცანას** და **84 ამოცანის შედეგის ინდიკატორს,** რომლის ფარგლებშიც წარმატებით განხორციელდა 2021 წლისთვის განსაზღვრული ინდიკატორები, გარდა ერთი ინდიკატორისა.

სტრატეგიის შვიდივე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება **დადებითი ტენდენციით** ხასიათდება. კერძოდ, **94 აქტივობებიდან 85 აქტივობა** შესრულდა სრულად, **6 აქტივობა** შესრულად მეტწილად, **1 აქტივობა** შესრულდა ნაწილობრივ და **2 აქტივობა** არ შესრულდა. მათ შორის:

პირველი პრიორიტეტული მიმართულება - გათვალისწინებული **24 აქტივობიდან:**

შესრულდა 100%-ით → **22 აქტივობა**

შესრულდა ნაწილობრივ → **1 აქტივობა**

არ შესრულდა → **1 აქტივობა**

მეორე პრიორიტეტული მიმართულება - გათვალისწინებული **16 აქტივობიდან:**

შესრულდა 100%-ით → **15 აქტივობა**

შესრულდა მეტწილად → **1 აქტივობა**

მესამე პრიორიტეტული მიმართულება - გათვალისწინებული **22 აქტივობიდან:**

შესრულდა 100%-ით → **21 აქტივობა**

არ შესრულდა → **1 აქტივობა**

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება - გათვალისწინებული **9 აქტივობიდან:**

შესრულდა 100%-ით → **8 აქტივობა**

შესრულდა მეტწილად → **1 აქტივობა**

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება - გათვალისწინებული **8 აქტივობიდან:**

შესრულდა 100%-ით → **5 აქტივობა**

შესრულდა მეტწილად → **3 აქტივობა**

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება - გათვალისწინებულია **10 აქტივობიდან:**

შესრულდა 100%-ით → **9 აქტივობა**

შესრულდა მეტწილად → **1 აქტივობა**

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება - გათვალისწინებულია **5 აქტივობიდან**

შესრულდა 100%-ით → **5 აქტივობა**

დეტალური პროგრესი

პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება					
ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.1.1	OECD „SME Policy Index" კვლევაში „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო" კომპონენტის ქულა				
1.1.2	კანონმდებლობის ცვლილებისას ხორციელდება RIA SME ტესტი				
1.1.3	საბაჟო კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და საბაჟო პროცედურები გამარტივებულია[3]				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.1.1	„RIA SME ტესტის" კონცეფციის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1.1.2	„RIA SME ტესტის" შესახებ ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 1.2: მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.2.1	გადამზადებული იმ პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ადასტურებს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში გამოიყენებს				
1.2.2	მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსება				
1.2.3	შერჩეული სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების განხორციელება				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.2.1	სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლერება/დატრენინგება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში"
1.2.2	სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლერება / დატრენინგება	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"
1.2.3	ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება/ დატრენინგება	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

[3] შენიშვნა: 1.1.3. ამოცანის შედეგის ინდიკატორი ხორციელდება პოზიტიური ტენდენციით, სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

					მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
1.2.4	სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების ჩარჩოს შემუშავება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.3.1	მიმართულების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო მეწარმეობის დეტალური სტატისტიკა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	
1.3.1	მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლების წარმოება	განხორციელდა	100%		საქსტატი
ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.4.1	კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდა				
1.4.2.	ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაზე				
1.4.3.	კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.4.1	„კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე საქმეთა მოკვლევის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
1.4.2	კერძო სექტორისთვის (ბიზნესი, საკონსულტაციო კომპანიები, ადვოკატთა ასოციაცია), კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
1.4.3	სააგენტოს მიერ სხვადასხვა სახის წარმოების ჩატარების ფარგლებში (საქმის მოკვლევა, ბაზრის მონიტორინგი, კონცენტრაციების შესახებ შეტყობინების განხილვა და ა.შ.) რეკომენდაციის გაცემა	განხორციელდა	100%		საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.5.1.	არბიტრაჟის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად				
1.5.2.	მედიაციის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად				
1.5.3.	ბიზნეს ომბუდსმენისადმი მომართვების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**

1.5.1	საარბიტრაჟო დავები და მედიაციის პროცესის ადმინისტრირების განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
1.5.2	დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით, საარბიტრაჟო დავებზე ონლაინ სემინარების / ვორქშოფების ჩატარება; შეხვედრები ბიზნეს სექტორთან; საერთაშორისო კონფერენციის გამართვა	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
1.5.3	არბიტრაჟთან მიმართებით საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებები პრაქტიკოსი იურისტებისთვის	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
1.5.5	მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან თბილისში და რეგიონებში საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრები	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
1.5.6	ბიზნესომბუდსმენის აპარატში ბიზნესებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ხაზის ფუნქციონირება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
1.5.7	დავის ალტერნატიული მექანიზმების (მედიაციის) შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
1.5.8	მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოს კანონმდებლობის ზეგავლენის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი

ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი
1.6.1.	მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა my.gov.ge-ზე
1.6.2.	მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომელთაც ელექტრონული სერვისი მიიჩნიეს 1) სასარგებლოდ, 2) მარტივად მოსახმარად
1.6.3.	მომხმარებლის მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა მთლიან განცხადებებში

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
1.6.1	ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) მოხმარების შესახებ მეწარმე სუბიექტების დატრენინგება	არ დაწყებულა	0%		სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო”
1.6.2	სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებ-გვერდის გაუმჯობესებისთვის აქტივობების განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
1.6.3	სერვისების გამოყენების ვიდეო გიდების და მომხმარებლის სახელმძღვანელოს მომზადება	განხორციელდა	100%		სსიპ „შემოსავლების სამსახური”

ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება					
N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი				
1.7.1.	გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში ლიკვიდაციის ნაცვლად საწარმოს რეაბილიტაციით დასრულებულ გადახდისუუნარობის საქმეთა წილი				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.7.1	გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების შერჩევა და მათი ერთიან რეესტრში შეყვანისთვის აუცილებელი საკანონმდებლო და ლოგისტიკური ბაზის შექმნა	განხორციელდა	100%		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება					
N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი				
1.8.1	კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა				
1.8.2	სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების რაოდენობა				
1.8.3	DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისთვის განთავსებულია dcfta.gov.ge-ზე				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.8.1	კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1.8.2	DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით, სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების ჩატარება	ნაწილობრივ შესრულდა	50%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1.8.3	DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების პროექტების კომენტარებისთვის dcfta.gov.ge-ზე განთავსება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

ამოცანა 2.1 შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი				
2.1.1.	შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია/განხილვის რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.1.3	შრომის ბაზრის წლიური ანალიზის მომზადება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.2.1.	ჩატარებული ტრენინგების/შეხვედრების რაოდენობა წლიურად				
2.2.2.	ტრენინგების / შეხვედრების მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გაუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან შესაბამისობის ხარისხი				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.2.1	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირების მიზნით, შეხვედრების ჩატარება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრეინინგების გზით					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.3.1.	დატრენინგებულ მეწარმეთა პროცენტული წილი, რომლებიც თვლიან, რომ ტრენინგის განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.3.2	ტრენინგები შრომის კანონმდებლობის, საგადასახადო საკითხების, უძრავი ქონების საკუთრების, კონკურენციის სამართლის და სხვა საკითხების შესახებ	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
2.3.3	სსიპ "ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" რეგიონალურ ინოვაციურ ცენტრებში ტექნოლოგიურ უნარებთან მიმართებით ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"
ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.4.1.	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ-ები) რაოდენობა, სადაც დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია				
2.4.2.	მოკლევადიანი პროფესიული მომზადება - გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა				
2.4.3.	დანერგილი დუალური მიდგომის პროფესიული პროგრამების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.4.1.	განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის	მეტწილად შესრულდა	60%		საქართველოს განათლებისა და

	განვითარების 2021-2025 წწ სტრატეგიის განვითარება და დანერგვის დაწყება				მეცნიერების სამინისტრო
2.4.2.	დუალური მიდგომით პროფესიული პროგრამების განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2.4.3	მეწარმეობრივი კულტურის კონცეფციის პილოტირება	განხორციელდა	100%		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2.4.5	სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის შექმნა	განხორციელდა	100%		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2.4.7	პროფესიულ განათლებაში ზრდასრულთა სწავლების მასშტაბის გაზრდის მიზნით, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.5.1.	სერვისების მიმღებთა რაოდენობა				
2.5.2.	სერვისების მიმღებთა რაოდენობა, რომელიც დასაქმდება				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.5.1	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის აქტივობები: შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება; შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა; საშუამავლო მომსახურება; მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობა (შრომის ანაზღაურების სუბსიდირება); დასაქმების ფორუმების მოწყობა; ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ; სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება; სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
2.5.2	სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

	ამაღლების სახელმწიფო პროგრამის აქტივობები:ა) პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებება; საკვანძო კომპეტენციების განვითარება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება(სტაჟირება)				დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.6.1.	დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა				
2.6.2	შემუშავებული ESG სახელმძღვანელო				
2.6.3.	დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები დაეხმარება RBC / ESG პრინციპების იმპლემენტაციაში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.6.1	კომპანიების და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენელებისთვის კორპორაციული მდგრადობის სხვადასხვა თემატურ მიმართულებაზე ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
2.6.2	პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის მიმართულებით საუკეთესო მაგალითების ყოველწლიური პუბლიკაციის შექმნა	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
2.6.3	მთავრობის წარმომადგენლების გადამზადება კორპორაციული მდგრადობის აკადემიაში ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის თემატური მიმართულებებით	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
2.6.5	ESG სახელმძღვანელოს შესახებ ცნობიერების ამაღლება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან საინფორმაციო სესიების საშუალებით	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.7.1.	ციფრული წიგნიერების (მათ შორის ციფრული უნარების) ხელშემწობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.7.1	დასახლებებში მოკვლევის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება					
ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
3.1.1.	შექმნილი ახალი პროდუქტები ან განახლებული არსებული პროდუქტები				
3.1.2.	სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში მონაწილე კომპანიების % მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დაფინანსება არასახელმწიფო წყაროებიდან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.1.1	აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი)	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.2	სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება (აგროდაზღვევის პროგრამა)	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.3	თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა (პროგრამა „დანერგე მომავალი”)	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.4	ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.5	სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის

					განვითარების სააგენტო”
3.1.6	მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.7	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.8	ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება (მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი)	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.9	პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.10	სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება პროგრამის „აწარმოე საქართველოში” ფარგლებში	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
3.1.11	საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში სესხების გარანტიის გაცემა	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
3.1.12	მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიკრო გრანტების გაცემა	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
3.1.13	სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში” არსებული პროგრამების განახლება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				

3.2.1.	ლიზინგის პორტფელის მოცულობა				
3.2.2.	ფაქტორინგის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.2.1	ლიზინგის ბაზრის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
3.2.2	ფაქტორინგის შესახებ კანონპროექტის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეროვნული ბანკი
ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
3.3.1.	ტრენინგის მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები				
3.3.2.	საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის სოციალური ქსელით				
3.3.3.	მეწარმეთა ფინანსური განათლების არსებული ქულა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.3.1	ფინანსური განათლების ტრენინგი/ვებინარი მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის	განხორციელდა	100%		საქართველოს ეროვნული ბანკი
3.3.2	მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა (OECD/INFE survey Measure the Financial Literacy of MSMEs)	განხორციელდა	100%		საქართველოს ეროვნული ბანკი
ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
3.4.1.	რეგისტრირებული მიწების ფართობი				
3.4.2.	სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.4.1	საინფორმაციო კამპანიის განხორციელება მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დადგენილ შეღავათებსა და მიწის სისტემური რეგისტრაციის თაობაზე	განხორციელდა	100%		სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" / იუსტიციის სამინისტრო
ამოცანა 3.5 მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
3.5.1.	ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი				
3.5.2.	ტრენინგების და გადამზადებული პირების რაოდენობა				
3.5.3.	გადამზადებული ბუღალტერების %-ული წილი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არის გაუმჯობესებული ხარისხის				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.5.1	საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგების წესთან და კანონთან	განხორციელდა	100%		სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის,

	შესაბამისობის დადგენა და ანგარიშგებების გასაჯაროება				ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური” (SARAS)
3.5.2	მსს ფასს ტრენინგების სტიმულირება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით	არ დაწყებულა	0%		სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური” (SARAS)
3.5.3	ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ჩატარება	განხორციელდა	100%		სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური” (SARAS)
ამოცანა 3.6 Venture Capital (VC) და „business angels” ეკოსისტემის შემდგომი განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
3.6.1.	ინვესტიციები VC და „business angels” ფონდებიდან წლიურად				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.6.1	თანადაფინანსების გრანტების 650 000 ლარიანი პროგრამის განხორციელება (ითვალისწინებს კერძო ინვესტიციების მოზიდვასაც)	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”

პრიორიტეტი 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ამოცანა 4.1 საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.1.1.	ჩატარებულ ღონისძიებებთან მიმართებით კომპანიების კვლევის საფუძველზე გამოვლენილი კომპანიების დადებითი უკუკავშირი				
4.1.2.	b2b შეხვედრების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა მხარდაჭერილი კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის				
4.1.3.	იდენტიფიცირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტის/მომსახურების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.1.2	ექსპორტ/იმპორტის საკითხებზე ინდივიდულური კონსულტაცია; პარტნიორის მოძიებაში მხარდაჭერა; სავაჭრო პარტნიორებს შორის პრობლემური ქეისების განხილვაში დახმარება; საერთაშორისო პროექტების	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

	შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დახმარება; მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო გამოფენების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სხვა				
ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.2.1.	ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ DCFTA– ს შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში				
4.2.2.	DCFTA.gov.ge ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა[4]				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.2.1	შეხვედრების და ტრენინგების მოწყობა DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო”
4.2.2	ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსი	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
4.2.3	DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
4.2.4	DCFTA-ს შესახებ ვებ-გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საიტზე განთავსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 4.3. ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთაშორისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.3.1.	საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროები				
4.3.2.	დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტების რაოდენობა				
4.3.3.	მეტროლოგიის სფეროში დაინტერესებული პირებისათვის გაწეული სერვისების გაზრდილი დიაპაზონი და/ან სფერო, მათ შორის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისები				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.3.1	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის	მეტწილად შესრულდა	80%		სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული

[4] შენიშვნა: ამოცანის შედეგის ინდიკატორი ვერ შესრულდა.

	გაწევრიანება ლაბორატორიების საერთაშორისო კომიტეტში (ILAC) და აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმში (IAF)				ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი”
4.3.4	მეტროლოგიის სფეროში ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება ახალი (მათ შორის ფიზ-ქიმიური გაზომვების მიმართულებით) ან/და გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო”
4.3.5	GEOSTM-ის მეტროლოგიის ინსტიტუტის შესაბამისი პერსონალის ტრენინგი (მათ შორის, ონ-ლაინ) ახალი მიმართულების სერვისების დაფარვის მიზნით	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო”
ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.4.1.	პოტენციური ადგილობრივი მეწარმეების / მომწოდებლების მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეთავაზებულ იქნებიან საქართველოში არსებულ უცხოელ ინვესტორებს (მინიმუმ 60 პირდაპირი უცხოური ინვესტიციის კომპანია)				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.4.1	დაკავშირება ბიზნეს ასოციაციებთან ბაზაში შესატანი პოტენციალის მქონე კომპანიების გამოსავლენად	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”

პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.1.1.	ინოვაციური დაფინანსების სახელმწიფო პროდუქტების ბენეფიციარების რაოდენობა				
5.1.2.	იმ მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი (პროტოტიპის დონეზე) ან მომსახურება, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციართა შორის				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.1.1	100,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის და 650,000 ლარიანი ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის (GENIE) პროექტის განხორციელება	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
5.1.2	მცირე გრანტების (15,000 ლარამდე) პროგრამის განხორციელება	მეტწილად შესრულდა	90%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა					

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი				
5.2.1.	დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.2.1	ელ. კომერციის ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.3.1.	საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩოს მომზადება ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხარჯების შესამცირებლად[5]				
5.3.2.	მეწარმეთა რაოდენობა რომელთაც გაიარეს ტრენინგი ციფრულ უნარებში				
5.3.3.	ციფრული უნარების ტრენინგების მიმღებ მეწარმეთა რაოდენობაში იმ მეწარმეთა %-ული წილი, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო სერთიფიკატი, რაც სამუშაოს მიღების წინაპირობას წარმოადგენს				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.3.2	ICT ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
5.3.3	ტრენინგების ჩატარება ფრონტ-ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტსა და ქოფირაითინგში და გრაფიკულ დიზაინში	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.4.1.	ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა				
5.4.2.	ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიან რეგიონების დასახლებული პუნქტების (<200 მოსახლეობით) რაოდენობა (სათემო ინტერნეტიზაცია)				
5.4.3.	ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლად აშენებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელების სიგრძე (კმ)				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.4.1	საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (პროგრამის კოორდინატორი) ა(ა)იპ „ოუფენ-ნეტი”
5.4.2	პროექტ “Log in Georgia”-ს ფარგლებში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისა	მეტწილად შესრულდა	55%		საქართველოს ეკონომიკისა და

[5] შენიშვნა: 5.3.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორი ხორციელდება პოზიტიური ტენდენციით, სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

	და მონაცემთა გადაცემის ქსელის კონცეპტუალური დიზაინის მომზადება				მდგრადი განვითარების სამინისტრო (პროგრამის კოორდინატორი) ა(ა)იპ „ოუფენ-ნეტი”
ამოცანა 5.5. მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.5.1.	მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გადაწყვეტილი პრობლემები				
ამოცანა 5.6 კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.6.1.	ტექნოლოგიური გადაცემების პროექტების რაოდენობა, რომელიც კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	
5.6.1	კომერციალიზაციის ეტაპზე გადასასვლელად პროექტების ხელშეწყობა/გამოვლენა	მეტწილად შესრულდა	75%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”

პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანა 6.1. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების” (WEPs) პოპულარიზაცია					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.1.1.	„ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების” შესახებ საინფორმაციო სესიების რაოდენობა				
6.1.2.	ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც ადასტურებს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ ხელი შეუწყონ თავიანთ საქმიანობაში გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.1.2	ყოველწლიური ღონისძიების „დარეკე ზარი გენდერული თანასწორობისთვის” (Ring the Bell for Gender Equality) ორგანიზება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
6.1.3	ქალი მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს პროგრამების შესახებ	მეტწილად შესრულდა	51%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
6.1.4	ქალთა ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში ჩართულობის მიზნით ქალი მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს პროგრამების შესახებ	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
ამოცანა 6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.2.1.	სახელმწიფო პროგრამების სტატისტიკა წარმოდგენილია გენდერული ნიშნით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**

6.2.1	სსიპ „აწარმოე საქართველოში” პროგრამების სტატისტიკის წარმოება გენდერული ნიშნით	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
6.2.2	სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში” პროგრამების სტატისტიკის წარმოება გენდერული ნიშნით	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.3.1.	„მიკრო გრანტების” სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ქალების წილი				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.3.1	მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება და მასში ქალ მეწარმეთა პრიორიტიზირება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.4.1.	ქალ-მეწარმეთა რაოდენობა ციფრულ უნარებთან დაკავშირებულ ტრენინგებში				
6.4.2.	ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.4.1	ქალი მეწარმეებისთვის ელ.კომერციის ტრენინგის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.5.1.	გენდერული მიდგომების განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა				
6.5.2.	ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი. რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.5.1	სსიპ „აწარმოე საქართველოში” თანამშრომელთა ტრენინგი გენდერულ თანასწორობაზე, გენდერული კუთხის გათვალისწინებით პროგრამების ორგანიზებასა და ანალიზის საკითხებში	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
6.5.2	სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს” სისტემაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის ეფექტიანი მუშაობის მიზნით თანამშრომელთა გადამზადება	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
6.5.3	საჯარო უწყებების თანამშრომელთა ტრენინგის ჩატარება გენდერული გავლენის შეფასების საკითხებში	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.1.1.	მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა[6]				
ამოცანა 7.2 ეკო-ინოვაციის მიდგომის პოპულარიზაცია					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.2.1.	კომპანიათა რაოდენობა, რომელთანაც შედგა საინფორმაციო შეხვედრები				
7.2.2.	მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, რომელშიც ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.2.1	ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, საქართველოს ბაზრის პოტენციალისა და არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს კვლევის განხორციელება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.3.1.	„მწვანე” ფინანსური პროდუქტების არსებობა				
7.3.2.	მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის არსებობა				
ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.4.1.	საკანონმდებლო ჩარჩო დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას[7]				
ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.5.1.	საქართველოს ეკოტურიზმის 2021-2031 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა				
7.5.2.	ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კეთილმოწყობილი ბილიკები				
7.5.3.	დაცული ტერიტორიების გაზრდილი ფართობი				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.5.1	საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის შემუშავება	განხორციელდა	100%		სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია”
7.5.4	ბილიკების კეთილმოწყობა	განხორციელდა	100%		სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია”
ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.6.1.	ტრენინგების იმ კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში				

[6] შენიშვნა: 7.1.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორი ხორციელდება პოზიტიური ტენდენციით, სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

[7] შენიშვნა: 7.4.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორი ხორციელდება პოზიტიური ტენდენციით, სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
7.6.1	ტრენინგების განხორციელება მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის	განხორციელდა	100%		გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”
7.6.2	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით	განხორციელდა	100%		გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”

პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება

ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობს კერძო სექტორის და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში. ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ფორმირებას მრავალი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის, უმნიშვნელოვანესია საკანონმდებლო გარემო და ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ ბიზნესის ფორმირებაზე, შესაბამისად ბიზნესის ხელშეწყობაზე და ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაზე.

საკანონმდებლო დახვეწის, ინსტიტუციური გაძლიერებისა და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესების მიზანი მდგომარეობს **მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის და ფუნქციონირების შესაძლებლობების შექმნა/გაფართოებაში.** აღნიშნული ძირითადი პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის გავლენის ინდიკატორია SME-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის ზრდა (საბაზისო 2019წ. - 27.7 მლრდ. ლარი; სამიზნე მაჩვენებელი 2025 წ. – 20%-იანი ზრდა). საყურადღებოა, რომ 2020 წელს SME-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის წილმა ბიზნეს სექტორის მთლიან გამოშვებაში 60% შეადგინა (2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 58%-ს შეადგენდა).

პირველი პრიორიტეტული მიმართულება - საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება - აერთიანებს 8 ამოცანას და 24 აქტივობას.

ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1: OECD „SME Policy Index" კვლევაში „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო" კომპონენტის მაჩვენებლის (საბაზისო - 4.2 ქულა) **გაუმჯობესება.**

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი"[8] (SME Policy Index) ქვეყნებს აფასებს არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან" შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნული ინდექსი საქართველოს,

[8] OECD, SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020 იხ. https://www.oecd.org/publications/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020-8b45614b-en.htm

აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, უკრაინა), აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის 12 მიმართულების მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა 34 ქვეკომპონენტად. ინდექსის ერთ-ერთი კომპონენტია „ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემო", სადაც საქართველოს შეფასება 4.2 ქულას[9] შეადგენს და ამ შეფასებით ქვეყანა პირველ პოზიციას იკავებს.

„მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი" ქვეყნდება ოთხ წელიწადში ერთხელ. „SME Policy Index 2020" წარმოადგენს 2012 და 2016 წლებში ჩატარებული კვლევების შემდგომ ჩატარებულ კვლევის მე-3 რაუნდს. კვლევის მე-4 რაუნდი „SME Policy Index 2024" დაიწყება 2022 წელს.

„ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემო" აფასებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის მრავალწლიანი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის არსებობას, შესაბამისი ინდიკატორების და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. აღნიშნული კომპონენტის შეფასება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ მოხდება „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის" მე-4 რაუნდის ფარგლებში, რომელიც დაიწყება 2022 წლის ზაფხულში.

2021-2025 წლების საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, რომელიც 2016-2020 წლების სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგების ანალიზის და ამასთან, არსებული გამოწვევების საპასუხოდ იქნა მიღებული, სრულ შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და ასევე, „ევროპის მცირე ბიზნესის აქტის" მოთხოვნებთან. შესაბამისად, მისი იმპლემენტაცია „SME Policy Index"-ის მე-4 რაუნდის შეფასებისას საქართველოს მაჩვენებლის გაუმჯობესების რეალურ წინაპირობას წარმოადგენს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2: კანონმდებლობის ცვლილებისას ხორციელდება RIA SME ტესტი.

ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესების ფარგლებში, ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილება ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) სისტემის განვითარება, მათ შორის, RIA SME ტესტის შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია.

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობამ RIA-ს ინსტიტუციური მექანიზმის განვითარების მიზნით, შეიმუშავა და 2020 წელს დაამტკიცა რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული

[9] იქვე: შენიშვნა: რეიტინგი მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით ქვეყნებს აფასებს 5 ბალიანი შკალით, 1-დან 5 ქულამდე, სადაც 5 ქულა საუკეთესოა.

წარმოადგენს რეგულირების ზეგავლენის შეფასების წარმართვისა და შესაბამისი ანგარიშის მომზადების ტექნიკურ სახელმძღვანელოს.[10] RIA გადაწყვეტილების მიმღებ პირს აძლევს არსებული პრობლემის, მისი გამომწვევი მიზეზების, მოსალოდნელი ხარჯებისა და სარგებლის, რისკების შეფასების, შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან არიდებისა და შედეგად, პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის არჩევის შესაძლებლობას.

RIA სისტემის შემდგომი განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იქნას მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება.

RIA SME ტესტი, ერთი მხრივ, წარმოადგენს შესაძლებლობას პოლიტიკის შემუშავების პროცესში შეფასდეს ალტერნატივების მოსალოდნელი გავლენები დაინტრესებულ მხარეთა მაქსიმალური ჩართულობით, შესაძლო რისკების იდენტიფიცირების და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვით, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწას მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით, რათა ამ პროცესში გათვალისწინებული იქნას მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებები.

RIA SME ტესტი, ევროკავშირის ქვეყნებში რეგულირების შემუშავების პროცესში, მნიშვნელოვან საკითხად განიხილება. დღესაც კი, ევროკომისია აქტიურად მოუწოდებს ევროკავშირის ქვეყნებს და ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებს სისტემატურად გამოიყენონ აღნიშნული მეთოდი პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ევროკავშირის ქვეყნებში RIA SME ტესტი ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპს „უპირატესად იფიქრე მცირეზე", რომლის მიზანია უზრუნველყოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერით.

მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა ითვალისწინებს, ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, RIA SME ტესტის კონცეფციის შემუშავებას და აღნიშნულთან მიმართებით ტრენინგების ჩატარებას.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **შემუშავდა RIA SME ტესტის კონცეფცია.**

[10] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N35 დადგენილება „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ"; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/document/view/4776100?publication=0

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით და დონორთა მხარდაჭერით, შემუშავდა RIA SME ტესტის სახელმძღვანელო ბიზნესის რეგულაციებისთვის. აღნიშნულ სახელმძღვანელოში მიმოხილულია SME ტესტი და SME ტესტის ინტეგრაციის შესაძლებლობა RIA ანგარიშის თითოეულ ეტაპზე. კერძოდ, მეთოდოლოგია ითვალისწინებს პრობლემის იდენტიფიცირების, მიზნების და ალტერნატივების შემუშავების, თითოეული ალტერნატივის ხარჯ-სარგებლის ანალიზის პროცესში მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით საკითხების შეფასებას და შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის შესაძლებლობას.

- **ჩატარდა „RIA SME ტესტის" შესახებ ტრენინგები.**

აქტივობის ფარგლებში განხორციელდა ცნობიერების ამაღლება RIA SME ტესტის შესახებ და ჩატარდა ტრენინგები მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით, განხორციელდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

განხორციელებული აქტივობების შედეგად, შეიქმნა RIA-ს ინსტიტუციური განვითარების კიდევ უფრო ძლიერი საფუძველი. აღნიშნული ქმნის ახალი ნორმების შემუშავების და მათი შეფასების პროცესში RIA SME ტესტის აქტიურად გამოყენების შესაძლებლობას, რათა შეფასდეს პოლიტიკის გავლენები და მოსალოდნელი შედეგები, როგორც მთლიანად ეკონომიკური სუბიექტებისთვის, ასევე, კონკრეტულად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადდა „შენობა-ნაგებობის მიმართ ინსოლაციის მინიმალური მოთხოვნების შესახებ" რეგულირების ზეგავლენის შეფასება.

> დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა შენობა-ნაგებობების მიმართ არ ითვალისწინებს ინსოლაციის მიმართ მოთხოვნებს, თუმცა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსმა" განსაზღვრა ინსოლაციის მიმართ მინიმალური მოთხოვნების შემოღების ვალდებულება.
>
> ევროპული სტანდარტი EN17037, რომელიც 2018 წლის ბოლოს გამოქვეყნდა, არეგულირებს ინსოლაციის საკითხებს. სტანდარტის მიხედვით, მზის სხივების მინიმალური ზემოქმედება უზრუნველყოფილი უნდა იყოს საავადმყოფოების პალატებში, საბავშვო ბაღების სათამაშო ოთახებსა და შენობების, სულ მცირე, ერთ საცხოვრებელ სივრცეში. სტანდარტის მიხედვით, მზის სინათლის მინიმალური ზემოქმედება უნდა იყოს 1,5 საათი, საშუალო - 3 საათი, ხოლო მაქსიმალური - 4 საათი.

აღნიშნული რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტში განხორციელდა RIA SME ტესტის ინტეგრაცია და ალტერნატივების მოსალოდნელი გავლენები შეფასდა როგორც მთლიანად სამშენებლო კომპანიებთან და დეველოპერებთან მიმართებით, ასევე, ცალკე

მცირე და საშუალო ზომის სამშენებლო კომპანიებისთვის. საგულისხმოა, რომ კვლევის შედეგად გამოიკვეთა სხვაობა მოსალოდნელ გავლენებს შორის, კერძოდ, მარეგულირებელი გავლენა გაცილებით მაღალ ტვირთს წარმოქმნის მსხვილი და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, ვიდრე მცირე ზომის სამშენებლო კომპანიებისთვის, რაც მცირე ზომის სამშენებლო კომპანიების შემთხვევაში, განპირობებულია სამშენებლო ობიექტის ზომის სიმცირით და შესაბამისად, ახალ ნორმებთან შესაბამისობის ტვირთის შემცირებით.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.3: საბაჟო კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და საბაჟო პროცედურები გამარტივებულია

დაწყებულია და მიმდინარეობს პროცესი ახალი საბაჟო კოდექსის აღსრულების მიზნით კოდექსით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების შემუშავებაზე. აღნიშნული ითვალისწინებს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და პროცედურებთან დაახლოებას.

ამოცანა 1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1: გადამზადებული პერსონალი (სამიზნე მაჩვენებელი - 70%) **ადასტურებს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში იყენებს.**

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში განხორციელდა სააგენტოების „აწარმოე საქართველოში", „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა ტრენინგები. აღნიშნულმა ტრენინგებმა, განსაზღვრული მიზნის ფარგლებში, ხელი შეუწყო თანამშრომელთა იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ აძლევს შესაძლებლობას, მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენონ ყოველდღიურ საქმიანობაში, წარმართონ საქმიანობა ეფექტიანად და უზრუნველყონ პროცესების მართვა.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით 2021 წელს დატრენინგდა 85 თანამშრომელი** (ს/გ - 55 თანამშრომელი).

დონორი ორგანიზაციის GIZ-ის მხარდაჭერით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მიერ განხორციელდა ტრენინგი. სააგენტოს 16-მა თანამშრომელმა

გაიარა მენეჯმენტის სასწავლო/სასერტიფიკატო კურსი „ინფორმაციის, თვითმოტივაციისა და თვითრეალიზაციის კულტურის შექმნა".

CIDA-ს მიერ შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, კორპორაციული მდგრადობის აკადემიის საშუალებით, სააგენტოს 10 თანამშრომლისთვის უზრუნველყოფილი იქნა სასწავლო კურსი, რომლის მიზანია საზოგადოებაში ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. კურსიმოიცავდა 7 მოდულს:

- ✓ ბიზნესი და ადამიანის უფლებები საქართველოში;
- ✓ ეთიკა და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება;
- ✓ ლიდერობა და ადამიანური რესურსების მდგრადი მართვა;
- ✓ მდგრადობის სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები;
- ✓ სახელმწიფო წამახალისებელი ღონისძიებები კორპორაციული მმართველობის ხელშესაწყობად;
- ✓ კორუფციასთან ბრძოლა;
- ✓ ანგარიშგება, შიდა და გარე კომუნიკაცია, როგორც მდგრადობის ეფექტური ელემენტები.

ამასთან, CIDA-ს მიერ შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა სამუშაო გასვლითი ღონისძიება თემაზე „კორპორატიული მდგრადობის სტიმულირება პოლიტიკის დონეზე", რომლის ფარგლებშიც ჩართული იყო სააგენტოს 47 თანამშრომელი.

დონორი ორგანიზაციის - ITC-ის (International Trade Center) მხარდაჭერით ა(ა)იპ საქართველოს პროექტების მართვის ასოციაციის და ა(ა)იპ მენეჯმენტის ცენტრის საშუალებით, სააგენტოს 12-მა თანამშრომელმა გაიარა პროექტების მართვის ტრენინგ-კურსი.

შედეგად, საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, სულ დატრენინგდა სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს 85 თანამშრომელი.

- ❖ **სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით დატრენინგდნენ თანამშრომლები** (ს/გ - 10 თანამშრომელი).

სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" თანამშრომელთა გაძლიერების მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით: ინოვაციური მმართველობა - სინგაპურის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად; მენეჯმენტი - UNDP-ისთან ერთად; რეგიონალური ცენტრების შესაძლებლობის გაძლიერება - კორეის საგარეო საქმეთა სამინიტროსთან ერთად; სტარტაპების პროგრამების მენეჯმენტი - პოლონეთის მეწარმეთა სააგენტოსთან ერთად; ბიოსაკვების სფეროში მოღვაწე

კომპანიების ხელშეწყობის პროგრამების მენეჯმენტი - ევროკავშირის EU4Business-ის ფარგლებში. ჯამში, დატრენინგდა სააგენტოს 14 თანამშრომელი.

- **ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით დატრენინგდა 329 თანამშრომელი** (ს/გ - 190-მდე თანამშრომელი).

ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომლები დატრენინგდნენ შემდეგი თემატიკის მიხედვით: გენდერი და გენდერული ურთიერთობები; გენდერული მეინსტრიმინგი; ბიომეცხოველეობის და მეფუტკრეობის განვითარების პრინციპები; ვეტერინარიის საკითხები; თაფლის პორტატული ლაბორატორიის Randox Evidence მართვის სასწავლო ტრენინგი თაფლის საწარმოში; ინტენსიფიკაცია მესაქონლეობაში, ცხოველთათვის კლიმატისთვის შესაფერისი და ეფექტიანი კვება; მცენარეთა დაცვა; ორგანული სოფლის მეურნეობა და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთში; რთველის ელ. პროგრამა; რძისა და რძის პროდუქტების ეტიკეტირების საკითხები; სურსათის უვნებლობისა და ცხოველთა ჯანმრთელობის ძირითადი პრინციპები; ცხოველთა ინფექციური/ინვაზიური დაავადებები და მათი პრევენციის მეთოდები; ცხოველთა ჯანმრთელობა და ვეტერინარია და ა.შ.

2021 წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიმართულების ტრენინგზე (მათ შორის, გენდერულ საკითხებზე) დამსწრე თანამშრომელთა საერთო რაოდენობამ სულ შეადგინა 329 თანამშრომელი, რომელთა შორის 214 უნიკალური თანამშრომელია.

იმ გადამზადებული პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ადასტურებს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში გამოიყენებს 70%-ს აჭარბებს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2: მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსება (საბაზისო 2019 - 164.9 მლნ. ლარი; სამიზნე 2025 - 237.7 მლნ. ლარი).

2021 წელს, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსებამ **390 მლნ. ლარი** შეადგინა. მათ შორის, სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს პროგრამების ბიუჯეტმა 163.8 მლნ. ლარი შეადგინა; სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" ბიუჯეტი 2021 წელს 21 მლნ. ლარს გაუტოლდა, ხოლო ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" ბიუჯეტმა სხვადასხვა პროექტის და პროგრამის ფარგლებში შეადგინა 205,2 მლნ. ლარი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3: შერჩეული სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების განხორციელება (საბაზისო, 2019 – 1 პროგრამა; სამიზნე მაჩვენებელი 2025 - 4 სახელმწიფო პროგრამა, რომელზეც განხორციელდება გავლენის შეფასება).

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის არსებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისა და გავლენის შეფასება მოითხოვს სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების ჩარჩოს შემუშავებას, რომლის დახმარებითაც შეფასდება შერჩეული სახელმწიფო პროგრამების განხორციელების შედეგები და გავლენა. შეფასებისთვის შეირჩა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული ნაწილი და საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებზე დასწრების მხარდაჭერა ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის. შემუშავებულია ინდიკატორთა კატალოგი და კითხვარები გავლენის შეფასების განხორციელებისთვის.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **შემუშავებულია გავლენის შეფასების ჩარჩო.**

სააგენტო „აწარმოე საქართველოში" ახორციელებს პროგრამების გავლენის შეფასების ჩარჩოს შემუშავებას GIZ-თან თანამშრომლობით, სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ შემუშავდა გავლენის შეფასების ჩარჩო, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ინდუსტრიული კომპონენტისა და ექსპორტის მხარდაჭერის აქტივობების გავლენის შეფასება, მათ შორის, პროგრამების ბენეფიციარების ფინანსურ და ეკონომიკური მაჩვენებლებზე. მიმდინარეობს საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება.

2022 წლის იანვარში განხორციელდება ბენეფიციარების გამოკითხვა. მიღებულ შედეგებსა და არსებულ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, 2022 წლის პირველ კვარტალში განხორციელდება გავლენის შეფასება.

ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1: მიმართულების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო მეწარმეობის დეტალური სტატისტიკა (სამიზნე მაჩვენებელი - მცირე და საშუალო მეწარმეობის სტატისტიკური მაჩვენებლები ხელმისაწვდომია 8 მიმართულებით)**.**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებასა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებას. საქსტატის საქმიანობა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ობიექტურობა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

სტატისტიკის გაუმჯობესება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და სწორედ ამიტომ, საქსტატი ყოველწლიურად აფართოებს კვლევის არეალს, მათ შორის, საწარმოთა

სტატისტიკის არეალს. სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული გაუმჯობესებული და გაფართოებული სტატისტიკის წარმოება ხელს უწყობს საწარმოთა შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეგროვებას, ხოლო გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ეხმარება უკეთ გაანალიზონ და შეიმუშაონ ეფექტიანი პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის.

საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოების და შესაბამისი კვლევების დაგეგმვის ფარგლებში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა ბრუნვის მოცულობის ყოველთვიური და ნამუშევარი საათების კვარტალური ინდექსების გაანგარიშება, რაც განისაზღვრა საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, შემუშავდა „საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია" და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2020-2021 წლებისათვის. დოკუმენტი წარმოადგენს სტატისტიკის ეროვნული სისტემის სტრატეგიულ ხედვას და უზრუნველყოფს ევროკავშირის სტატისტიკურ მეთოდოლოგიასთან შესაბამისობას.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას, მათ შორის, სტატისტიკური მოცვის გაუმჯობესებას და ახალი მაჩვენებლების წარმოებას, ეროვნული ანგარიშების განვითარებას, ბიზნეს სტატისტიკის არეალის გაფართოებას, საგარეო სექტორის სტატისტიკის განვითარებას და სხვა.

ბრუნვის მოცულობის ყოველთვიური და ნამუშევარი საათების კვარტალური ინდექსების წარმოება წარმოადგენს „საქართველოს სტატიტიკის ეროვნული სისტემის შესაძლებლობების განვითარების შესახებ" ევროკავშირის „Twinning"-ის პროექტის ერთ-ერთ ქვეკომპონენტს.

ბრუნვის მოცულობის ყოველთვიური ინდექსის წარმოების მიზანია საქონლისა და მომსახურების ბაზრის განვითარების ჩვენება, ხოლო ნამუშევარი საათების კვარტალური ინდექსის წარმოების მიზანია ნამუშევარი საათების ცვლილებების გაზომვა ყოველკვარტალურად.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **იწარმოება მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლები.**

2019-2021 წლებში, ინდექსების გაანგარიშების მიზნით, ჩატარდა 8 შეხვედრა უცხოელ ექსპერტებთან. ინდექსების გასაანგარიშებლად შემუშავებული იქნა მეთოდოლოგია. ბრუნვის მოცულობის ინდექსის გაანგარიშება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო

ნამუშევარი საათების ინდექსების წარმოება მიმდინარეობს საქსტატის მიერ ორგანიზებული კვარტალური გამოკვლევის საფუძველზე.

ბრუნვის მოცულობის ინდექსის საბაზისო პერიოდია 2015 წელი. ბრუნვის მოცულობის ინდექსი მოიცავს მრეწველობის, მშენებლობის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის და მომსახურების ინდექსებს. აღნიშნულ საქმიანობებთან მიმართებით, ასევე, გამოქვეყნდა ნამუშევარი საათების კვარტალური ინდექსები.

საქსტატის ვებ-გვერდზე 2015-2019 წლების ბრუნვის მოცულობის და ნამუშევარი საათების წინასწარი ინდექსების შესახებ ინფორმაცია განთავსდა 2021 წლის დეკემბრის ბოლოს.[11]

ამრიგად, საბაზისო 2019 წელს ხელმისაწვდომ მცირე და საშუალო მეწარმეობის მაჩვენებლების 5 მიმართულებას დაემატა ახალი მიმართულება მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლების წარმოების სახით და შესაბამისად, ხელმისაწვდომი გახდა 6 მიმართულებით.

ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1: კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდა (საბაზისო, 2019 - არა; სამიზნე მაჩვენებელი, 2019 - პოზიტიური ცვლილება).

სსიპ „საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს" ძირითად ამოცანას წარმოადგენს კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერება საქართველოში, კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მიღებული კონკურენციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამოვლენის და აღკვეთის მიზნით.

2021 წლის განმავლობაში, სააგენტოს მიერ, დასრულდა 5 საქმის მოკვლევა. ამასთან, სხვადასხვა მოკვლევაზე სააგენტომ განახორციელა კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს უკვე

[11] წყარო: საქართველოს სტატიტიკის ეროვნული სამსახური; ბრუნვის მოცულობის ინდექსები. იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/722/brunvis-motsulobisa-da-namushevari-saatebis-indeksebi

მიღებული გადაწყვეტილებებით გამოწვეული შედეგების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება.

სააგენტოს მიერ, 2017 წელს ფოთის პორტის საქმის მოკვლევის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში, 2021 წელს მომზადებული ზეგავლენის ანგარიშის მიხედვით, 2017-2019 წლებში მნიშვნელოვნად გაზრდილია ბაზარზე მოქმედი სატერმინალო კომპანიების რიცხვი და ბრუნვა, ასევე, საზღვაო ხაზების და სატრანსპორტო კომპანიების ბრუნვა. აღნიშნული განპირობებულია სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისად, დარღვევად იქნა მიჩნეული სატრანსპორტო და სატერმინალო მომსახურებების გაერთიანებული სახით პორტის მიერ კომბინირებული ტარიფის შემოღება, რაც საფრთხეს უქმნიდა სატრანსპორტო და სატერმინალო კომპანიების ოპერირებას და ზღუდავდა მომხმარებლის, საზღვაო ხაზების ინტერესებს.

შენიშვნა: ამოცანის სრულად შესრულება შესაძლებელია გადაწყვეტილებების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში. თითოეული საქმის ფარგლებში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს მისი გავლენის შეფასება ამა თუ ბაზარზე. თავის მხრივ, გადაწყვეტილების მიღების წელი და ზეგავლენის შეფასების ანგარიში არ იქნება ერთსა და იმავე წელზე. შესაბამისად, 2021 წლის ფარგლებში დასრულებული საქმეების გავლენა ამოცანაზე იდენტიფიცირდება მომდევნო წლების ზეგავლენის შეფასების ანგარიშით.

ამდენად, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზეგავლენა **პოზიტიურია,** რადგან სატერმინალო კომპანიების რიცხვი გაიზარდა 16-დან 25-მდე, ხოლო მათი ბრუნვა გასამმაგდა, მაშინ როდესაც საფრთხე ემუქრებოდა საერთოდ მათი ოპერირების გაგრძელებას ბაზარზე. ასევე, 70%-ზე მეტით გაიზარდა საზღვაო ხაზების ბრუნვაც.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე ჩატარდა საქმეთა მოკვლევები** (ს/გ - მინიმუმ 2).

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში დასრულებულია 5 საქმის მოკვლევა, 1 ბაზრის მონიტორინგი და მიღებული 1 გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება.

ზეგავლენის შეფასება:

2021 წელს, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების მიზნით, სააგენტომ, ქალაქ ფოთში მოქმედი სატერმინალო კომპანიების 2016 წლის 8 ივნისის საჩივრის საფუძველზე, განახორციელა მოკვლევა სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიმართვის საფუძველზე,

სასამართლომ, საკითხის შესწავლამდე, აკრძალა კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიჩნეული კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის ამოქმედება. საბოლოოდ კი, კონკურენციის სააგენტომ კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის ამოქმედება კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ მიიჩნია და მისი ამოქმედების უფლება არ დართო საზღვაო ნავსადგურის ადმინისტრაციას.

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა ფოთის საზღვაო ნავსადგურის საპორტო (სტივიდორული) მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ბაზრების ex-post მონიტორინგი. კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის ანგარიშში წარმოდგენილია შედეგები, რომლის თანახმად, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, მოხდა არა მხოლოდ სატრანსპორტო და სატერმინალო კომპანიების მიერ ბაზარზე ოპერირების გაგრძელება, არამედ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი ბრუნვაც. აღნიშნული კვლევის ანგარიში განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე.[12]

> „2016-2019 წლების მიხედვით, მთლიანობაში, სატერმინალო მომსახურების ბაზარზე კონკურენტული გარემოა. 2019 წელს ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი[13] შეადგენს 1854,56-ს. ზრდადია აღნიშნულ ბაზარზე მოქმედი სუბიექტების ერთობლივი ბრუნვა (77%-ით), გადამუშავებული საკონტეინერო ტვირთების რაოდენობა (68%-ით) და დასაქმებულთა რაოდენობაც (13,5%-ით). ამასთან, მომსახურების ტარიფები უცვლელი იყო [...]." *საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დასკვნა.*

ბაზრის მონიტორინგი: საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 25 დეკემბრის N04/375 ბრძანებით დამტკიცებული „ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ფაქტების გამოვლენისა და მონიტორინგის სამოქმედო გეგმის" საფუძველზე, სააგენტომ განახორციელა ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგი. მონიტორინგის შესასწავლ პერიოდს წარმოადგენდა 2016-2020 წლების დროითი შუალედი. კვლევის შედეგად, აღნიშნულ პერიოდში, ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი - HHI ინდექსი, სტაბილურად ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის ფარგლებშია.

საქმის მოკვლევა:

1) სააგენტომ შპს „ალგორითმის" საჩივრის საფუძველზე განახორციელა მოკვლევა, რომელიც ეხებოდა შპს „ალგორითმის" მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს. მოკვლევის შედეგად დადგინდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის

[12] წყარო: საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, „ფოთის საზღვაო ნავსადგურის საპორტო (სტივიდორული) მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ბაზრების ex-post მონიტორინგი"; 11.06.2021წ.; იხ. ბმული: https://competition.ge/decisions/impact-assessment

[13] შენიშვნა: შესაბამისი სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონის გამოსათვლელად კონკურენციის ეროვნული სააგენტო იყენებს ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს (HHI), რომელიც არის ბაზრის მონოპოლიზაციის დონის მაჩვენებელი.

მე-11 ტერცია (ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა) მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის (კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს) დარღვევის ფაქტი, რაც გამოიხატებოდა პროდუქციის ისეთი ფორმით პრეზენტირებაში/რეკლამირებაში, რაც შეცდომაში შემყვანია და არასწორ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს. საბოლოოდ, სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოპასუხე შპს „ალგორითმს” დაევალა კომპანიის სარეკლამო პოლიტიკა აწარმოოს იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული მისი და მომჩივანი კომპანიის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკი.

2) სააგენტომ შპს „Free spirit tours”-ის საჩივრის საფუძველზე აწარმოა მოკვლევა, რომელიც ეხებოდა შპს „სფინქს თრეველის” მიერ „კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის (ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა) მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის (სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება) სავარაუდო დარღვევის ფაქტს. მოკვლევის შედეგად, არ დადასტურდა შპს „სფინქს თრეველის” მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი.

3) შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის” საჩივრის საფუძველზე განხორციელდა მოკვლევა, რომელიც ეხებოდა სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების სფეროში მოქმედი 5 კომპანიის მიერ „კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის 11(3) მუხლის (ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა) შესაძლო დარღვევის ფაქტს. მოკვლევის შედეგად დადასტურდა 2 მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ „კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის 11[3] მუხლის დარღვევა. დარღვევა გამოიხატებოდა საქმიან და კომერციულ ურთიერთობებში ISO 9001:2015 სერტიფიკატისა და IQNET-ის შესაბამისი ლოგოს უკანონო გამოყენებაში, რაც სააგენტოს შეფასებით, წარმოადგენს კომპანიის პრეზენტირებას/რეკლამირებას ცრუ ინფორმაციის გავრცელების გზით. სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხსენებულ კომპანიებს დაეკისრათ შესაბამისი ფინანსური სანქცია და დაევალათ კანონდარღვევის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

4) სააგენტომ შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის” განცხადების საფუძველზე აწარმოა მოკვლევა „კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. მოკვლევის ფარგლებში მიღებული და დამუშავებული მასალების საფუძველზე დადასტურდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების - შპს „Aladashvili&co-ს”, შპს „ნილის”, შპს „თარი 08-ს” და შპს „ელფის” მიერ „კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა. კერძოდ, ადგილი ჰქონდა

უფასო სასადილოებით მომსახურების გაწევის მიზნით გამოცხადებულ კონკრეტულ სახელმწიფო შესყიდვებში ბაზრის გადანაწილებას. თავის მხრივ, ეკონომიკურ აგენტებს დაეკისრათ შესაბამისი სანქცია ჯამში 40 ათას ლარამდე.

5) სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის" საჩივრის საფუძველზე, შპს „საქაერონავიგაციის" მიერ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, სააგენტოს მიერ წარმოებული მოკვლევის შედეგად, დარღვევა არ დადასტურდა. საკითხი შეეხებოდა მოპასუხის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში, სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადებულ პირობებს - გადამზღვეველი კომპანიის დასტურის მოთხოვნასთან დაკავშირებით და ტენდერის იმგვარად გამოცხადებას, სადაც ერთ ლოტად იყო გაერთიანებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებები. სააგენტოს მიერ დარღვევის დაუდასტურებლობის მიუხედავად, კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, მოპასუხეს მიეცა განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.2: ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაზე (საბაზისო, 2019 – 0; სამიზნე მაჩვენებელი - მინიმუმ 3 ტრენინგი/კონფერენცია/სემინარი წლიურად).

კონკურენციის კანონმდებლობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით შეტანილი ცვლილებების შემდეგ, გამოწვევას წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეების დაბალი ცნობიერება კონკურენციის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ტრენინგების ჩატარება, რომელიც აამაღლებს კერძო სექტორის ცნობიერებას კონკურენციის კანონმდებლობაზე. კერძოდ, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის საჭიროებებზე მორგებული, მათი ცნობიერების ამაღლების ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაზე.

საკონსულტაციო კომპანიების, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი ბიზნეს კომპანიების, ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს კანონმდებლობის აღსრულებას სააგენტოს მიერ, რადგან შესაბამისი სამიზნე აუდიტორია ინფორმირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **კერძო სექტორისთვის (ბიზნესი, საკონსულტაციო კომპანიები, ადვოკატთა ასოციაცია) ჩატარდა ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ** (ს/გ - 2 ტრენინგი/სემინარი/კონფერენცია).

2021 წლის 4-6 და 19-20 ნოემბერს, ევროკავშირის პროექტის (AA Facility) მხარდაჭერით, ჩატარდა **4 სემინარი** კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში - კახეთი (კაჭრეთი, თელავი), შიდა ქართლში (გორი) და სამცხე-ჯავახეთში (ახალციხე). ჩატარებული სემინარების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებ-გვერდზე.[14]

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.3: კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა (საბაზისო 2019 - არა; სამიზნე მაჩვენებელი 2025- პოზიტიური ცვლილება).

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2017 წელს, ფოთის პორტის საქმის მოკვლევის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების ზეგავლენის შესახებ 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, 2017-2019 წლებში მნიშვნელოვნად გაზრდილია სატერმინალო კომპანიებში დასაქმებულ პირთა რიცხვი, კერძოდ, ფოთის საზღვაო ნავსადგურსა და საბაჟო საწყობებს (ტერმინალებს) შორის საკონტეინერო ტვირთების გადაზიდვის მომსახურების ბაზარზე, 2016-2017 წლებში, 93 პირი იყო დასაქმებული, 2019 წლის ბოლოს, აღნიშნულ ბაზარზე მომუშავე პერსონალის რაოდენობა 108-მდე გაიზარდა. ასევე, გაიზარდა სატრანსპორტო კომპანიებში დასაქმებულ პირთა რიცხვი.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **სააგენტოს მიერ სხვადასხვა სახის წარმოების ჩატარების ფარგლებში (საქმის მოკვლევა, ბაზრის მონიტორინგი, კონცენტრაციების შესახებ შეტყობინების განხილვა და ა.შ.) გაიცა რეკომენდაციები** (ს/გ - მინიმუმ 2 რეკომენდაცია).

სააგენტოს მიერ ფოთის საზღვაო ნავსადგურის საპორტო მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ბაზრების ex-post მონიტორინგის კვლევის ფარგლებში გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები (3 რეკომენდაცია) და მომზადდა დასკვნები (6 დასკვნა). რეკომენდაციები ითვალისწინებდა სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ, კომპეტენციის ფარგლებში, საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვის მექანიზმის გაუმჯობესებას; საზღვაო ხაზების და სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" კოორდინირებული მოქმედებით სატრანსპორტო/გადამზიდავი და სატერმინალო კომპანიების წინასწარი, დროული ინფორმირების უზრუნველყოფას გემების დაცლის ან/და დატვირთვის სქემის/გეგმის შესახებ და სხვ.[15]

---

[14] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო; იხ. ბმული: https://competition.ge/media/events/278; https://competition.ge/media/events/279; https://competition.ge/media/events/280

[15] წყარო: საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, „ფოთის საზღვაო ნავსადგურის საპორტო (სტივიდორული) მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ბაზრების ex-post მონიტორინგი"; 11.06.2021წ.; იხ. ბმული: https://competition.ge/decisions/impact-assessment

საგულისხმოა, რომ კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის ანგარიშში, ნათლად ჩანს, რომ სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, გაიზარდა სატრანსპორტო და სატერმინალო კომპანიებში დასაქმებულ პირთა რიცხვი.

ასევე, სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ანგარიშში, მედიკამენტებზე ხარისხობრივი და ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, მედიკამენტებზე გაწეული დანახარჯების შესამცირებლად, გაცემული იქნა 10-ზე მეტი რეკომენდაცია. მათ შორის, აღსანიშნავია, მედიკამენტების ხარისხის მიმართულებით სააგენტოს პოზიცია, რომელიც გულისხმობს GMP სტანდარტის მოქმედების აუცილებლობას ბაზარზე მედიკამენტების დაშვებას ორივე დონეზე, როგორც წარმოების, ასევე, იმპორტის დროს, რაც შექმნის იმის გარანტიას, რომ ბაზარზე დაშვებული ყველა მედიკამენტი აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხარისხის ნორმებს.[16]

ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1: არბიტრაჟის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად (საბაზისო, 2019 - 15, არბიტრაჟის საქმეთა სულ მცირე 55% მცირე და საშუალო საწარმოებს უკავშირდება; სამიზნე მაჩვენებელი - 60, არბიტრაჟის საქმეთა სულ მცირე 50% მცირე და საშუალო საწარმოებს უკავშირდება).

ქვეყანაში დავების გადაწყვეტის მიუკერძოებელი და სანდო ალტერნატიული მექანიზმების არსებობა უმნიშვნელოვანესია მეწარმე სუბიექტებისა და ზოგადად, ბიზნესის ინტერესების დაცვის პროცესში.

არბიტრაჟი არის დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალება, როდესაც მხარეთა შეთანხმებით, დავას წყვეტს საარბიტრაჟო ტრიბუნალი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის საბოლოო და მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონე.[17]

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით, 2013 წელს დაფუძნდა ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი". საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი თავისი საქმიანობის განხორციელებისას არის პალატისგან სრულიად დამოუკიდებელი. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ძირითადი მიზანია კერძო ხასიათის დავების გადაწყვეტის ნეიტრალური,

[16] წყარო: საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, „ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ანგარიში": იხ. ბმული: https://admin.competition.ge/uploads/ee3c459aa8f44eb1b272688f2da5cdfa.pdf
[17] საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ"; იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/document/view/89284?publication=8

ეფექტური და მოქნილი ალტერნატიული მექანიზმების ჩამოყალიბება.[18] 2021 წელს დასრულებულ იქნა 11 კომერციული დავა.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **განხორციელდა საარბიტრაჟო დავების და მედიაციის პროცესის ადმინისტრირება.**

საარბიტრაჟო გადაწყვეტილი დავები გამომდინარეობდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო საზოგადოებების კორპორატიულ საკითხებთან, სამშენებლო, ყიდვა-გაყიდვის, სამრეწველო, საფინანსო, მომსახურების, გადაზიდვის სფეროებთან. დავების სუბიექტთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ იურიდიული პირები, თუმცა რამდენიმე დავაში, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო საკორპორაციო საკითხებთან, ჩართული იყვნენ ფიზიკური პირები. განხილული დავების თითქმის ნახევარში მონაწილეობდა უცხო ქვეყნის იურიდიული პირი. აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის პანდემიის გათვალისწინებით, საარბიტრაჟო ცენტრში დაინერგა დისტანციური განხილვის წესები და პროტოკოლი, რომლითაც ცენტრმა შეძლო ეფექტურად და მოქნილად მოეხდინა დავების ადმინისტრირება, დამატებითი ბარიერების გარეშე. დავების განხილვის დისტანციურმა მეთოდმა გაზარდა მოდავე მხარეთა კმაყოფილება და ნდობა საარბიტრაჟო პროცესის განხილვის მიმართ.

- **ჩატარდა დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით, საარბიტრაჟო დავებზე ონლაინ სემინარების/ ვოკშოფები; ჩატარდა შეხვედრები ბიზნეს სექტორთან; გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია.**

საერთაშორისო საარბიტრაჟო დღეების ფარგლებში, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, სავაჭრო პალატასთან არსებულმა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრმა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. ღონისძიება საერთაშორისო იურიდიული ფირმა „Levy Faufmann-Kohler"-ის, ქართული იურიდიული ფირმების „ბი ელ სის ", „ბიჯიაი ლეგალისა" და „ბი ელ ბის" ორგანიზებით ჩატარდა. შეხვედრაში 40-მდე კომპანიის იურიდიული მიმართულების წარმომადგენელი და ხელმძღვანელი მონაწილეობდა. შეხვედრაზე იმსჯელეს, თუ როგორ შეუძლიათ ქართულ კომპანიებს დააზღვიონ სხვადასხვა სამართლებრივი რისკი დავის არსებობის შემთხვევაში. ასევე, განიხილეს არბიტრაჟის გზით ბიზნეს დავის გადაწყვეტის უპირატესობა, შვეიცარიის, როგორც არბიტრაჟის ადგილის უპირატესობები დროის, ნეიტრალურობისა და გადაწყვეტილებების აღსრულებადობის თვალსაზრისით. ყურადღება გამახვილდა

18 ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი"; იხ. ბმული: https://giac.ge/ka/

GIAC-ის წესების უპირატესობებზე ბიზნეს დავების სწრაფი და სამართლიანი მოგვარებისა და უცხოური (შვეიცარიული) საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების საკითხებზეც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

სავაჭრო პალატასთან არსებულმა „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრმა", თბილისში, საარბიტრაჟო დღეების ფარგლებში, რიგით მე-8 ყოველწლიური საარბიტრაჟო დღეების გახსნითი ღონისძიება გამართა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო დონეზე არსებული სიახლეებისა და მიდგომების განხილვა. ასევე, საქართველოს, როგორც საერთაშორისო არბიტრაჟისადმი მეგობრულად განწყობილი ქვეყნის წარმოჩენა და ქვეყნის, როგორც რეგიონში დავების გადაწყვეტის ცენტრად გარდაქმნა. გარდა ამისა, გაიმართა რამდენიმე ონლაინ სემინარი უცხოელი ექსპერტებისა და პრაქტიკოსების მონაწილეობით, ასევე, რამდენიმე ღონისძიება, მათ შორის, ერთი ბიზნეს წარმომადგენელების მონაწილეობით, სადაც დეტალურად იქნა ახსნილი არბიტრაჟის უპირატესობები ბიზნეს დავების გადაწყვეტაში.[19]

- **განხორციელდა არბიტრაჟთან მიმართებით საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებები პრაქტიკოსი იურისტებისთვის.**

არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე, იურისტებისთვის ჩატარდა 5 სემინარი, როგორიცაა, გადახდისუუნარობა და საარბიტრაჟო წარმოება, არბიტრაჟის საქმის განხილვა დისტანციურად, კოვიდ პანდემიის დროს დავების განხილვის თავისებურებები, საინვესტიციო დავების მიმართულებით საერთაშორისო დონეზე მიმდინარე რეფორმები.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.2: მედიაციის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად (საბაზისო 2019 -150 მედიაცია, სამიზნე 2025 - გაზრდილი საბაზისო მაჩვენებელი).

„მედიაციის შესახებ"[20] საქართველოს კანონი 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობას.

მედიაცია დავების მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე (მედიატორი) მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. სასამართლო მედიაციის მიზანია ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობის გაზრდას და თავის მხრივ, სასამართლოს მაქსიმალურად განტვირთვას ისეთი დავებისაგან, რომლებსაც აქვთ

[19] წყარო: „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი"; იხ. ბმული: https://giac.ge/ka/giac-arbitration-days-2021-launching-event-was-held-in-tbilisi/
[20] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ", 18.09.2019წ. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=1

ურთიერთშეთანხმებით დასრულების პერსპექტივა. მედიაციის გზით მიღწეული მორიგება სავალდებულოა და ექვემდებარება როგორც ნებაყოფლობით, ისე სასამართლოს წესით აღსრულებას. სასამართლოში საქმის წარმოებასთან შედარებით მედიაცია უფრო სწრაფი, იაფი და მოქნილი პროცესია.

საქართველოს მასშტაბით სასამართლო მედიაცია სავალდებულო სახით დანერგილია თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში და მცხეთის რაიონულ სასამართლოში.

2021 წელს, საქალაქო და რაიონულ სასამართლოებს მოსამართლის გადაწყვეტილებით, გადაეცა 156 საქმე და შესაბამისად გაზრდილია საბაზისო მაჩვენებელი (საბაზისო 2019 წ. 150 საქმე). ამასთან აღნიშნული მონაცემი, 2020 წელს მიღებულ საქმეთა რაოდენობას (101 საქმე) 54.5%-ით აღემატება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, 2021 წელს მედიაციას გადაეცა 120 საქმე, რაც 17.6%-ით აღემატება 2020 წელს მიღებულ საქმეთა რაოდენობას. აღნიშნული დავებიდან 30 საქმე წარმოადგენდა საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავას, 29 საქმე - სამართლებრივ დავას, 28 საქმე - შრომით სამართლებრივ დავას, 19 საქმე - საოჯახო სამართლებრივ დავას და ა.შ.

2021 წელს, მორიგების მაჩვენებლის მხრივ, განსაკუთრებით წარმატებული დავის კატეგორიებს შორის იყო კომერციული, საოჯახო, მიკროსაფინანსო და შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები. თავის მხრივ, საერთო ჯამში არსებული მორიგების მაჩვენებელმა 70% შეადგინა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, 2021 წელს სასამართლო მედიაციას გადაეცა 24 საქმე და 2 საქმე ნაშთის სახით წინა წლიდან. აღნიშნული დავებიდან 8 საქმე წარმოადგენდა საოჯახო სამართლებრივ დავას, 5 საქმე - საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავას, ხოლო 11 - სხვადასხვა სახის დავას. 2021 წელს სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული 25 საქმიდან (1 საქმე გადავიდა 2022 წელს), 9 საქმე დასრულდა მხარეთა შეთანხმებით (36%), დანარჩენი საქმე დაუბრუნდა მოსამართლეს წარმოების განსაახლებლად.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ, 2021 წელს სასამართლო მედიაციას გადაეცა 12 საქმე. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული 12 საქმიდან 2 საქმე დასრულდა მხარეთა შეთანხმებით, 8 საქმე დაუბრუნდა მოსამართლეს წარმოების განსაახლებლად, ხოლო 2 საქმეზე გაგრძელდა სასამართლო მედიაციის პროცედურები. სასამართლო

მედიაციის მიერ განხილულ საქმეთა კატეგორიებს შორის იყო სამემკვიდრეო, სამეზობლო და ბიზნეს დავები.

2021 წელს თბილისის, რუსთავის და მცხეთის სასამართლოების მიერ სასამართლო მედიაციას სულ გადაეცა 156 საქმე. საერთო ჯამში, 2021 წელს, არსებულმა მორიგების მაჩვენებელმა 61% შეადგინა. 2021 წლის პერიოდში დასრულებული ყველა სასამართლო მედიაცია დასრულდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[5]-ე მუხლით გათვალისწინებულ 45 დღიან ვადაში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.3: ბიზნესომბუდსმენისადმი მომართვების რაოდენობა (საბაზისო მაჩვენებელი, 2020 წ. - 1253; სამიზნე მაჩვენებელი - შემცირება 20%-ით).

ბიზნესომბუდსმენი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს და კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობს პირის დარღვეული უფლებების აღდგენას.

ბიზნესომბუდსმენი პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ახორციელებს:

- ✓ ინდივიდუალურ და ერთობლივ განცხადებებზე რეაგირებით;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში ხარვეზების გამოვლენით;
- ✓ საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებით.

2021 წელს, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში შემოვიდა 217 ინდივიდუალური და ერთობლივი განცხადება, რომელიც 1,036 ერთეულით ნაკლებია 2020 მაჩვენებელზე. აღნიშნულ ცვლილებაზე გავლენა მოახდინა 2020 წელს დაწყებულმა კოვიდ პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა.

აპარატის მიერ, 2021 წელს, განხილული იქნა 80 საკანონმდებლო აქტის პროექტი (მათ შორის, 14 კანონი და 66 დადგენილება) და მათ საფუძველზე მომზადდა 42 სამართლებრივი დასკვნა.

საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებისთვის ბიზნესომბუდსმენის აპარატში დანერგილია ცხელი ხაზი, სადაც ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. 2021 წელს ცხელ ხაზზე შემოვიდა 2,780 ზარი, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2020 წლის მაჩვენებელს.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **ჩატარდა საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან თბილისში და რეგიონებში** (ს/გ - 5 შეხვედრა წლიურად).

2021 წელს, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა შრომის ინპექციასთან თანამშრომლობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ბიზნეს წარმომადგენლებთან ონლაინ შეხვედრები გამართა.

შეხვედრებზე განხილული იქნა კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციები და ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები. აღნიშნული ტიპის საინფორმაციო შეხვედრები გაგრძელდება 2022 წელშიც.

- **ბიზნეს ომბუდსმენის აპარატში ფუნქციონირების ბიზნესებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ხაზი.**

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის ცხელ ხაზზე 2021 წელს შემოვიდა 2,780 სატელეფონო ზარი და ბიზნესის წარმომადგენლებს სხვადასხვა საკითხზე (მათ შორის, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ბიზნესისთვის შემოღებულ შეზღუდვებსა და საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე) შესაბამისი კონსულტაცია გაეწია.

- **დავის ალტერნატიული მექანიზმების (მედიაციის) შესახებ ჩატარდა ცნობიერების ამაღლების კამპანია** (ს/გ - წლიურად ჩატარებული ფორუმი).

„მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, 2019 წელს დაფუძნდა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია". ასოციაციის მიზანია დაარეგულიროს მედიატორთა საქმიანობა და გახადოს მედიაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, განავითაროს მედიატორის პროფესია. ამასთან, უზრუნველყოს კერძო და სასამართლო მედიაციის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გაზარდოს მედიაციის მიმართ ცნობადობა და აამაღლოს ნდობის ხარისხი და შედეგად, მედიაცია გახადოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ხშირად გამოყენებადი მექანიზმი.

დეკემბრის თვეში, მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეული ფარგლებში, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და CIDA-ს ორგანიზებით გაიმართა „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების" პირველი ფორუმი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგნლები. ფორუმზე განხილული იქნა პოლიტიკის მექანიზმები, რომელიც ახალისებს ბიზნეს სექტორში UNGP-ების დანერგვას.

15 დეკემბერს, მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და გაეროს განვითარების

პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა „სინგაპურის კონვენციის როლი და მნიშვნელობა საქართველოსთვის". ასევე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრებისთვის ჩატარდა ვორქშოფი თემაზე „კრიზისული მომენტების მენეჯმენტი მედიაციაში" რომელსაც უძღვებოდა მოწვეული უცხოელი ექსპერტი. მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, გაიმართა პირველი ინტერდისციპლინური ფორუმი - „მედიაცია საქართველოში - გამოწვევები და პერსპექტივა".

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის და საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა პირველი საერთაშორისო ონლაინ ფორუმი „მედიაცია ბიზნესისთვის".

შეხვედრაზე განხილული იქნა ქვეყანაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების მნიშვნელობა, როგორც არსებულ მექანიზმებზე სწრაფი და სანდო მართლმსაჯულების უზრუნველყოფის წინაპირობა. ხაზი გაესვა საზოგადოებაში მედიაციის ინსტიტუტის შესახებ ცნობიერების ამაღლების და პროცესში ბიზნეს სექტორის ჩართულობის გაზრდის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, აგრეთვე, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები.

- **განხორციელდა მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოს კანონმდებლობის ზეგავლენის შესწავლა და შემუშავდა რეკომენდაციები.**

2021 წელს, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ განხილული იქნა 80 საკანონმდებლო აქტის პროექტი (მათ შორის, 14 კანონი და 66 დადგენილება) და მათ საფუძველზე მომზადდა 42 სამართლებრივი დასკვნა.

ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.1: მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა my.gov.ge-ზე (საბაზისო 2019 წ.- 50 სერვისი, სამიზნე 2025წ. - 150).

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებაში განვითარებული ციფრული მმართველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ბოლო ათწლეულია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებში ექცევა. ამ მიზნით, 2012 წელს შეიქმნა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი (MY.GOV.GE) - საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისების ერთიანი სივრცე.

MY.GOV.GE-ზე ყოველწლიურად იზრდება მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა და 2021 წლის განმავლობაში, პორტალს დაემატა 9 ახალი სერვისი, მათ შორის, 8 სერვისით სარგებლობა შეუძლიათ მეწარმე სუბიექტებს.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე განხორციელდა ახალი სერვისების ინტეგრაცია.**

საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისების პორტალზე (MY.GOV.GE) ამ ეტაპზე, განთავსებულია 700-ზე მეტი მომსახურება.

საანგარიშო პერიოდში, ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალი სერვისის ინტეგრაცია სახელწოდებით **„დოკუმენტების/ინფორმაციის გამოქვეყნება”**. სერვისი ითვალისწინებს მეწარმე სუბიექტების მიერ კანონით განსაზღვრული დოკუმენტების პროაქტიულად გამოქვეყნებისა და კუთვნილი შეტყობინებების მიღების/გაცნობის შესაძლებლობას.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებით პორტალზე დამატებით განხორციელდა უკვე არსებულ სერვისებში ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი ტრანზაქციების ინტეგრაცია:

1. მშენებარე უძრავი ნივთების რეგისტრაცია:

- ✓ საკუთრების უფლების რეგისტრაცია გარიგების საფუძველზე მშენებარე დაურეგისტრირებელ ბინაზე/ერთეულზე;
- ✓ მშენებარე ბინის/ერთეულის დაყოფის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია;
- ✓ მშენებარე ბინების/ერთეულების გაერთიანების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია;
- ✓ რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მშენებარე ბინაზე/ერთეულზე;
- ✓ ნასყიდობა გადახდის განვადებით დაურეგისტრირებელ მშენებარე ბინაზე/ერთეულზე.

2. ცვლილებების/ფორმირების რეგისტრაცია:

- ✓ უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (ბინების/ერთეულების გადალაგება მიწაზე);
- ✓ უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (მიწის გადალაგება ბინაზე/ერთეულზე).

აღნიშნული სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

ჯამში, 2021 წლის განმავლობაში, პორტალს დაემატა 9 ახალი სერვისი, მათ შორის, 8 სერვისით სარგებლობა შეუძლიათ მეწარმე სუბიექტებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ახალი ელექტრონული სერვისების დამატებისა, ციფრული სერვისების მიწოდების არხების მრავალფეროვნების ნაკლებობამ დღის წესრიგში დააყენა სერვისების ხელმისაწვდომობის მობილური არხის განვითარების საკითხი, ალტერნატიული (მობილური) გარემოს შექმნითა და ცნობიერების ამაღლების გზით. დღეის მდგომარეობით, პორტალი (MY.GOV.GE) ხელმისაწვდომია მხოლოდ ვებ-აპლიკაციის სახით, მასზე განთავსებული სერვისებით სარგებლობისთვის საჭიროა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, უმრავლეს შემთხვევაში კი, ასევე, ელექტრონული პირადობის მოწმობის წამკითხველი მოწყობილობა და არ არსებობს მობილური აპლიკაცია. სერვისების მიწოდების არხების ნაკლებობა ასახვას ჰპოვებს ციფრული სერვისების გამოყენების მაჩვენებელზე.

ამდენად, დაგეგმილია სახელმწიფო სერვისების ერთ მობილურ აპლიკაციასა და ვებ-სივრცეში თავმოყრა (ციფრული იუსტიციის სახლი), რათა ნებისმიერ პირს 24 საათის განმავლობაში შეეძლოს ელექტრონულად, სახლიდან გაუსვლელად, მარტივად, როგორც ვებ-აპლიკაციის, ასევე, მობილური აპლიკაციის მეშვეობით მისთვის სასურველი მომსახურების მიღება.

- **ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) მოხმარების შესახებ მეწარმე სუბიექტების დატრენინგება.[21]**

- **განხორციელდა აქტივობები სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებ-გვერდის გაუმჯობესებისთვის.**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის განახლებულ ვებ-გვერდზე განთავსდა არსებული სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროექტების და პროგრამების შესახებ ერთიანი ინფორმაცია. მათ შორის, აღსანიშნავია წარმოების და ბიზნესის მხარდაჭერის პროექტები, როგორიცაა „უფასო ვებ-გვერდი ბიზნესს"; პროექტი „ერთი ბიზნესის ისტორია"; საგრანტო პროგრამა „ევროკავშირი ბიზნესისთვის: კომპანიების დაკავშირება"; პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა; ღია დიალოგი ბიზნესისთვის; ბიზნესის ფორუმები მეწარმეებისთვის ბიზნეს წრეების

[21] შენიშვნა: აქტივობა ვერ განხორციელდა - სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს" მიერ ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) მოხმარების შესახებ მეწარმე სუბიექტებისთვის ტრენინგების განხორციელება დაგეგმილია 2022-2023 წლებში. შეუსრულებლობის მიზეზი: კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები, საკანონმდებლო ცვლილებები და სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტების ცვლილება.

დაახლოებისა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით; უფასო ტრეინინგები მეწარმეებისთვის სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებით.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.2: მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომელთაც ელექტრონული სერვისი მიიჩნიეს 1) სასარგებლოდ, 2) მარტივად მოსახმარად.

2021 წელს ჩატარდა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის - MY.GOV.GE-ის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. კვლევის შედეგების თანახმად:

- ✓ 74.4% - გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს რომ პორტალი მარტივი გამოსაყენებელია;
- ✓ 67.4% - პორტალზე გამოყენებული ტერმინოლოგია, ტექსტების ფორმულირება (მაგ: სერვისების დასახელება, აღწერა) მარტივად აღსაქმელია გამოკითხულთათვის;
- ✓ 61.6% - პორტალის სტრუქტურა და მენიუ მარტივად აღსაქმელი და გამოსაყენებელია რესპონდენტთათვის;
- ✓ 61.3% - პორტალის ვიზული (გრაფიკა, დიზაინი) ეფექტურია/სასიამოვნოა;
- ✓ 61.3% - პორტალზე ხელმისაწვდომია განაცხადების შევსებისა და სერვისების გამოყენების საკმარისად დეტალური ინსტრუქციები;
- ✓ 81.1% - რეკომენდაციას გაუწევდა სხვებს იუსტიციის სახლის/საზოგადოებრივი ცენტრის ფილიალებში ვიზიტის ნაცვლად ესარგებლათ პორტალით.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.3: მომხმარებლების მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა მთლიან განცხადებებში (საბაზისო 2019 - 605 883; სამიზნე 2025 - ზრდა 20%).

2021 წელს, ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 8.2%-ით გაიზარდა და 893,831 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მონაცემი 2019 წლის მაჩვენებელს 47.5%-ით აჭარბებს.

მნიშვნელოვანია ელექტრონულად დარეგისტრირებულ განცხადებებში გადასახადის გადამხდელის მიერ დარეგისტრირებული განცხადებების წილი, რომელიც 2021 წელს ელექტრონული განცხადებების 66%-ს შეადგენს (594,081 განცხადება). ამ მიმართულებითაც დინამიკა დადებითია. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, გადასახადის გადამხდელის მიერ დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს - 9.6%-ით, ხოლო 2019 წლის მონაცემს 154.5% -ით აჭარბებს.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- ❖ **მომზადდა სერვისების გამოყენების ვიდეო გიდების და მომხმარებლის სახელმძღვანელო.**

შემოსავლებისა სამსახურის სერვისების განვითარების 2021-2024 წლების სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, იდენტიფიცირებული იქნა და აღირიცხა სერვისები, რომელსაც შემოსავლების სამსახური ახორციელებს. სერვისების სრული ჩამონათვალი, უახლოეს მომავალში ხელმისაწვდომი იქნება ერთიან ელექტრონულ კატალოგში. თვითმომსახურების წახალისებისთვის, დაწყებულია მუშაობა და 10 სერვისზე უკვე მომზადებულია მომხმარებლის სახელმძღვანელოები, რომელიც დაინტერესებულ პირს მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას თუ ვის, როდის, რა შემთხვევაში და როგორ შეუძლია სერვისით სარგებლობა, მათ შორის, განცხადების ელექტრონულად დარეგისტრირება. მომხმარებლის სახელმძღვანელოების გარდა, მსხვილ და მოთხოვნად სერვისებზე მომზადდება ვიდეო გიდები, რომელიც ანალოგიურ ინფორმაციას დაინტერესებულ პირს მიაწვდის ვიდეოების სახით.

შენიშვნა: 10 სერვისზე მომხმარებლის სახელმძღვანელოები მომზადებულია. იდენტიფიცირებულია 400-ზე მეტი სერვისი. შესაბამისად, ყველა სერვისზე სახელმძღვანელოსა და ვიდეო გიდების მოზადება გრძელვადიანი და კომპლექსური პროცესია.

ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.7.1: გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში ლიკვიდაციის ნაცვლად საწარმოს რეაბილიტაციით დასრულებულ გადახდისუუნარობის საქმეთა წილი (საბაზისო 2019 წ. - 5%; სამიზნე, 2025წ. - ჯამურად არანაკლებ 15%).

2020 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც სრული მოცულობით 2021 წლის აპრილიდან ამოქმედდა. აღნიშნული კანონის მიღებით საქართველოში გადახდისუუნარობის პროცესის მარეგულირებელი პროგრესული ჩარჩო ჩამოყალიბდა და გაჩნდა მეტი სტიმული საწარმოების რეაბილიტაციისთვის. რეაბილიტაციის წამახალისებელი მექანიზმების შემოღებით, ახალმა კანონმა მიმართულება უნდა შეუცვალოს არსებულ პრაქტიკას, რომლის პირობებშიც გადახდისუუნარობის საქმეთა უდიდესი უმრავლესობა გაკოტრებით სრულდება.

სხვა სიახლეებთან ერთად, კანონმა შემოიტანა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესია, რომლის ავტორიზაციის წესი და პირობები იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა.

2021 წელს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის საფუძველზე წარმოება 7 საქმეზე დაიწყო, საიდანაც მეურვეობის ეტაპზევე შეწყდა წარმოება 2 საქმეზე, 1 საქმე გადავიდა გაკოტრების რეჟიმზე, ხოლო დანარჩენ 4 საქმეზე მიმდინარეობს მეურვეობის რეჟიმი. რაც შეეხება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა

კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ” კანონს, მის საფუძველზე გადახდისუუნარობის საქმის წარმოება გაიხსნა 6 საქმეზე, საიდანაც 2 საქმეზე დაწყებულია რეაბილიტაციის, ხოლო 4 საქმეზე - გაკოტრების რეჟიმი. ამდენად, ახალი კანონის პირობებში, რეაბილიტაციის რეჟიმზე გადასვლის მაჩვენებელი არის 33%. ხოლო, საანგარიშო პერიოდში დაწყებულ საქმეთა მთლიანი რაოდენობის გათვალისწინებით - 15%.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების შერჩევა და მათი ერთიან რეესტრში შეყვანისთვის აუცილებელი საკანონმდებლო და ლოგისტიკური ბაზის შექმნა.**

2021 წლის 30 მარტს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გამოსცა „გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის განხორციელების, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიანი რეესტრის წარმოებისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შერჩევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” №696 ბრძანება. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრი”. აღნიშნული პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსს და საკვალიფიკაციო გამოცდას (ტესტირებას).

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო. პირის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსად ავტორიზაციის შემთხვევაში, მისი მონაცემები აისახება გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიან რეესტრში.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსად ავტორიზაცია 18 მაძიებელს მიანიჭა. ამავდროულად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიან რეესტრში გარდამავალი წესით უკვე ირიცხებოდა 5 პირი. საქართველოში დღეისთვის 23 მოქმედი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსია.

ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.1: კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა.

ქვეყანაში დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ხელს უწყობს

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვას და შემუშავებას. აღნიშნული, თავის მხრივ, ხაზს უსვამს მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც განაპირობებს რეფორმების ქმედუნარიანობას და ეფექტიანობას.

საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგანაც ჩართულობა, მონაწილეობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს უფრო ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის (PPD) ინსტიტუციური პლატფორმის დანერგვა სწორედ ის ინსტრუმენტია, რაც ეხმარება მთავრობას შეიმუშაოს ეფექტიანი პოლიტიკა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და აღმოფხვრას მეწარმეობის განვითარების ძირითადი დაბრკოლებები. თავის მხრივ, PPD ხელს უწყობს მთავრობასა და კერძო სექტორს შორის ნდობის განმტკიცებას, დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას და პრობლემების და მათი გადაჭრის გზების ერთობლივად შემუშავების შესაძლებლობას. შესაბამისად, PPD პლატფორმის განვითარების ხელშეწყობა და ქმედითობა სახელმწიფო მიზნებთან და ამოცანებთან სრულად თავსებადია.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომები**

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, 2016 წელს შეიქმნა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ კი კერძო სექტორის წარმომადგენელი განისაზღვრა.

2021 წლის 7 მაისს ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც, ფართო წარმომადგენლობით ფორმატში, შედგა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების ახალი სტრატეგიის" პროექტის განხილვა. სხდომას ესწრებოდა როგორც საჯარო და კერძო სექტორის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე, ასევე, შედგა დისკუსია კერძო სექტორის მხრიდან დასმული აქტუალური საკითხებისა და შემაფერხებელი გარემოებების შესახებ.

2021 წლის 21 დეკემბერს გაიმართა საბჭოს მეორე შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. საბჭოს შეხვედრაზე კერძო სექტორს წარედგინა ფინანსთა სამინისტროს სსიპ „შემოსავლების სამსახურის" პრეზენტაცია „კოვიდ პანდემია, გამოწვევები და რეფორმები", ასევე, პრეზენტაცია

„დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამით სამუშაო ძალის უნარების განვითარებისთვის კერძო სექტორისადმი შეთავაზებული სტიმულების თაობაზე. გაიმართა დისკუსია კერძო სექტორის საჭიროებებთან, ასევე, მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებთან დაკავშირებით.[22]

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.2: სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების რაოდენობა.

2021 წლის 24 ნოემბერს, ონლაინ რეჟიმში გაიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოსა (TAG) და ამავე საბჭოს ფარგლებში არსებული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის (DAG) გაერთიანებული შეხვედრა, გაფართოებული ფორმატით.

საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრაზე განხილულ იქნა ინფორმაცია თურქეთ-საქართველო-ევროკავშირს შორის დიაგონალური კუმულაციის ამოქმედებასთან დაკავშირებით USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში (განმახორციელებელი კვლევითი ცენტრი PMCG – Policy and Management Consulting Group) მიმდინარე კვლევასთან დაკავშირებით.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით, ჩატარდა სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომები.**

2021 წლის 24 ნოემბერს გამართულ საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრაზე განხილული იქნა ინფორმაცია თურქეთ-საქართველო-ევროკავშირს შორის დიაგონალური კუმულაციის ამოქმედებასთან დაკავშირებით USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე კვლევასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანია დიაგონალური კუმულაციის სქემით სარგებლობისთვის მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობა, პოტენციური ბენეფიციარი სექტორებისა და პროდუქტების იდენტიფიცირების გზით.

[22] კერძო სექტორის საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ოქმები, იხ. ბმული: http://www.economy.ge/?page=economy&s=84

შეხვედრაზე, ასევე, განხილული იქნა ინფორმაცია საქართველოს ლაბორატორიული (ინდუსტრიული მიმართულებით) შესაძლებლობების კვლევის თაობაზე, რომლის მიზანია ადგილობრივი ლაბორატორიების განვითარების მიზნით პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება.

კვლევა ხორციელდება საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) ფარგლებში.

სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო და DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფი 2016 წელს შეიქმნა. საბჭოს მიზანია, ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკასა და DCFTA-ის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების წარმოდგენა, რაც ხელს უწყობს კერძო და საჯარო დიალოგის გაძლიერებას.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.3: DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისთვის განთავსებულია dcfta.gov.ge-ზე (საბაზისო 2019წ. - 26 საკანონმდებლო აქტი; სამიზნე 2025 წ. – 120 ევროკავშირის საკანონმდებლო აქტი).

2021 წლის განმავლობაში dcfta.gov.ge-ზე კომენტარებისთვის განთავსდა ევროკავშირის 18 საკანონმდებლო აქტთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო აქტების პროექტები. SPS (Sanitary and Phytosanitary Standards) სფეროში ევროკავშირის 6 საკანონმდებლო აქტი საქართველოსთვის არარელევანტურია.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების პროექტები კომენტარებისთვის განთავსდა dcfta.gov.ge-ზე.**

DCFTA-ის განხორციელების პროცესში კერძო და საჯარო სექტორის მეტად ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ასევე, DCFTA-ის გამჭირვალობის თავით განსაზღვრული დებულებების შესრულების მიზნით, შეთანხმებისთვის განკუთვნილ ვებ-გვერდზე - dcfta.gov.ge, [23] სადაც შეთანხმების შესახებ სრული ინფორმაციაა განთავსებული, ინტეგრირებულია სპეციალური გვერდი. აღნიშნულ გვერდზე შეთანხმებით საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულებების შესრულების მიზნით შემუშავებული საკანონმდებლო აქტების პროექტები საჯაროვდება კომენტარებისთვის.

2021 წელს, განხორციელდა საიტის განახლება და ზემოაღნიშნული ფუნქცია მეტი თვალსაჩინოებისთვის და ამ პროცესში საზოგადოების როლის გასააქტიურებლად განთავსდა საიტის ცენტრალურ ნაწილში. საკანონმდებლო აქტების პროექტები, ასევე,

[23] წყარო: DCFTA ბიზნესისათვის, იხ. ბმული: https://dcfta.gov.ge/ge

დაიყო სფეროების მიხედვით. 2021 წელს საიტზე გასაჯაროვდა ევროკავშირის 10 საკანონმდებლო აქტთან დაახლოების მიზნით მომზადებული პროექტები. ევროკავშირის 6 საკანონმდებლო აქტი, რომელთან დაახლოების ვადაც, ასევე, 2021 წელი იყო განსაზღვრული, საქართველოსთვის არარელევანტურად იქნა მიჩნეული.

პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და შესაბამისად, ამ პროცესში მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის სტიმულირება, ადგილობრივი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნულ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება, სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერა სამეწარმეო უნარების განვითარების, სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების და ტექნიკური დახმარების მექანიზმების შემუშავების, ორგანიზებისა და განხორციელების მიმართულებით. მათ შორის, ასევე, აღსანიშნავია პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას, შეუსაბამობის შემცირებას ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, სამუშაო ძალის პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას,თვითრეალიზებას და შედეგად, უმუშევრობის დონის შემცირებას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება „მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა" - აერთიანებს 7 ამოცანას და 17 აქტივობას.

ამოცანა 2.1. შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.3: შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია და განხილვა (საბაზისო 2019 – 1 კვლევა; სამიზნე მაჩვენებელი - მინიმუმ 1 კვლევა წლიურად).

პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება წარმოადგენს, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი, როგორც მიწოდების, ასევე, მოთხოვნის კუთხით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციას განეკუთვნება შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებული კვლევებისა და ანალიზის მომზადება. სამინისტრო, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, სოციალურ პარტნიორებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში ახორციელებს კვლევით პროექტებს. ამასთან, სამინისტრო მეორად ინფორმაციაზე დაყრდნობით აანალიზებს შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციებს და ამზადებს შრომის ბაზრის ანალიზის წლიურ ანალიზს.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **ეკონომიკის ორ სექტორში (ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორები) განხორციელდა უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა**

ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებთან მიმართებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში შრომის ბაზრის მოთხოვნების ტენდენციების შესწავლა და არსებული გამოწვევების გამოვლენა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩატარდა „ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნისა და სამომავლო განზრახვის კვლევა", რომლის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე აღნიშნულ სექტორებში საწარმოების არსებული და სამომავლო მოთხოვნის გამოვლენა, რომელთა გათვალისწინებაც შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

კვლევის შედეგად განხორციელდა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე როგორც არსებული მოთხოვნის, ასევე სამომავლო განზრახვის შესწავლა და შესაბამისად, გაანალიზდა ამ სექტორებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, დასაქმების ცვლილების და არსებული სამუშაო ძალის ახლით ჩანაცვლების საჭიროებების ასპექტები.

აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას.

- **მომზადდა შრომის ბაზრის წლიური ანალიზი.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადდა 2021 წლის „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი". ანგარიში აანალიზებს ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლებს, მათ შორის, სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში, ასევე, მიმოიხილავს მიგრაციის მიმართულებით არსებულ ტენდენციებს, კერძო სექტორის როლს დასაქმების მაჩვენებლებში. ანგარიში შეისწავლის შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

ანგარიშში, ასევე, მოცემულია შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის ანალიზი სახელმწიფო და კერძო დასაქმების სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიებზე დაყრდნობით. კერძოდ, ანგარიშში წარმოდგენილია 2021 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების რაოდენობა, ასევე, დასაქმების კერძო სააგენტოს (hr.ge) მონაცემთა ანალიზი, სადაც ვაკანსიები დაჯგუფდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასაქმების სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO 2008) მიხედვით. ანგარიშში მიმოიხილულია საქართველოს შრომის ბაზრის მიმართულებით არსებული კვლევები. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, რომელშიც მოცემულია საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა.

მომზადებული დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე[24].

[24] წყარო: შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა „შრომის ბაზრის ანალიზი 2021"; იხ. ბმული: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=95c310f6-0fd8-4f82-a3d8-7a0dd699dcc1

ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1: ჩატარებული ტრენინგების/შეხვედრების რაოდენობა წლიურად (საბაზისო, 2019 წ. - 25; სამიზნე, 2025წ. - ზრდა 50%).

შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ბოლო წლებში შრომითი უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა. თავის მხრივ, შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ქვეყანამ აიღო ვალდებულება, შრომის ეროვნული დებულებები დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას. ასოცირების შეთანხმების მიხედვით, საქართველო ვალდებულია, პატივი სცეს, ხელი შეუწყოს, საკუთარ კანონმდებლობაში ასახოს და პრაქტიკაში დანერგოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუნდამენტური, პრიორიტეტული და სხვა კონვენციებით აღიარებული შრომის ძირითადი სტანდარტები, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ.

2020 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ", რომელმაც განსაზღვრა სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის სამართლებრივი სტატუსი, სამსახურის საქმიანობის პრინციპები, მიზანი და მიმართულებები, მთავარი ინსპექტორის, მრჩეველთა საბჭოს ამოცანები და ფუნქციები. შრომის ინსპექციის სამსახური, მიზნებისა და საჭიროების ფარგლებში, უზრუნველყოფს კონსულტირების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, სწავლების, ცნობიერების ამაღლების, საკითხისადმი სისტემური მიდგომის და მათ შორის, აღსრულების მექანიზმის მეშვეობით შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას.

2021 წელს, მრავალმხრივი კონსულტაციებისა და დიალოგის პლატფორმის გამოყენებით, შრომის ინსპექციის მანდატის სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობდა შრომის ინსპექციის მიერ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებულ პროტოკოლზე, შრომის უფლებებზე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განახლების საკითხებზე, შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებისა თუ ინსპექტირების შედეგების მიმართულებით.

შრომის ინსპექციის მიერ, მისი უშუალო ჩართულობით, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი უწყებების მხარდაჭერით, განხორციელდა მრავალი აქტივობა (შეხვედრა, ტრენინგი) ცნობიერების ამაღლებისა თუ სამუშაო მიმართულებით. გარდა ამისა, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის, რომლის ფარგლებშიც დაიწყო პროექტში „შრომის უსაფრთხოების დესპანი" მოტივირებული სტუდენტების შერჩევა, შრომის ინსპექციის მიერ გადამზადება და დატრენინგებული დესპანების მხრიდან დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირება არსებულ კოვიდ რეგულაციებზე.

განხორციელებული აქტივობების შედეგად, ბიზნეს წარმომადგენლებს აუმაღლდათ ცნობიერება არსებულ თუ მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირების მიზნით, ჩატარდა შეხვედრები სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ.**

2021 წელს, ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრების ფორმატში განხორციელდა 180-მდე შეხვედრა 9000-მდე წარმომადგენელთან. აღნიშნული შეხვედრებისას განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის:

- ✓ სამუშაო სივრცეში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით განსაზღვრული პროტოკოლი სექტორულ დონეზე;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობების აღდგენის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები, მათ შორის, მწვანე პასპორტების რეგულირების მიმართულებით;
- ✓ შრომის ისნპექციის როლი COVID-19-ის მართვაში და ერთობლივი მკაცრი მონიტორინგი განსაზღვრულ ნორმებზე;
- ✓ მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები და შრომის ინსპექციის მანდატის გაზრდის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები.

გარდა ამისა, 2021 წელს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელდა 25 ტრენინგი 1,200-მდე რეგიონული/სექტორული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლისთვის.

ტრენინგის ფარგლებში დამსწრე ბიზნესის წარმომადგენლებს დეტალურად მიეწოდათ ინფორმაცია:

- ✓ შრომის კოდექსში შესულ ცვლილებებზე, მათ შორის, სამუშაო დროის აღრიცხვის ნორმებზე და მისი ზედამხედველობის შესახებ;
- ✓ შრომის ინსპექციის მანდატის შესახებ;
- ✓ ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან COVD-19 დაკავშირებული რეკომენდაციების და მათი აღსრულების შესახებ სექტორულ ჭრილში;

- ✓ იძულებითი შრომის, შრომითი ექსპლუატაციის მიმართულებით შრომის ინსპექციის მანდატსა და რეფერალურ მექანიზმებზე.

განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროექტის „შრომის უსაფრთხოების დესპანი" ფარგლებში გადამზადებული სტუდენტების მიერ, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით 1,212 ობიექტზე განხორციელდა სექტორული რეკომენდაციების გაცნობა, რაც შეეხო 9,200-მდე დასაქმებულს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2: ტრენინგების/შეხვედრების მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გააუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან (საბაზისო 2019წ.- არა; სამიზნე, 2025წ. - 80%).

ტრენინგების/შეხვედრების მონაწილეთა უკუკავშირის საფუძველზე გამოვლინდა, რომ არანაკლებ 80% აცხადებს, რომ ტრენინგზე/შეხვედრაზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გააუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან შესაბამისობის ხარისხი.

ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრენინგების გზით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1: დატრენინგებულ მეწარმეთა პროცენტული წილი, რომლებიც თვლიან, რომ ტრენინგის განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაში (საბაზისო 2019 - არა; სამიზნე, 2025 - 65%).

სამეწარმეო უნარების გაძლიერების მიზნით განხორციელებული ტრენინგების, მათ შორის IT ტრენინგების შედეგად, უზრუნველყოფილია შესაბამისი პროექტების ფორმირება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კოორდინირება, ყველა სფეროში ინოვაციების შეღწევის ხელშეწყობა და მათი გამოყენების ეფექტურობის ამაღლება. IT სპეციალისტების მოსამზადებელი პროექტების შედეგად, ხელი შეეწყო IT მიმართულებით განათლების დონის ამაღლებას და მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ ტრენინგების დასრულების შემდეგ დასაქმდნენ კონკრეტული მიმართულებით და შეასრულონ პროექტები.

აღნიშნული პროექტების შედეგად, გაზრდილია ხელშეწყობა რეგიონის მოსახლეობისთვის თანამედროვე უნარებზე წვდომის მიმართულებით.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **ჩატარდა ტრენინგები შრომის კანონმდებლობის, საგადასახადო საკითხების, უძრავი ქონების საკუთრების, კონკურენციის სამართლის და სხვა საკითხების შესახებ** (ს/გ - 1,000 დატრენინგებული).

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მეწარმე-სუბიექტებისათვის საანგარიშო პერიოდში გაიმართა 15 ტრენინგი სხვადასხვა თემატიკის მიმართულებით, როგორიცაა საგადასახადო საკითხები, კონკურენცია და ანტიდემპინგი, ბიზნეს დავები, ელექტრონული კომერცია, ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, შრომის სამართლის საკითხები.

სავაჭრო პალატის მიერ ელექტრონული კომერციის ტრენინგები მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის აკადემიის მხარდაჭერით ჩატარდა. ტრენინგზე მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს. ტრენინგის კურსი 4 დღის განმავლობაში გაგრძელდა და მეწარმეებმა მიიღეს საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ელ. კომერციის შემდეგ საკითხებზე: რა არის ელექტრონული კომერცია და მისი უპირატესობები, ელ. კომერციის ადგილობრივი და საერთაშორისო პლატფორმები, ციფრული მედია და კომუნიკაცია, სოციალური ქსელები და მათი მნიშვნელობა გაყიდვებში, პროდუქციის ვიზუალური და შინაარსობრივი მხარის მნიშვნელობა, მონაცემების დამუშავება და ანალიზი, ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები სოციალურ ქსელებში, ადგილობრივი და საერთაშორისო გადახდის მეთოდები და სხვ.

სავაჭრო პალატის ორგანიზებით, მეწარმეებისთვის შრომის სამართლის სიახლეებზე ონლაინ ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგზე მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა მეწარმემ მთელი საქართველოს მასშტაბით, სადაც ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, შინაგანაწესის ცვლილება, არასრული სამუშაო განაკვეთი, შესვენებისა და დასვენების დრო, სამუშაო დროის აღრიცხვა, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა და საწარმოთა გადაცემა.

სავაჭრო პალატის მიერ ორგანიზებული ტრეინინგების ფარგლებში, სულ დატრენინგდა 1535 დაინტერესებული პირი.

საანგარიშო წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით უზრუნველყოფილი იქნა ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების 3 კურსი. ასევე, CIDA-ს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN women) მხარდაჭერით და სააგენტოს ჩართულობით ბიზნეს სექტორისთვის თემატური ტრენინგები იქნა უზრუნველყოფილი სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პოპულარიზაციის, გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების (WEPs), ასევე, საწარმოებში ეკოინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

- **სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" რეგიონალურ ინოვაციურ ცენტრებში ტექნოლოგიურ უნარებთან მიმართებით ტრენინგების ჩატარება.**

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ცენტრებში წლის განმავლობაში განხორციელდა თემატური ტრენინგები. ასევე, ბენეფიციარებს საშუალება მიეცათ დასწრებოდნენ ონლაინ ტრენინგებს.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სააგენტოს მიერ განხორციელებული ტრენინგები IT დისტანციური მხარდაჭერის, VOIP, Front-End, Java, Python, PHP, Android, iOS პროგრამირების, IT პროექტების და მათი ხარისხის მართვის, ასევე, კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებები შერჩეული იქნა სხვადასხვა კვლევისა და მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად.

სააგენტოს ორგანიზებით დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს პორტალის შექმნა, სადაც განთავსებული იქნება როგორც ვებინარები, ისე ონლაინ ტრენინგები, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის მიღებას საქართველოს ნებისმიერ წერტილში სახლიდან გაუსვლელად.

შედეგად, რეგიონალურ ტექნოპარკებსა და ინოვაციების ცენტრებში, 2021 წლის განმავლობაში, სხვადასხვა ტიპის ტრენინგი, ლექცია და კურსი გაიარა 3,766-მა მონაწილემ.

ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.1: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ-ები) რაოდენობა, სადაც დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია (საბაზისო 2019 წ.- 0; სამიზნე, 2025 წ. - 5).

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიზანია შექმნას ერთიანი სივრცე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის, ხელი შეუწყოს ინდივიდის პროფესიულ განვითარებას, მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები, ხელი შეუწყოს პირის დასაქმებას, მათ შორის თვითდასაქმებას. სწორედ პროფესიული განათლება იძლევა მოქნილი და მოკლევადიანი პროგრამებით შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და ხელობების დაუფლების შესაძლებლობას.

პროფესიული განათლების სფეროში დაარსდა ახალი კოლეჯები/ფილიალები, განახლდა არსებული კოლეჯების ინფრასტრუქტურა, დაინერგა „ინტეგრირებული" პროგრამები და ა.შ. პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის მონაწილეობის

გაზრდის მიზნით გრძელდება მუშაობა დუალური განათლების მიდგომისა და საჯარო და კერძო პარტნიორობის მოდელის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით. გაიზარდა დუალური მიდგომით დანერგილი პროგრამების რაოდენობა.

პროფესიული განათლების საფეხურზე, მეწარმეობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განხორციელდა მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის მოდელის პილოტირების პროცესი, რომელიც ETF-სა და UNDP-ის მხარდაჭერით შემუშავდა. პილოტირების პროცესში მეწარმეობრივი კულტურა ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (სსიპ კოლეჯი „მოდუსი", სსიპ კოლეჯი „იბერია") დაინერგა.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **დაწყებულია განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების 2021-2025 წწ. სტრატეგიის განვითარება და დანერგვა.**

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით მომზადდა განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების 2022-2026 წწ. სტრატეგიის პროექტი. დოკუმენტი ინიცირებულია და მიმდინარეობს შიდაუწყებრივი შეთანხმების პროცესი.

- **განხორციელდა დუალური მიდგომით პროფესიული პროგრამები** (ს/გ - 40-მდე დასახელების დუალური პროგრამა).

2021 წლის მდგომარეობით, პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილია 45-მდე უნიკალური დასახელების, დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მშენებლობის, ტურიზმის, ბიზნეს ადმინისტრირების, ტრანსპორტის და ლოგისტიკის მიმართულებით. მათ შორის, 2021 წელს, სამმა კოლეჯმა დაიმატა 4 დასახელების დუალური პროგრამა.

მაგალითისთვის, ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბუღალტრული აღრიცხვის შესწავლა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი პროფესიული კადრების მომზადებას, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; უზრუნველყონ ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმება და ანალიზი, განახორციელონ ბუღალტრული გატარებები; შეადგინონ და დადგენილი წესით წარადგინონ საგადასახადო დეკლარაციები; უზრუნველყონ საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე, შეძლონ ფინანსური

ანგარიშგების, პირველადი სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსური დოკუმენტაციის შედგენა გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

- **განხორციელდა მეწარმეობრივი კულტურის კონცეფციის პილოტირება** (ს/გ - 2 საგანმანათლებლო დაწესებულებაში).

2021 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო 2 დაწესებულებაში (კოლეჯი „იბერია" და კოლეჯი „მოდუსი") განხორციელდა მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის პილოტირების პროცესი, რომელიც ევროპული განათლების ფონდის (ETF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შემუშავდა. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის პილოტირების პროცესი განხორციელდა კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ. პროექტის ფარგლებში შეიქმნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შიდა-ინსტიტუციური მეწარმეობის შესწავლის და შეფასების მეთოდოლოგიური პრინციპების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც დაეფუძნა სამაგიდე კვლევასა და ჩართულ მხარეებთან განხორციელებულ ინტერვიუებს.

დოკუმენტი, გარდა მეწარმეობრივი საგანმანათლებლო დაწესებულების მოდელის და შეფასების პრინციპებისა, ასევე, მოიცავს მეწარმეობრივი კულტურის განვითარების სამოქმედო გეგმის ნიმუშს. პილოტირების პროცესში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების მეწარმეობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება და შემუშავებული მოდელის შესაბამისად, შეთავაზებული იქნა რეკომენდაციები, რაც ასახულია შემდეგ დოკუმენტებში:

- კოლეჯ „იბერიის" შიდა-ინსტიტუციური მეწარმეობის ხელშემწყობ ღონისძიებათა გეგმა;
- კოლეჯ „მოდუსის" შიდა-ინსტიტუციური მეწარმეობის ხელშემწყობ ღონისძიებათა გეგმა;
- კოლეჯ „იბერიის" სტრუქტურის რეორგანიზაცია. ზოგადი პრინციპები, განახლებული სტრუქტურის პროექტი, რეკომენდაციები;
- კოლეჯ „მოდუსის" სტრუქტურის რეორგანიზაცია. ზოგადი პრინციპები, განახლებული სტრუქტურის პროექტი, რეკომენდაციები.

პროექტის ფარგლებში, ასევე, შემუშავდა თვითმართული სასწავლო კურსი „შიდა-ორგანიზაციული მეწარმეობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში".

- **სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შექმნილია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.**

არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, პროფესიული განათლების შესახებ ახალმა კანონმა (2018 წელი), პროფესიულ კოლეჯებს ეკონომიკური საქმიანობის უფლება მისცა. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2020 წელს სამინისტრომ დაიწყო მუშაობა მარეგულირებელ ჩარჩოზე, რომლის ფარგლებშიც საკონსულტაციო ჯგუფმა მოამზადა კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების კონცეფციის სამუშაო დოკუმენტი. კონცეფციის დოკუმენტში მიმოხილულია კოლეჯების ეკონომიკურ საქმიანობასთან შემხებლობაში მყოფი საკანონმდებლო ბაზა და შემოთავაზებულია საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური ჩარჩო, ასევე, ასახულია კოლეჯების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სწავლის პროცესში შექმნილი პროდუქციისა და სერვისის შესახებ. კონცეფციაზე და შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა „სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება.

აღნიშნული, საგანმანათლებლო დაწესებულებებს მისცემს ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობას, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი განაპირობებს საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსურ მდგრადობას, სასწავლო პროცესის განვითარებას, სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების მოპოვებასა და შექმნილი პროდუქციის/გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. 2022 წლიდან დაიწყება რეგულაციის დანერგვისათვის მოსამზადებელი სამუშაოები და კოლეჯების კონსულტირება.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.2: მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა (საბაზისო, 2019 წ. - 444 წლიურად; სამიზნე, 2025 წ. - 1500 წლიურად).

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ასევე, ვაუჩერულ დაფინანსებაში ჩართულნი არიან კერძო პროვაიდერები პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში.

2021 წელს, პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსი 2,621-მა პირმა დაასრულა.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **პროფესიულ განათლებაში ზრდასრულთა სწავლების მასშტაბის გაზრდის მიზნით, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება.**

2021 წელს, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული 90 დაწესებულებებიდან, 48 დაწესებულებამ (53%-მა) მიღება გამოაცხადა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.3: დანერგილი დუალური მიდგომის პროფესიული პროგრამების რაოდენობა (საბაზისო 2019 - 35-მდე; სამიზნე, 2025 - 45-მდე).

2021 წლის მდგომარეობით, პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილია 45-მდე უნიკალური დასახელების დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.5.1: სერვისების მიმღებთა რაოდენობა (საბაზისო 2020 წ.- 3458; სამიზნე - ზრდა 10%).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში" ფუნქციონირებს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა (WorkNet). WorkNet არის ვებ-პორტალი, რომელიც ერთ სივრცეში აერთიანებს შრომის ბაზრის ორ სუბიექტს, სამუშაოს მაძიებელსა და დამსაქმებელს. იგი კერძო დამსაქმებელს საშუალებას აძლევს მარტივად, სწრაფად და უფასოდ მოიძიოს ინფორმაცია სასურველი ადამიანური რესურსების შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პორტალზე კერძო დამსაქმებელს დამოუკიდებლად შეუძლია შექმნას და მართოს საკუთარი გვერდი, გამოაქვეყნოს კომპანიაში არსებული ვაკანსია, იხილოს გამოქვეყნებული ვაკანსიის მოთხოვნების შესაბამისად სისტემის მიერ ავტომატურად შერჩეული სამუშაოს მაძიებლების პროფილები და სურვილის შემთხვევაში დაუკავშირდეს მათ.

2021 წელს, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირდა და ინდივიდუალური კონსულტირება გაეწია სამუშაოს მაძიებლებს, რომლებმაც მიიღეს სხვადასხვა სახის სერვისი, როგორიც არის საშუამავლო მომსახურება, მხარდაჭერითი

კონსულტირება, სუბსიდირება, დასაქმების ფორუმში მონაწილეობა, ასევე, გაეწიათ მომსახურება პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში. განისაზღვრა ის პირები, რომლებიც ჩაერთვნენ მომზადება-გადმზადებისა და საკვანძო კომპეტენციების ტრენინგებში, ასევე, გაიარეს სტაჟირება. სერვისების მიმღებთა რაოდენობამ 13,121 პირი შეადგინა, მათ შორის, 5,019-ზე მეტი ქალია.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (lmis.gov.ge) განვითარება.**

შრომის ბაზრის ტენდენციებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული ითვალისწინებს ახალი ფუნქციონალების დამატებასა და საზოგადოების ფართო აუდიტორიისათვის ციფრობრივი ინფორმაციის აღქმადობის გაუმჯობესებას. შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევებისა და მომზადებული ანალიზის მიუხედავად, საზოგადოების ფართო აუდიტორიისთვის კვლევის შედეგების სიღრმისეული გაგების და მათი პრაქტიკაში გამოყენების კუთხით არსებული გამოწვევის დაძლევა კვლევების „გაციფრულებით" იქნება შესაძლებელი.

სწორედ ამ მიზნით, შემუშავდა მიდგომა კვლევების გაციფრულებასთან მიმართებით. შრომის ბაზრის კვლევები მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებსა და მიგნებებს სხვადასხვა სექციის მიხედვით. შესაბამისად, გაციფრულების შედეგად შესაძლებელი იქნება კვლევების შედეგების და მიგნებების გამოტანა როგორც კვლევის ძირითადი სექციების, ასევე, უფრო დეტალურ ჭრილში ყველა იმ ცვლადზე, რაც ჩაითვლება მნიშვნელოვნად. გაციფრულებული ინფორმაცია ვიზიტორს საშუალებას მისცემს უშუალოდ მისთვის საინტერესო შედეგებსა და მიგნებებს გაეცნოს კვლევიდან.

- **შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა; საშუამავლო მომსახურება; მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა (შრომის ანაზღაურების სუბსიდირება); დასაქმების ფორუმების მოწყობა; ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ; სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება; სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა.**

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება. პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის – www.worknet.gov.ge-ს განვითარება - მიმდინარეობს www.worknet.gov.ge-დან სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება, მონაცემთა ბაზების ფორმირება და ანგარიშის დამუშავება. 2021 წელს, სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 8,994 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის, ქალი - 5,154. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სულ სისტემაში დარეგისტრირებულია 350,009 სამუშაოს მაძიებელი. ასევე, სისტემაში, 875 დამსაქმებელმა დაარეგისტრირა 11,414 თავისუფალი სამუშაო ადგილი.

შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე - ეს არის პროცესი, რომელიც ხორციელდება დასაქმების კონსულტანტისა და სამუშაოს მაძიებლის პირისპირ შეხვედრის ფორმატში და მიზნად ისახავს დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით პიროვნულ განვითარებას. „შრომის ბაზარზე ქცევის წესების" გაცნობის მიზნით, სააგენტოს სერვის ცენტრებში სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური კონსულტირებები. შედეგად, შემოსული ინფორმაციის მიხედვით, ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 2,584 სამუშაოს მაძიებელმა. მათ შორის, ქალი - 1,633.

ასევე, კონსულტირებული პირებიდან 155 პირს (მათ შორის, 103 ქალი) შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით უფიქსირდება ხელფასი იმ დამსაქმებლებთან, რომლებიც თანამშრომლობენ სააგენტოსთან და რომელთა ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისთვის.

რაც შეეხება ჯგუფურ კონსულტირებას, აღნიშნული აქტივობა დაგეგმილი იყო პირველი კვარტლის ბოლოს, თუმცა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 მარტის №01-73/ო ბრძანების თანახმად, ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო, გაუქმდა სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში დანიშნული ყველა მასობრივი და საჯარო ღონისძიება.

საშუამავლო მომსახურების გაწევა/განვითარება - აქტივობის მიზანია თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიებისა და სამუშაოს მაძიებლების დასაქმების მიზნით, დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ოპერატიული და ეფექტიანი კავშირის ხელშეწყობა. დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ 11,414 თავისუფალ სამუშაო ადგილზე, საშუამავლო მომსახურების გაწევის მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს, მათ შორის, ზემოაღნიშნულ 39,000-ზე მეტ პირს, რომლებიც იყვნენ დაქირავებით დასაქმებულები და პანდემიის შედეგად დაკარგეს სამსახური ან/და შემოსავალი.

ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 2,997 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის, 1,467 ქალი. შედეგად, დასაქმებულია 785 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის, 400 ქალი).

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა - აქტივობის მიზანია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობის სერვისების დანერგვა. 2021 წელს, სააგენტოს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა, საქართველოს მასშტაბით, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტირება გაუწიეს 220 შშმ პირს (მათ შორის 95 ქალი). დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შშმ პირთათვის მოძიებული იქნა 54 ვაკანსია. მიმდინარე წელს, საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, დასაქმდა 38 შშმ პირი (მათ შორის 19 ქალი).

ასევე, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 3 დამსაქმებელი და 8 სამუშაოს მაძიებელი შშმ პირი (თბილისი - 6, შიდა ქართლი 1 და კახეთი - 1), მათ შორის, 2 ქალია. კომპონენტის ფარგლებში დასაქმებულია 5 შშმ პირი.

დასაქმების ფორუმების მოწყობა - აქტივობის მიზანია დამსაქმებლებს, პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარება. 2021 წელს ჩატარდა 11 დასაქმების ფორუმი, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობა მიიღო 341-მა დამსაქმებელმა და 2,500-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში, დღეის მდგომარეობით, დასაქმებულია 341 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის 178 ქალი). მიმდინარეობს მონაწილეთა მონიტორინგი დასაქმების კუთხით.

ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ - 2021 წელს სააგენტომ შეიმუშავა დამსაქმებლების გამოკითხვისა და ვაკანსიების მონიტორინგის სახელმძღვანელო. შემუშავებული სახელმძღვანელო და კითხვარი, გაუმჯობესების მიზნით, გადაეგზავნა ევროკავშირის „Skills for Jobs" პროექტის ფარგლებში სააგენტოს ტექნიკური დახმარების ჯგუფის წევრებს. მიღებულ იქნა რეკომენდაცია დამსაქმებელთა შერჩევის მეთოდთან და კითხვარის დიზაინთან დაკავშირებით. ვაკანსიების მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული გამოკითხვის პროცესში ჩაერთო 220-მდე დამსაქმებელი.

სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება - აქტივობის მიზანია მედიის, საზოგადოების, დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები, დასაქმების კერძო სააგენტოები) ცნობიერების ამაღლება დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ. 2021 წლის 18-19 ივნისს, რეგიონული და ცენტრალური მედიისა და დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები) წარმომადგენელთათვის, სააგენტომ ჩაატარა საინფორმაციო

შეხვედრა. ასევე, სააგენტომ დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ მოამზადა საინფორმაციო მასალები ქართულ და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ენებზე, შედეგად დაიბეჭდა 500-500 ერთეული ბუკლეტი და ბროშურა.

- **სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის აქტივობებია: პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებება; საკვანძო კომპეტენციების განვითარება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირება).**

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებით/გაძლიერებით, სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით, დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებების გაწევა მუნიციპალურ დონეზე - აქტივობის მიზანია პროფკონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება ქვეყნის მასშტაბით. 2021 წელს, სააგენტოს სერვის ცენტრებში ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება ჩაუტარდა 1,853 სამუშაოს მაძიებელს.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება - აღნიშნული ხორციელდება ვაკანსიების მონიტორინგისა და შრომის ბაზრის თვისობრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილი, მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის სწავლა უფასოა. 2021 წელს, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების კომპონენტში ჩაერთო 24 მიმწოდებელი და კომპონენტის მოსარგებლედ დარეგისტრირდა 2,080 სამუშაოს მაძიებელი. სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულა 1,924 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის, 412 სამუშაოს მაძიებელია, რომელმაც სწავლა დაიწყო 2020 წელს.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, დასაქმდა 1,373 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, 1,076 - ქალი.

სტაჟირება - სტაჟირების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და სწავლება შემდგომი დასაქმების მიზნით. სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება დამსაქმებელთან შეთანხმებით და არ აღემატება 3 კალენდარულ თვეს. პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების კომპონენტში

ჩაერთო 25 დამსაქმებელი და 147 სტაჟიორი. კომპონენტის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით, დასაქმებულია 79 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის 61 ქალი).

საკვანძო კომპეტენციების განვითარება - დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ", 2021 წელს, პროგრამის ფარგლებში საკვანძო კომპეტენციების სასწავლო პროგრამები განახორციელა შემდეგი მიმართულებებით: პერსონალური და სოციალური კომპეტენცია, ციფრული კომპეტენცია, სამეწარმეო კომპეტენცია და მულტილინგვურობის კომპეტენცია (გერმანული, ინგლისური, ფრანგული). შედეგად, სულ, საკვანძო კომპეტენციების ტრენინგ კურსებზე ჩაერთო 727 სამუშაოს მაძიებელი. აქედან, პერსონალური და სოციალური კომპეტენციის მიმართულებით ჩაერთო 169 ბენეფიციარი, ციფრული კომპეტენციის მიმართულებით - 208 ბენეფიციარი, სამეწარმეო კომპეტენციის მიმართულებით - 79 ბენეფიციარი, მულტილინგვურობის კომპეტენციის მიმართულებით - 271 ბენეფიციარი. კომპონენტის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით, დასაქმებულია 70 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის 61 ქალი).

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.5.2: სერვისების მიმღებთა რაოდენობა, რომელიც დასაქმდება (საბაზისო 2020 წ.- 908; სამიზნე - ზრდა 10%).

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებისა და სერვისების ფარგლებში, 2021 წელს, დასაქმებულია 3,812 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, საშუამავლო მომსახურებით - 785, მხარდაჭერითი სერვისით - 38, მომზადება-გადამზადების პროგრამით - 1,373, ფორუმით - 341, სტაჟირების კომპონენტით - 79, სუბსიდირების კომპონენტით - 5, საკვანძო კომპეტენციის ტრენიგებში გადამზადებული პირებიდან დასაქმებულია 70 პირი. კონსულტირებული პირებიდან 155 პირს (მათ შორის 103 ქალი) შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით უფიქსირდება ხელფასი იმ დამსაქმებლებთან, რომლებიც თანამშრომლობენ სააგენტოსთან.

ამასთან, ხელახალი დასაქმების მიზნით შეთავაზებული იქნა არსებული სახის აქტივობები იმ პირებთან, რომლებმაც დაკარგეს სამსახური პანდემიის პერიოდში, შედეგად, დასაქმებულია - 966 პირი, მათ შორის, 627 ქალი. ამასთან, 2021 წელს დასაქმებულია 3,812, მათ შორის, 2,525 ქალი.

ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.6.1: დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა (საბაზისო, 2019 - 30 კომპანია, სამიზნე 2025 - არანაკლებ 150 კომპანია).

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში აქტიურად ხორციელდება ქვეყანაში ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (Responsible Business Conduct - RBC) ხელშეწყობა, რაც გულისხმობს გარემოს მიმართ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვას. ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიების საქმიანობაზე, არამედ ზოგადად, ქვეყნის განვითარებაზე და განიხილება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის, აგრეთვე, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მექანიზმი. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის ცოდნის ამაღლება RBC-სთან დაკავშირებით და ამ პრინციპების დანერგვის პოპულარიზაცია.

CIDA-მ, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" ჩართულობით, საანგარიშო პერიოდში ჩაატარა თემატური შეხვედრები ბინზეს სექტორთან შემდეგი მიმართულებით:

- ✓ გლობალური ზეგავლენის ინიციატივები: დასახე მიზნად გენდერული თანასწორობა (TGE) და SDG ამბიცია;
- ✓ მარტი, 2021 „აქციე გლობალური მიზნების ადგილობრივ ბიზნესად - საქართველო" რეგიონულ კონფერენციაა, რომლიც ონლაინ ფორმატში ჩატარდა, ესწრებოდა 309 მონაწილე, საიდანაც 146 ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები იყვნენ;
- ✓ აპრილი, დეკემბერი 2021: კორპორაციული მდგრადობის აკადემიის მიერ 16 მედია ორგანიზაცია გადამზადდა, დეკემბრის თვეში 10 კომპანიის წარმომადგენლებმა 60 საათიანი სრული კურსი გაიარეს;
- ✓ ივლისი - დეკემბერი, 2021: TGE-ის ფარგლებში ჩატარდა 7 სამუშაო შეხვედრა ადგილობრივად და 8 საერთაშორისო შეხვედრა, სადაც ქართულ კომპანიებს მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდათ. ინიციატივაში მონაწილეობა მიიღო 13-მა კომპანიამ საქართველოდან;
- ✓ ოქტომბერი, 2021: ჩატარდა მდგრადი განვითარების მიზნების ვირტუალური გამოფენა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 100-ზე მეტი წარმოადგენელი კერძო სექტორიდან;
- ✓ ნოემბერი - დეკემბერი, 2021: SDG ამბიციის ფარგლებში ჩატარდა 3 შეხვედრა ინიციატივის მონაწილე 18 კომპანიასთან.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა (GCNG) გამოსცა პუბლიკაცია, რომელიც აერთიანებს პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის მაგალითებს საქართველოში. აღნიშნული პუბლიკაციის საფუძველი, კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოს კონკურსი 2021-ია, რომელიც 2021 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარდა. კონკურსის ფარგლებში 124 კომპანიის განაცხადი გაკეთდა 6 ნომინაციის

მიმართულებით. ნომინაციები კი მდგრადი განვითარების დღის წესრიგს შეესაბამებოდა.

საანგარიშო წელს, კორპორაციული მდგრადობის აკადემიაში, რომელიც 2020 წელს დაარსდა GCNG-ის მიერ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) პარტნიორობითა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, 96 სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენელი გადამზადდა. კერძოდ, 9-11 ივნისს, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით გაიმართა მოკლე კურსი „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიური სააგენტოსა“ და „აწარმოე საქართველოში“ წარმომადგენლებისთვის, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ კორპორაციული პასუხისმგებლობის ძირითად საკითხებს და საერთაშორისო/ადგილობრივ დონეზე არსებულ სტანდარტებსა და პრაქტიკულ მაგალითებს[25].

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **კომპანიების და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებისთვის კორპორაციული მდგრადობის სხვადასხვა თემატურ მიმართულებაზე ჩატარდა ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები (ს/გ - გადამზადებულია არანაკლებ 50 კომპანიის/ ასოციაციის წარმომადგენელი).**

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა თემატური შეხვედრები ბიზნეს სექტორთან შემდეგი მიმართულებით:

გლობალური ზეგავლენის ინიციატივები: დასახე მიზნად გენდერული თანასწორობა (TGE) და SDG ამბიცია. TGE-ის ფარგლებში ჩატარდა 7 სამუშაო შეხვედრა ადგილობრივად და 8 საერთაშორისო შეხვედრა, სადაც საქართველოდან 13-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. განხილული თემები მოიცავდა: WEPs შეფასების კითხვარის შევსება და განხილვა, შედეგების მიმოხილვა/ამბიციის განსაზღვრის ვორკშოპი, წარმატებული სტრატეგიების ვორკშოპი ქალთა გაძლიერების მიმართულებით, როგორ გავხდეთ მშობლების ხელშემწყობი (parentsmart) დამსაქმებელი, როგორ დავაორგანიზოთ WEPs შიდა განხილვები, ქალების ლიდერობა კლიმატის მოქმედებაში, კაცების, როგორც მოკავშირეების ჩართვა და სხვა.

SDG ამბიციის ფარგლებში ჩატარდა 3 შეხვედრა ინიციატივის მონაწილე 18 კომპანიასთან. მონაწილეებმა შეაფასეს მათი ამჟამინდელი მდგრადობის მიზნები და გამოავლინეს განვითარების შესაძლებლობები SDG Ambition-ის ნიშნულებთან (Benchmark) შესაბამისობაში.

[25] წყარო: გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი; კორპორაციული მდგრადობის აკადემია. იხ. ბმული: https://globalcompact.ge/korporaciuli-mdgradobis-akademiis-kursi/

2021 წლის 25-26 მარტს ონლაინ ფორმატში ჩატარდა რეგიონული კონფერენცია „აქციე გლობალური მიზნების ადგილობრივ ბიზნესად - საქართველო". კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი 5 ქვეყნიდან (საქართველო, უკრაინა, ბელარუსი, თურქეთი და პოლონეთი) ბიზნეს, სამთავრობო, აკადემიის და სხვა სექტორების წარმომადგენლები. კონფერენციის თემა იყო „მომავალი მწვანე და ინკლუზიურია". ღონისძიებას ესწრებოდა 309 მონაწილე, საიდანაც 146 ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი იყო.

მდგრადი განვითარების მიზნების ვირტუალური გამოფენა ჩატარდა 26 ოქტომბერს. ღონისძიების ფარგლებში 15 კომპანიას წარმოდგენილი ჰქონდა საქმიანობა ვირტუალური სტენდების ფორმატში, ხოლო ღონისძიებას 100-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა ბიზნეს სექტორიდან. ღონისძიების ფარგლებში მასტერკლასი ჩაატარეს საერთაშორისო ექსპერტებმა, მულტინაციონალური კომპანიების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

2021 წელს, კორპორაციული მდგრადობის აკადემიის მიერ 16 მედია ორგანიზაცია გადამზადდა, ხოლო დეკემბრის თვეში 10 კომპანიის წარმომადგენელმა 60 საათიანი სრული კურსი დაიწყო.

- **ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის მიმართულებით საუკეთესო მაგალითების პუბლიკაცია შეიქმნა** (ს/გ - 1 პუბლიკაცია წლიურად).

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა გამოსცა ერთი პუბლიკაცია, რომელიც აერთიანებს პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის მაგალითებს საქართველოში. აღნიშნული პუბლიკაციის საფუძველი გახდა კონკურსი - კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2021 „ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის", რომელიც 2021 წლის ოქტომბერში ჩატარდა. აღნიშნული კონკურსი საქართველოში მეოთხედ გაიმართა და მიზნად ისახავს ქვეყანაში კორპორაციული პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებას, ასევე, მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების პროცესში ბიზნესის ჩართულობის წახალისებას.

> კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2021 „ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის" ქართულ ბაზარზე მოქმედი სწორედ ისეთი კომპანიებისთვისაა განკუთვნილი, რომელიც არის პროგრესული და თანამედროვე ღირებულებებზე დაფუძნებული. ეს არის ჯილდო კომპანიებისთვის, რომელთა საქმიანობა ეყრდნობა მაღალ სტანდარტს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გრძელვადიანი სარგებელი მოაქვს როგორც კომპანიისთვის, ისე საზოგადოებისთვის.

პუბლიკაციაში მოცემულია ბიზნეს პრაქტიკა 6 მიმართულებით: 1) ხარისხიანი განათლება; 2) გენდერული თანასწორობა; 3) ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; 4) მდგრადი ქალაქები და დასახლებები; 5) მდგრადი მოხმარება და წარმოება; 6)

პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის. პუბლიკაციაში მოცემულია საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების 92 პროექტი, რომელიც 2020-2021 წლებში განხორციელდა. პუბლიკაცია ხელმისაწვდომია ონლაინ, ჯილდოს კონკურსის ვებ-გვერდზე, ასევე, ბეჭდური ვერსია გავრცელდა ბიზნეს სექტორში და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.[26]

- **კორპორაციული მდგრადობის აკადემიაში პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის თემატური მიმართულებებით განხორციელდა მთავრობის წარმომადგენლების გადამზადება.**

CIDA-ს ორგანიზებით ჩატარდა 4 ტრენინგ კურსი მთავრობის წარმომადგენლებისთვის. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა სამთავრობო უწყებების 96 წარმომადგენელი. პირველი ტრენინგი მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრებისთვის ჩატარდა, მეორე ტრენინგი - სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" და GITA-ს წარმომადგენლებისთვის, მესამე ტრენინგი მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს წევრებისთვის, ხოლო მეოთხე ვორქშოფი სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" თანამშრომლებისთვის.

ტრენინგების ფარგლებში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ კორპორაციული პასუხისმგებლობის ძირითად საკითხებს და საერთაშორისო/ადგილობრივ დონეზე არსებულ სტანდარტებსა და პრაქტიკებს. ასევე, ემსჯელათ, თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს მეტად წაახალისოს პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევა პოლიტიკის დონეზე.

CIDA-ს კორპორაციული მდგრადობის აკადემიაში სულ 96 სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენელი გადამზადდა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.6.2: ESG სახელმძღვანელოს შემუშავება.

CIDA-ს მიერ, IFC-სთან ერთად, დაწყებულია მუშაობა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) სახელმძღვანელოს შემუშავებასთან დაკავშირებით.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.6.3: დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები დაეხმარება RBC/ESG პრინციპების იმპლემენტაციაში (საბაზისო 2019 - არა; სამიზნე, 2025 - 70%).

[26] წყარო: გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი (GCNG) „ბიზნესის მდგრადი განვითარებისთვის"; იხ. ბმული: https://corporateaward.ge/

ტრენინგებში მონაწილე კომპანიების - 3 ტრენინგის 47 ორგანიზაციის მონაწილისგან დადებითი უკუკავშირი 70%-ს აჭარბებს.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობა:

- **ESG სახელმძღვანელოს შესახებ ცნობიერების ამაღლება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან საინფორმაციო სესიების საშუალებით.**

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ჩატარდა ტრენინგები (3 ტრენინგი, 47 მონაწილე), რომელიც მიზნად ისახავდა მეწარმეთა ცნობიერების ამაღლებას სოციალურ, გარემოსდაცვით და მმართველობით (ESG) პრინციპებთან დაკავშირებით.

ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.7.1: ციფრული წიგნიერების (მათ შორის ციფრული უნარების) ხელშემწყობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, პროექტის სამიზნე 49 დასახლებაში, განხორციელდა მოსახლეობის და საწარმოების ციფრული საჭიროებების შეფასების კვლევა.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **სამიზნე დასახლებებში ჩატარდა მოკვლევა.**

საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს „ციფრული უნარების და მოთხოვნის განვითარება". აღნიშნული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების განხორციელების მიზნით, მსოფლიო ბანკთან დაწებული „Log-in Georgia" პროექტის მე-2 კომპონენტის ფარგლებში, რომელიც ეხება მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობას, დაიწყო ციფრული უნარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება, კერძოდ, კომპანია „ეისითის" მიერ განახორციელდა მოსახლეობის და საწარმოების ციფრული საჭიროებების შეფასების კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, პროექტის სამიზნე 49 დასახლებაში. პროექტის მიზნების განსახორციელებლად, შეფასება ითვალისწინებდა კვლევის როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს. კვლევის ფარგლებში შემდეგი კომპონენტები განხორციელდა:

- ✓ **სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებში დამუშავებული იქნა:**

- საქსტატის ვებ-გვერდზე არსებული მონაცემები;
- ევროსტატის კითხვარი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე;
- ვაშინგტონ ჯგუფის (WG)-ის კითხვები.

✓ **რაოდენობრივი კვლევა:**

- 500 პირისპირ ინტერვიუ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 49 სოფელში.

✓ **თვისებრივი კვლევა:**

- 7 ფოკუს ჯგუფის დისკუსია (4 ფოკუს ჯგუფის დისკუსია მოსახლეობასთან, 1 ფოკუს ჯგუფის დისკუსია ქალებთან, 1 ფოკუს ჯგუფის დისკუსია მეწარმეებთან, 1 ფოკუს ჯგუფის დისკუსია არასამთავრობო ორგანიზაციებთან);
- 5 ინტერვიუ ინტერნეტის მომწოდებლებთან.

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ფინანსური სექტორის გაძლიერება და შედეგად, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

ფინანსური რესურსები და მათზე ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ბიზნესისთვის მიზნების მიღწევის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ფინანსების ხელმისაწვდომობა და დაფინანსება თამაშობს ძირითად როლს მეწარმეობის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების და დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება, ფინანსური განათლების დონის ამაღლება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ მიმართულებით, მთავარ გამოწვევებს შორისაა მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობა.

2020 წელს, ბიზნეს სექტორში ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში 4,350.1 მილიონი ლარი შეადგინა[27], მათ შორის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილმა 51% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან, მას შემდეგ რაც მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელი" იქნა შემოღებული, რომელიც გაუნაწილებელი მოგების ნულოვან დაბეგვრას გულისხმობს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მთლიან მაჩვენებელში გაიზარდა, რომელიც 2017 წელს მხოლოდ 39.2%-ს შეადგენდა. ამდენად, აღნიშნულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეინვესტირებას ეკონომიკაში, რაც მცირე და საშუალო საწარმოებზე დადებითად აისახა.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება - ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - აერთიანებს 6 ამოცანას და 19 აქტივობას.

ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1: შექმნილი ახალი პროდუქტები ან განახლებული არსებული პროდუქტები (საბაზისო 2019 - 2 ახალი პროგრამა; განახლდა 11 არსებული

[27] წყარო: საქსტატი „ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით"; იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva

პროგრამა/პროექტი; სამიზნე 2025 - შეიქმნება წლიურად 1 ახალი პროექტი; განახლდება 10 არსებული პროგრამა/პროექტი).

დაიწყო ახალი „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის" განხორციელება; 2021 წელს, RDA-ს პროექტების/პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების რაოდენობამ პროექტების და პროგრამების ჭრილში შეადგინა: შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი - 5 ცვლილება; აგროდაზღვევის პროგრამა - 1 ცვლილება; პროგრამა „დანერგე მომავალი" - 2 ცვლილება; სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი - 2 ცვლილება; ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა - 2 ცვლილება; ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა - 1 ცვლილება.

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში" 2021 წელს დანერგა 3 ახალი პროგრამა: „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი", ბიზნეს უნივერსალი და სპორტული ობიექტებისა და საბავშვო ბაღების ხელშეწყობის მექანიზმი. განახლდა 2 პროგრამა: საკრედიტო-საგარანტიო სქემა (მ.შ. გაფართოვდა პროგრამის სამიზნე ეკონომიკური სექტორების ჩამონათვალი) და სარესტორნო ინდუსტრიის ხელშეწყობის პროგრამა (მ.შ. გაიზარდა პროგრამის განხორციელების ვადა).საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ დაიწყო 2 ახალი საპილოტე პროექტი - გრანტები (30,000 და 100,000 ლარიანი) საპილოტე რეგიონებისთვის (იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი).

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი)** (ს/გ - განხორციელებულია 12,200 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება).

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში, განხორციელდა 20,722 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება; 6,962 უნიკალურ ბენეფიციარზე ბანკების მიერ გაიცა 832,324,276 ლარის ღირებულების 7,911 სესხი; სააგენტოს მიერ გაცემულმა თანადაფინანსებამ შეადგინა 123,609,605 ლარი.

- **სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება (აგროდაზღვევის პროგრამა)** (ს/გ - დაზღვეულია 21,000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი).

„აგროდაზღვევის პროგრამის" ფარგლებში, 2021 წლის განმავლობაში, დაზღვეულია 19,118.57 ჰა მიწის ფართობი; 9,030 უნიკალურ დამზღვევზე/ბენეფიციარზე სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემულია 19,478 პოლისი; დაზღვეულ იქნა 184,999,507 ლარის

ღირებულების სხვადასხვა კულტურა. ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ (სააგენტოს პრემიის წილი) შეადგინა 9,487,790 ლარი. ანაზღაურებული ზარალის ოდენობაა 9,657,187 ლარი.

- **თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა (პროგრამა „დანერგე მომავალი”)** (ს/გ - 2,150 ჰა-ზე გაშენებულია ხეხილის მრავალწლიანი ბაღები; 50 ჰექტარზე მოწყობილია სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა; მოწყობილია 20 ჭაბურღილი).

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი” ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ ბაღების კომპონენტის ფარგლებში 527 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 557 ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 3,454.05 ჰა-ს. ინვესტიციის ოდენობაა 61,529,218 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 27,028,532 ლარი;
- ✓ მრავალწლიანი კულტურ(ებ)ის ბაღში, პლანტაციაში, ვენახში დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში 1 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 0.78 ჰა-ს. ინვესტიციის ოდენობაა 9,750 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 7,500 ლარი;
- ✓ კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში 416 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 418 ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 165.55 ჰა-ს. ინვესტიციის ოდენობაა 5,630,562 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 5,630,562 ლარი;
- ✓ სანერგე მეურნეობების კომპონენტის ფარგლებში 1 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობაა 717,000 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 250,000 ლარი;
- ✓ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 5 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 6 ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 63.63 ჰა-ს. ინვესტიციის ოდენობაა 3,978,000 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 306,450 ლარი;
- ✓ შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 1 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობაა

7,276 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 5,000 ლარი;

- ✓ წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 44 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 45 ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 236.94 ჰა-ს. ინვესტიციის ოდენობაა 1,133,474 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 540,738 ლარი;
- ✓ ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 84 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 85 ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 469.26 ჰა-ს. ინვესტიციის ოდენობაა 2,408,462 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 1,163,924 ლარი.

- ❖ **ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა** (ს/გ - განხორციელებულია 350 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; მანქანა-დანადგარებით აღჭურვილია 6 კოოპერატივი).

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი" ფარგლებში 17 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 611.22 ჰა-ს. ინვესტიციის ოდენობაა 2,207,465 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 1,535,393 ლარი.

- ❖ **სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის განხორციელება** (ს/გ - სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებულია 25 გადამამუშავებელი საწარმოს / შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა).

„გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის" ფარგლებში სრულად/ნაწილობრივ დაფინანსდა 50 გადამამუშავებელი საწარმოს/შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა.

გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში 12 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 17,415,110 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 5,041,030 ლარი; შემნახველი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში 51 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 69,595,902 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 23,875,943 ლარი.

- **მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა** (ს/გ - განხორციელდა 5 კოოპერატივისთვის თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების შეძენის თანადაფინანსება).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 5 კოოპერატივისთვის თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების შეძენის თანადაფინანსება, 6 უნიკალურ ბენეფიციარს/კოოპერატივს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 126,564 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 99,991 ლარი.

- **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა** (ს/გ - 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აღიჭურვა ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო მოწყობილობებით).

განხორციელდა 12 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის აღჭურვა ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო მოწყობილობებით; 6 უნიკალურ ბენეფიციარს/კოოპერატივს გაუფორმდა ხელშეკრულება; ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 569,955 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 535,013 ლარი.

- **ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება (მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი)** (ს/გ - 65 ბენეფიციარისთვის თანადაფინანსებულია მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენა).

„სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის" ფარგლებში 88 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 89 ხელშეკრულება და განხორციელდა მათი თანადაფინანსება; ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 10,748,411 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსებაა 4,533,741 ლარი.

- **პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა** (ს/გ - სურსათის პირველად წარმოებასთან / სურსათთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტი დანერგილია 15 ბენეფიციარის მიერ; კომპანიის/პროდუქციის ბრენდირება განხორციელებულია 15 ბენეფიციარის მიერ).

„ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში გაფორმდა 33 ხელშეკრულება, აქედან 4 ხელშეკრულება გაფორმდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის წარმოებული პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენის მიზნით. 20-მა ბენეფიციარმა დანერგა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი (HACCP, ISO-22000, BRC, FSSC-2200, GLOBAL G.A.P), ხოლო 9 ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის ბრენდირება.

აქტივობების/პროექტების ჯამური ღირებულებაა 500,701.00 ლარი და 19,725.00 აშშ დოლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი აქტივობების/პროექტების ღირებულებაში შეადგენს 362,205.50 ლარს და 5,917.50 აშშ დოლარს. სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსებაა 272,722.20 ლარი.

ამდენად, 2021 წელს, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტომ დაიწყო 1 ახალი პროგრამის განხორციელება, ხოლო 6 მიმდინარე პროექტი/პროგრამა განახლდა, რისთვისაც ამ პროექტებში/პროგრამებში განახორციელა 13 ცვლილება.

- **პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში განხორციელდა სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება** (ს/გ - 130 ხელშეკრულება).

პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში განხორციელდა სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება. საანგარიშო წელს, გაფორმდა 435 ხელშეკრულება.

- **საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში განხორციელდა სესხების გარანტიის გაცემა** (ს/გ - 100 პროექტი).

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ, საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში განხორციელდა სესხების გარანტიის გაცემა. საანგარიშო წელს, დამტკიცდა 235 პროექტი.

სახელმწიფო პროგრამა „საკრედიტო საგარანტიო სქემის" მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ), ეკონომიკის დაკრედიტების ხელშეწყობა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, მათ შორის, პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება და ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობა.

- **მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაიცა მიკრო გრანტები** (ს/გ - 700 ბენეფიციარი).

სააგენტოს მიერ, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, რეგიონებში სამეწარმეო აქტივობის მხარდაჭერის მიზნით, განხორციელდა გრანტების გაცემა. საანგარიშო წელს, გრანტი გაიცა 689 ბენეფიციარზე.

„აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში, მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარებას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით, ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობას, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრებას, ახალი ბიზნესების დაფინანსებას ან/და არსებულის გაფართოებას და შედეგად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირებას.

ფინანსური დახმარების გაწევის გზით, როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ მეწარმეებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

- **სოფლის განვითარების პროგრამებში/პროექტებში განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებით ცვლილებები.**

ცვლილებები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ **შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი** - 5 ცვლილება, მათ შორის:
  - მიზნობრიობას დაემატა ენერგოეფექტური საწარმოების დაფინანსება;
  - მექანიზაციის ქვეკომპონენტს დაემატა ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკისა და იმპლიმენტების დაფინანსება;
  - ლიზინგის, ასევე, სასურსათო და ენერგოეფექტური მრეწველობის ქვეკომპონენტის დაემატა განახლებადი ენერგიის წყაროების შეძენა, მონტაჟი, მოწყობა;
  - ამოქმედდა ყურძნის და არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველი საწარმოებისთვის საბრუნავი საშუალებების დაფინანსება.
- ✓ **აგროდაზღვევის პროგრამა** - 1 ცვლილება.
  - შეიცვალა სადაზღვევო პრემიის გადახდის წესები და ვადები და სხვ.;
- ✓ **პროგრამა „დანერგე მომავალი"** - 2 ცვლილება.
  - ნიადაგის სინჯების ასაღები ლაბორატორიების სიას დაემატა 1 ახალი ლაბორატორია;
  - პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება ხორციელდება ელექტრონული ფორმით.
- ✓ **სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი** - 2 ცვლილება, რომლის ფარგლებში:
  - შეიცვალა დაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი;
  - გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტს დაემატა ენერგოეფექტურობის მიზნობრიობა;
  - შემნახველი საწარმოების კომპონენტს დაემატა მარცვლეულის შემნახველი საწარმოს მიზნობრიობა.
- ✓ **ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა** - 2 ცვლილება, მათ შორის:
  - განისაზღვრა პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოსგან იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით მიყიდვის წესი, ხოლო ვალდებულებად განსაზღვრულია, რომ ბენეფიციარმა მიწის ნაკვეთზე 25 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ჩაის მოყვანა ყოველწლიურად.
- ✓ **ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა** - 1 ცვლილება, მათ შორის:

- პროგრამის მიზნობრიობებს შეეცვალა დაფინანსების პროცენტული მაჩვენებლები და თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობები;
- პროგრამას დაემატა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მართვის საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსების მიზნობრიობა, ასევე, დაემატა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თანადაფინანსების მიზნობრიობა.

❖ **სააგენტოში „აწარმოე საქართველოში" შეიქმნა ახალი პროგრამები და განხორციელდა არსებული პროგრამების განახლება** (ს/გ - 1 განახლებული პროგრამა).

სააგენტოში შეიქმნა 3 ახალი პროგრამა:

✓ **სახელმწიფო პროგრამა „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი"** (საქართველოს მთავრობის 02.08.2021წ. N388 დადგენილება); პროგრამა მიზნად ისახავს მრავალშვილიანი ან/და იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ ახალშეძენილი შვილი/შვილები, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას იპოთეკური კრედიტების სუბსიდირების გზით. ასევე, პროგრამა ემსახურება უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სტიმულირებას. სააგენტო სთავაზობს სესხის პროცენტის თანადაფინანსებას სესხის გაცემიდან 5 წლის განმავლობაში, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხით შესაძლებელია დაფინანსდეს როგორც საცხოვრებელი ბინის/სახლის შეძენა, ასევე სახლის აშენება;

✓ **სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში"** უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი - ბიზნეს უნივერსალი (საქართველოს მთავრობის 30.05.2014წ. N365 დადგენილება); პროგრამა მოიცავს 4 მიმართულებას, ესენია: თანადაფინანსების (მოიცავს სესხის და ლიზინგის პროცენტის და საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსებას), საგარანტიო, საგრანტო და უძრავი ქონების ხელმისაწვდომობის მიმართულებები. პროგრამა ემსახურება შემდეგ მიზნობრივ ინდუსტრიებს: წარმოება და გადამუშავება (გარდა სოფლის მეურნეობისა), სასტუმროები, ტურისტული სერვისები, ბალნეოლოგიური კურორტები, ეკო და აგრო ტურისტული ინდუსტრიები. ერთ სესხთან მიმართებით ბენეფიციარი უფლებამოსილია გამოიყენოს პროგრამის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად. სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება ხორციელდება სესხის/ლიზინგის სრული ვადით. პროგრამის ფარგლებში სესხის/ლიზინგის საგნის ღირებულების მინიმალური მოცულობაა 50 000 ლარი, ხოლო მაქსიმალური მოცულობა 10 მლნ ლარი. ასევე, მხარდაჭერის დამატებითი პირობებით ისარგებლებენ შემდეგი საპილოტე რეგიონები: იმერეთი, კახეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.

✓ **სახელმწიფო პროგრამა „სუბსიდირების მექანიზმი სპორტული ობიექტებისა და საბავშვო ბაღების ხელშეწყობისთვის"** (საქართველოს მთავრობის 04.02.2021წ. N50 დადგენილება). პროგრამა მიზნად ისახავს პანდემიის შედეგად

დაზარალებული სექტორის ხელშეწყობას და სექტორში მოქმედი სუბიექტების მხრიდან აღებული სესხის/მიკრო სესხის/სალიზინგო პროექტის სუბსიდირებას. პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტომ განახორციელა მეწარმე სუბიექტის სესხის/მიკრო სესხის ძირის/ლიზინგის საგნის ღირებულების ნაშთზე მომდევნო 6 თვის მანძილზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ჯამური ოდენობის სუბსიდირება.

განახლდა შემდეგი პროგრამები:

- ✓ **სახელმწიფო პროგრამა „საკრედიტო საგარანტიო სქემა"** (საქართველოს მთავრობის 29.03.2019წ. N163 დადგენილება). აღსანიშნავია პროგრამაში „საერთო სახსრების" ცნების შემოტანა, რომელიც გულისხმობს ჩართული ფინანსური ინსტიტუტებისათვის დამატებით რესურსს საკრედიტო გარანტიების გასაცემად. ამასთან, გაიწერა აღნიშნული „საერთო სახსრების" დეპოზიტზე განთავსებისა და სადეპოზიტო სარგებლის მიღების წესი. ამავე პერიოდში, გაფართოვდა პროგრამის სამიზნე ეკონომიკური სექტორების ჩამონათვალი. პროგრამაში გაიწერა შშმ პირების მოთხოვნების შესაბამისად ინფრასტრუქტურის ადაპტირების ვალდებულება და პრიორიტეტი - სქემის მომსახურების საკომისიოსგან გათავისუფლების სახით. ასევე, გაიწერა სესხის პირველი ტრანშისა და სრული ათვისების ვადები. პროგრამას დაემატა ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ბენეფიციარისგან მოსათხოვი გარანტიის ზღვრული რაოდენობის (სესხის არაუმეტეს 150 %) შეზღუდვა და სხვ.
- ✓ **სახელმწიფო პროგრამა „თანადაფინანსების მექანიზმი სარესტორნო ინდუსტრიის ხელშეწყობისათვის"** (საქართველოს მთავრობის 03.12.2020წ. N728 დადგენილება)**.** პროგრამის მიზანია სარესტორნო ინდუსტრიის სექტორში მოქმედი იმ მეწარმეების სესხების/მიკროსესხების/სალიზინგო პროექტის თანადაფინანსება, რომელთაც პანდემიიდან გამომდინარე შეეზღუდათ ოპერირების შესაძლებლობა და შესაბამისად, შეუმცირდათ ოპერირებიდან მიღებული შემოსავალი. პროგრამა მიზნად ისახავს 2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, მეწარმე სუბიექტის სესხის ძირის ნაშთზე მომდევნო 6 თვის მანძილზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ჯამური ოდენობის თანადაფინანსებას. 2021 წელს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებიდან, აღსანიშნავია, პროგრამის ფარგლებში მიმართვების მიღების მე-2 ეტაპის გამოცხადება, ასევე, შეიცვალა მიზნობრივ სესხში ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ურთიერთმიმართების პროცენტული მაჩვენებელი და სხვ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.2: სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში მონაწილე კომპანიების %-ული მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დაფინანსება არასახელმწიფო წყაროებიდან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ (საბაზისო 2019 – 10%, საბოლოო 2025 – 40%).

საანგარიშო წელს, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამებში მონაწილე კომპანიების 17%-მა, სახელმწიფო დაფინანსების შემდეგ, სხვა წყაროებიდან დაფინანსება მიიღეს.

ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1: ლიზინგის პორტფელის მოცულობა (საბაზისო 2019- 471.7 მლნ. ლარი, სამიზნე 2025 - ზრდა 20%).

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობა:</u>

- **ლიზინგის ბაზრის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება.**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტში არ არის განსაზღვრული რაიმე დირექტივა ლიზინგთან მიმართებაში, რომლის იმპლემენტაციის ან/და ჰარმონიზაციის ვალდებულებაც აქვს საქართველოს. აქედან გამომდინარე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ „საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად" ითვლება უნიდროიტის გენერალური ასამბლეის მიერ, 2008 წელს მიღებული მოდელური კანონი ლიზინგის შესახებ, რომელთანაც საქართველოში არსებული სამართლებრივი ჩარჩო პრაქტიკულად სრულ შესაბამისობაშია.

დღეის მდგომარეობით, სამართლებრივ ჭრილში, საქართველოში ლიზინგის მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-580[8]-ე მუხლები ძალიან დაახლოებულია უნიდროიტის „სამოდელო კანონთან", რომელიც მსოფლიოში ითვლება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად. რაც შეეხება ლიზინგის მარეგულირებელ ზოგად ჩარჩოს, იგი სალიზინგო საქმიანობისთვის ცალკე, გამოყოფილად არ არსებობს, მათ შორის, არაა განსაზღვრული სალიზინგო კომპანიების სტატუსი (მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის), არ არის გათვალისწინებული ამ საქმიანობის ლიცენზირება, ნებართვა, აკრედიტაცია, ავტორიზაცია ან სხვა რაიმე მოთხოვნები და რეგულირდება კერძო სამართლის მარეგულირებელი ზოგადი კანონმდებლობით, როგორც ნებისმიერი სხვა მეწარმე სუბიექტი.

მარეგულირებელი ჩარჩოს თვალსაზრისით, ლიზინგი არარეგულირებადი ბაზარია და დღეს მას რაიმე სპეციფიკური მარეგულირებელი ჩარჩო არ გააჩნია. სწორედ აღნიშნული გარემოებების შესაბამისად შემუშავდა ლიზინგის ბაზრის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

2020 წლამდე ლიზინგის ინდუსტრია მზარდი იყო. ბაზრის 99% უკავია 3 კომპანიას, აქედან 2 კომპანია არის ბაზრის უმსხვილესი წილის მფლობელი. ბაზარზე არ არიან დამოუკიდებელი მოთამაშეები, სალიზინგო კომპანიები წარმოადგენენ კომერციული ბანკების შვილობილ კომპანიებს. ლიზინგის პროდუქტი არ არის მნიშვნელოვნად დივერსიფიცირებული და განვითარების ადრეულ ეტაპზეა. დარგში უკვე შექმნილია გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, თუმცა, პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. ლიზინგის ინდუსტრიის პორტფელის შეფასებით, 2021 წელს ლიზინგის პორტფელის მოცულობამ 402.1 მლნ[28] ლარი შეადგინა, რომლიდანაც მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული ლიზინგის წილმა 84% შეადგინა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.2: ფაქტორინგის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო (საბაზისო 2019 - არა; სამიზნე 2025 - კი).

ფაქტორინგული მომსახურების განვითარება მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესების და მოკლევადიან დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით. ფაქტორინგის განვითარება წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის მოკლევადიან დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და საბრუნავი კაპიტალის ზრდის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. აღნიშნული განიხილება როგორც ეფექტიანი მექანიზმი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისითაც.

ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ძირითად ინსტრუმენტს საბანკო სესხი წარმოადგენს. ფაქტორინგი კი ბიზნესისთვის დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების შეთავაზების ერთ-ერთი მოქნილი შესაძლებლობაა. ფაქტორინგი წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, როდესაც დაფინანსების საფუძველია ბანკის ან ფაქტორინგული კომპანიის მიერ გამყიდველის დებიტორული დავალიანების შესყიდვა (რევერსიული ფაქტორინგის შემთხვევაში მოვალის გადასახდელი მოთხოვნის გადაკისრება).

ფაქტორინგი არის არა მხოლოდ კრედიტუნარიანობაზე, არამედ აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსება, შესაბამისად, იგი წარმოადგენს დაფინანსების მოქნილ ინსტრუმენტს, რაც ხელს უწყობს მოკლევადიან დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას და ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესებას.

ფაქტორინგი აძლევს შესაძლებლობას გამყიდველს ვადამოუსვლელი დებიტორული დავალიანების გადახდის დადგომამდე მიიღოს მიწოდებული საქონლისა და

[28] მონაცემები აერთიანებს თიბისი ლიზინგის, საქართველოს სალიზინგო კომპანიის (GLC), კომპანია Crystal-ის და ბაზისბანკის სალიზინგო საქმიანობის მაჩვენებლებს (დაშვებაა, რომ აღნიშნული ასახავს საქართველოს სალიზინგო ბაზრის 98%-99%-ს)

მომსახურების ღირებულება აღნიშნული დებიტორული დავალიანების კომერციული ბანკისთვის ან ფაქტორინგული კომპანიისთვის დათმობის სანაცვლოდ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადებულია ფაქტორინგის კანონპროექტის დრაფტ ვერსია. ფაქტორინგის კანონისა და ფაქტორინგული ოპერაციების რეესტრის შექმნის მიზანია დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და დაფინანსების ალტერნატიული გზების შეთავაზება ბიზნესებისთვის, რომელიც არ საჭიროებს მყარ უზრუნველყოფას.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **შემუშავდა კანონპროექტი ფაქტორინგის შესახებ.**

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ფაქტორინგის სისტემის განვითარების მიმართულებით. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა ფაქტორინგის კანონპროექტი, რომელიც შინაარსობრივად მზადაა ინიცირებისთვის. დარჩენილია ისეთი საკითხების დაზუსტება/გაწერა, რომელიც ეხება ფაქტორინგული ოპერაციების რეესტრის შექმნას და ამით დასრულდება კანონზე მუშაობა. უახლოეს მომავალში გამოცხადდება ფაქტორინგული ოპერაციების რეესტრის ტექნიკური დავალებისა და feasibility study-ის შექმნაზე ტენდერი.

ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1: ტრენინგის მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები (საბაზისო 2019 - არა; სამიზნე 2025 - 80%).

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადდა ტრენინგ-მოდული; ჩატარდა ვებინარი მეწარმეებისთვის - „როგორ შევაფასოთ ჩვენი ბიზნესის საკრედიტო პოტენციალი"; ვებინარი შეფასდა მონაწილეების მიერ შემდგომი გამოკითხვით. მონაწილეების 100%-მა აღნიშნა, რომ ტრენინგზე მიღებული ცოდნა დაეხმარებათ უკეთ მართონ და შეაფასონ თავისი ბიზნესის ფინანსები.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **ფინანსური განათლების ტრენინგი/ვებინარი მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის.**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადდა ტრენინგ-მოდული და ჩატარდა ვებინარი მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის - „როგორ შევაფასოთ ჩვენი ბიზნესის საკრედიტო პოტენციალი". [29] ვებინარზე განხილული იქნა ბიზნესის საკრედიტო პოტენციალის შეფასების კრიტერიუმები და მასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

- ✓ ბიზნესსესხი, მისი ტიპები და მიზნობრიობა;
- ✓ ბიზნესის საკრედიტო პოტენციალის შეფასებისთვის ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაცია;
- ✓ ფინანსური უწყისები, კოეფიციენტები და მათი ანალიზი.

ვებინარი ითვალისწინებდა დისკუსიებსა და ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობას. ვებინარი შეფასდა მონაწილეების მიერ შემდგომი გამოკითხვით, სადაც მონაწილეების 100%-მა აღნიშნა, რომ ტრენინგზე მიღებული ცოდნა დაეხმარებათ უკეთ მართონ და შეაფასონ თავისი ბიზნესის ფინანსები.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.2: საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის სოციალური ქსელით (საბაზისო - არა; სამიზნე - წვდომა – 30,000 პირი, ჩართულობა – 3,000 პირი წლიურად).

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პორტალის - FinEdu-ს ფეისბუქ გვერდის საშუალებით პერიოდულად ხდებოდა მეწარმეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო მასალების გაზიარება, მათ შორის არის მეწარმეების სახელმძღვანელო, ვიდეორგოლი - მიიღეთ უკეთესი გადაწყვეტილებები თქვენი აგრობიზნესისთვის.

2021 წლის განმავლობაში, მეწარმეებისთვის განკუთვნილ საგანმანათლებლო ფეისბუქ პოსტებზე იყო 52,152 პირის წვდომა, ჩართულობა - 3,063 პირის.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.3: მეწარმეთა ფინანსური განათლების არსებული ქულა (საბაზისო - არა; სამიზნე - მეწარმეთა ფინანსური განათლების გაუმჯობესებული ქულა (2021 წლის კვლევის ქულასთან მიმართებით).

საქართველომ განაცხადა თანხმობა OECD/INFE-ს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შეირჩა დონორი ორგანიზაცია და საკონსულტაციო-კვლევითი კომპანია. ქართულად ითარგმნა და ადაპტირდა კვლევის კითხვარი. მომზადებული კვლევის კითხვარის საფუძველზე ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა, რომლის საფუძველზე

[29] იხ. ბმული: https://finedu.gov.ge/ge/siakhleebi-1/fineduze-metsarmeebistvis-gankutvnili-vebinari-chatarda-1

კვლევითი კომპანიის მიერ მომზადდა კვლევის ანგარიში, ასევე, მომზადდა საერთაშორისო ანგარიში OECD/INFE-ს მიერ. კვლევის შედეგად, საქართველოს ფინანსური განათლების ქულამ შეადგინა 60%.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა (OECD/INFE survey Measure the Financial Literacy of MSMEs).**

2021 წელს ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების დონის პირველი კვლევა საქართველოში (OECD/INFE survey Measure the Financial Literacy of MSMEs), რომელიც დაფუძნებული იყო OECD/INFE მეთოდოლოგიაზე. საქართველოს მონაცემები ასახულია OECD/INFE-ს საერთაშორისო რეპორტში, მსოფლიოს 14 ქვეყანას შორის.

კვლევა საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით, „ევროპული ფონდის სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისათვის" განვითარების პროგრამის (EFSE DF) ფინანსური მხარდაჭერით, კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია ACT-ის მიერ განხორციელდა. კვლევის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, გამოიკითხა 1,000 მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელი. გამოიკითხნენ პირები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი კომპანიის ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კვლევის მიზნებისთვის შეირჩა ორგანიზაციები 1,5 მილიონ ლარამდე წლიური ბრუნვითა და 50-მდე თანამშრომლით.

კვლევის შედეგად მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების დონე სამი კომპონენტის - ცოდნის, ქცევისა და დამოკიდებულებების - მიხედვით შეფასდა. კვლევისას შეისწავლეს, ასევე, ისეთი საკითხები, როგორიცაა ბიზნესების მიერ საბანკო ანგარიშების ფლობა, ტრანზაქციების გაციფრულების დონე და კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა.

კვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წელს, საქართველოს ფინანსური განათლების ქულამ 17 ქულიანი შკალით 10.3 ქულა (60%) შეადგინა, რაც გამოკითხვაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.[30] სამიზნე მაჩვენებლის შესრულების შეფასება OECD/INFE-ის მიერ ახალი კვლევის ჩატარების შემდეგ იქნება შესაძლებელი..

[30] იხ. ბმული: https://finedu.gov.ge/ge/siakhleebi-1/mikro-mtsire-da-sashualo-metsarmeebis-finansuri-ganatlebis-kvlevis-shedegebi-tsnobilia-1

ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.1: რეგისტრირებული მიწების ფართობი (საბაზისო 2019 წ.- 1.9 მლნ. ჰა; სამიზნე 2025 წ. - 3.2 მლნ. ჰა).

2016 წლის 1 აგვისტოდან მიწის რეგისტრაციის რეფორმა მიმდინარეობს ორი წესით:

- ✓ სპორადული რეგისტრაცია - მოქალაქე თავად წარადგენს განცხადებას და აზომვით ნახაზს;
- ✓ სისტემური რეგისტრაცია - რეგისტრაცია წარმოებს პროაქტიულად, ადგილზე საველე სამუშაოების ჩატარების შედეგად საჯარო რეესტრის მიერ მომზადებული აზომვითი ნახაზების საფუძველზე.

ოკუპირებული ტერიტორიებისა და ტყის გამოკლებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულია 2.5 მლნ ჰა-ზე მეტი მიწა. აქედან, 2016 წლის 1 აგვისტომდე რეგისტრირებული იყო 1,197,985 ჰა.

მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის 1 აგვისტოდან დღემდე დარეგისტრირდა 1,666,147 ჰა; დაზუსტებული ძველი რეგისტრაციების ფართობმა 265,674 ჰა შეადგინა.

დასაკორექტირებელია 200,000 ჰა-ზე მეტი. 2021 წლის განმავლობაში დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით დარეგისტრირდა 150,366 მიწის ნაკვეთი, რაც შეადგენს 134,420 ჰა მიწის ფართობს.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- ❖ **განხორციელდა საინფორმაციო კამპანია მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დადგენილ შეღავათებსა და მიწის სისტემური რეგისტრაციის თაობაზე.**

სისტემური რეგისტრაციის საკომუნიკაციო სტრატეგიის ფარგლებში ხორციელდება კომპლექსური საინფორმაციო კამპანია.

კომუნიკაცია ხორციელდება ყველა შესაძლო საკომუნიკაციო არხის მეშვეობით: ცენტრალური ტელევიზია, რეგიონული ტელევიზია, სარეკლამო ფარები, SMS შეტყობინებები, სოციალური მედია, კარდაკარ შეხვედრები.

„ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების" პროექტის მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ განთავსდა 10 სარეკლამო ბანერი შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: პატარძეული, ჩალაუბანი, წყაროსთავი, შიბლიანი, გიორგიწმინდა, ბრეთი, რუისი, ვარიანი, ქარელი, გორი;

- ✓ გადაღებულია 6 თემატური ვიდეო რგოლი;
- ✓ რეკლამა განთავსებულია შემდეგ ცენტრალურ ტელევიზიებში: „ტელე იმედი" „რუსთავი 2", „TV პირველი";
- ✓ მოსახლეობაში გავრცელდა შემდეგი საინფორმაციო მასალა: 1,500 ბუკლეტი, 500 სტიკერი, 15,000 ფლაერი, 100 პოსტერი;
- ✓ ბრენდირებულია საველე თანამშრომელთა ეკიპირება.

მუნიციპალიტეტებში, საველე სამუშაოების დაწყებამდე საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელთაც მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის შესახებ.

ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ქვეყნდება სააგენტოს ვებ-გვერდზე Napr.gov.ge, შესაბამისი მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი პირების ინფორმირების მიზნით - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქართული დიასპორის ვებ-პორტალზე gda.ge და სოციალურ ქსელებში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.2 სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით (საბაზისო 2019 - 19.1 მლრდ. ლარი, სამიზნე 2025 - 28.7 მლრდ. ლარი).

2021 წლის დეკემბრის ბოლო მდგომარეობით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა. უძრავი ქონების ბაზრის მიმართულებით არსებული რეფორმები ხელს უწყობს უზრუნველყოფაში მისაღები ქონების ბაზის გაზრდას, რაც თავის მხრივ ზრდის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას, მათ შორის, SME მსესხებლებისთვის (27.8 მილიარდი ლარი).

ამოცანა 3.5. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.1. ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი (საბაზისო 2019- 93%; სამიზნე, 2025 - 95%).

ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, აუდიტირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების წარდგენა და გასაჯაროება საშუალო ზომის საწარმოებს 2017 წლიდან ევალებათ, ხოლო მცირე საწარმოებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - 2018 წლიდან. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) ინიციატივით შეიქმნა ანგარიშგების

პორტალი, სადაც საწარმოები ცენტრალიზებულად წარადგენენ ანგარიშგებებს და აღნიშნული სისტემის მეშვეობით ხდება ადმინისტრირების პროცესი.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგების წესთან და კანონთან შესაბამისობის დადგენა და ანგარიშგებების გასაჯაროება** (ს/გ - ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი - 90%).

2021 წელს, საწარმოებს ევალებოდათ 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდზე მომზადებული ანგარიშგების წარდგენა. დღეის მონაცემებით, ნაკისრი ვალდებულება შეასრულა მცირე და საშუალო საწარმოთა 90.5%-მა, რითაც 100%-ით შესრულდა აქტივობა, თუმცა ანგარიშგების წარდგენის პროცესი კვლავ გრძელდება.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.2 ტრენინგების და გადამზადებული პირების რაოდენობა (საბაზისო - 44 ტრენინგი და 900-მდე გადამზადებული პირი; სამიზნე - ჯამში 50 ტრენინგი და 1500 -მდე გადამზადებული პირი).

დღეის მდგომარეობით, გადამზადებულია 1,280 ბუღალტერი, თუმცა ჩატარებული ტრენინგების ჯამური რაოდენობა შეადგენს 57-ს, რაც გამოწვეულია ჯგუფის მოცულობის შემცირებით.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **მსს ფასს ტრენინგების სტიმულირება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით** (ს/გ - ჩატარებული 6 ტრენინგი და 300 გადამზადებული პირი).[31]

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.3 გადამზადებული ბუღალტერების %-ული წილი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არის გაუმჯობესებული ხარისხის (საბაზისო 2019 - 72%; სამიზნე, 2025 - 80%).

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას გადამზადებულმა ბუღალტრებმა, ვინც გაიარა მსს ფასს ტრენინგი, წარდგენილი ანგარიშგების 81% უხარვეზოდ წარადგინეს, რომელიც გასაჯაროვდა ანგარიშგების პორტალზე. აქვე უნდა აღინიშნოს,

[31] შენიშვნა: აქტივობა ვერ განხორციელდა - პანდემიის გამო დისტანციურმა მუშაობამ, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ 2021 წელს ტრენინგებზე მიწოდება და მოთხოვნა შეამცირა. უფასო ტრენინგების ჩასატარებლად შესაბამისი დონორის მოძიება ვერ განხორციელდა 2021 წელს.

რომ წარდგენილი ანგარიშგების შესაბამისობა მსს ფასს სტანდარტთან გაუმჯობესებულია.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **ჩატარდა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი** (ს/გ - 20).

აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტების ფინანსურ ანგარიშგებაზე სანდოობის ამაღლების მიზნით, აუდიტის ზედამხედველობის ეფექტური სისტემის შექმნისთვის, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან, აუდიტორების პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან, ეთიკის ნორმებთან და N43 ევროდირექტივასთან შესაბამისობას, 2021 წლის ბოლოსთვის ჩატარებული იყო 110 ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

დასრულდა 32 აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი. მონიტორინგის პროცესში აუდიტის საერთშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით შემოწმდა აუდიტორული ფირმების მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პროცესი და პროცედურები, ხოლო ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით შემოწმდა აუდიტორულ ფირმებში ორგანიზაციულ დონეზე დანერგილი ხარისხის კონტროლის სისტემებთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნული მონიტორინგების შედეგები (მინიჭებული კატეგორია) არის საჯარო და ხელმისაწვდომია აუდიტორების და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში.

ამოცანა 3.6. „VENTURE CAPITAL" (VC) და „BUSINESS ANGELS" ეკოსისტემის შემდგომი განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.6.1. ინვესტიციები VC და „business angels" ფონდებიდან წლიურად (საბაზისო 2019 - 0.5 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია; სამიზნე 2025 - 1 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია წლიურად).

განხორციელდა შესაბამისი აქტივობები და მიმდინარე ეტაპზეა პირველი ვენჩურული ფონდის შექმნის პროცესი საქართველოში. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და „კატაპულტ ჯორჯიას" შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმად „კატაპულტ ჯორჯია" ქართულ ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სტარტაპებში 50 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას განახორციელებს. ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ფონდში 5 მილიონის თანამონაწილეობით

იქნება წარმოდგენილი, რათა ხელი შეუწყოს სტარტაპების სწრაფ წინსვლას გლობალურ ბაზრებზე.

დაფინანსდა 10 ინოვაციური სტარტაპი.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **თანადაფინანსების გრანტების 650,000 ლარიანი პროგრამის განხორციელება (ითვალისწინებს კერძო ინვესტიციების მოზიდვასაც)** (ს/გ - წლიურად დაფინანსებული 4 სტარტაპი). **ქვეყანაში ალტერნატიული ფინანსებზე წვდომის მექანიზმები წახალისებულია.**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მეწარმეებზე გაიცა ფინანსური რესურსი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისებას და კომერციალიზაციის გზით ინოვაციების და ინოვაციური საწარმოების შექმნას.

ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების (650 000 ლარიანი) ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სულ მცირე 50%-იან თანადაფინანსებას, 10 სტარტაპი დაფინანსდა.

პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ევროკავშირთან 2014 წლის ივნისში გაფორმდა, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. ექსპორტის წახალისების გარდა, ასოცირების ხელშეკრულებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმები, რაც ქვეყნის სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას ეხმარება. DCFTA, ასევე, უწყობს ხელს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის გამოუყენებელი პოტენციალის ათვისებას, ტექნოლოგიებისა და ცოდნის ტრანსფერისთვის პირობების შექმნას ქართული საწარმოების გლობალურ საწარმოო ჯაჭვში ჩართვის საშუალებით.

DCFTA-ის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანის რეალური პერსპექტივა შექმნა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში ყველა მიმართულებით კომპლექსურად გატარდა რეფორმები. ქართველ მეწარმეებს მიეცათ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივად დანერგვის შესაძლებლობა. შედეგად, გაიზარდა ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების მასშტაბები, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე.

2021 წლის წინასწარი მონაცემებით, ექსპორტის მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 4,242.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 26.9%-ით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს, ხოლო 11.7%-ით - 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2021 წელს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ექსპორტმა 2,372.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 27.2%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წელთან მიმართებით - 19.7%-ით. ამასთან, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 55.9%-ს შეადგენა, რაც 2019 წელს 52.2%-ს უტოლდებოდა.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება - ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - აერთიანებს 4 ამოცანას და 9 აქტივობას.

ამოცანა 4.1. საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1. ჩატარებულ ღონისძიებებთან მიმართებით კომპანიების კვლევის საფუძველზე, გამოვლენილი კომპანიების დადებითი უკუკავშირი (საბაზისო - არა; სამიზნე - 70%).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგად, რომელიც ეხებოდა 2018-2021 წწ. პერიოდს, ბენეფიციართა კმაყოფილება საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში შეფასდა როგორც დადებითი.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **ექსპორტ/იმპორტის საკითხებზე ინდივიდუალური კონსულტაცია; პარტნიორის მოძიებაში მხარდაჭერა; სავაჭრო პარტნიორებს შორის პრობლემური ქეისების განხილვაში დახმარება; საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დახმარება; მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო გამოფენების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სხვა** (ს/გ - გაწეული კონსულტაციის რაოდენობა წლიურად; პოტენციური პარტნიორის შესახებ მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაცია და მოთხოვნაზე რეაგირება).

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, 2021 წლის განმავლობაში, მეწარმეებისთვის 300-მდე ინდივიდუალური კონსულტაცია იქნა გაწეული ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აქტიურად ახორციელებს საზღვარგარეთ დაგეგმილ გამოფენებთან დაკავშირებით მეწარმეთა ინფორმირებას, როგორც ელ-ფოსტით, ასევე, სხვა ონლაინ სერვისების, მათ შორის, პალატის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებით.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს ბიზნეს ფორუმის ჩატარებას საქართველოსა და საზღვარგარეთ.

2021 წელს, სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებული იქნა 9 ბიზნეს ფორუმი. აქედან, ქვეყანაში შექმნილი კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე, 5 ფორუმი გაიმართა ონლაინ ფორმატში შემდეგ ქვეყნებთან: ირლანდია, ბრაზილია, მალაიზია, ესტონეთი (2 ფორუმი); 3 ფორუმი გაიმართა საზღვარგარეთ - ესტონეთი, ავსტრია და აზერბაიჯანი, ხოლო საქართველოში გაიმართა ფორუმი სლოვაკეთის ბიზნეს დელეგაციის მონაწილეობით.

2021 წლის 5 მარტს, საქართველო-ირლანდიის ბიზნეს საბჭოს პირველი ონლაინ შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და ირლანდიის სამომავლო თანამშრომლობის, მათ შორის, ბიზნეს შესაძლებლობების განხილვა.

2021 წლის 28 მაისს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, სამხრეთ ამერიკის ყველაზე მსხვილi სავაჭრო პალატის (სან პაულო) და ბრაზილიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ონლაინ ფორმატში გაიმართა ბიზნეს ფორუმი, რომლის მთავარი მიზანი საქართველო-ბრაზილიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაა. ფორუმის ფარგლებში მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

2021 წლის 25 ივნისს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, საქართველო-ირლანდიის ბიზნეს საბჭოსა და ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით ონლაინ ფორმატში გაიმართა ბიზნეს ფორუმი თემაზე „საქართველო-ირლანდიის ბიზნეს საბჭოს საინაუგურაციო კონფერენცია", რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების საკითხები, ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები და ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივები.

2021 წლის 21 ივნისს, ონლაინ ფორმატში შედგა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მალაიზიის ერთობლივი ბიზნეს პანელი თემაზე „Promising Market for SMEs in Malaysia and Georgia".

2021 წლის 4-6 ოქტომბერს, საქართველოსა და ესტონეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატების და ესტონეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ტალინში საქართველო-ესტონეთის ბიზნეს ფორუმი გაიმართა. ღონისძიებას 13 ქართული კომპანიის 17 წარმომადგენლი და 26 ესტონური კომპანია ესწრებოდა. ბიზნეს ფორუმის ფარგლებში განხილული იქნა ეკონომიკური პოტენციალი, არსებული საინვესტიციო გარემო და ბიზნეს შესაძლებლობები. ვიზიტის ფარგლებში შედგა ორმხრივი ბიზნეს შეხვედრები.

2021 წლის 12 ოქტომბერს, ქალაქ ვენაში, საქართველოსა და ავსტრიის სავაჭრო-სამრეწველო პალატებისა და ავსტრიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ავსტრიაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში, ავსტრია-საქართველოს ბიზნეს ფორუმი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 10-მდე ქართულმა და 50-ზე მეტმა ავსტრიული კომპანიის წარმომადგენელმა მიიღო. ბიზნეს ფორუმის მიზანს საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ორმხრივი ბიზნეს ურთიერთობების განვითარება წარმოადგენდა, სადაც ქართულ კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა, შეხვედრილიყვნენ ბიზნეს პარტნიორებს და განეხილათ სამომავლო თანამშრომლობა.

2021 წლის 18 ოქტომბერს, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით საქართველო-სლოვაკეთის ბიზნეს ფორუმი გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო 50-მდე ქართული

კომპანია და 20-მდე სლოვაკური კომპანია ენერგეტიკის, ტურიზმის, ტელეკომუნიკაციების, საკვები პროდუქციის, სამედიცინო და ნანოტექნოლოგიის სექტორებიდან. ფორუმის ფარგლებში სლოვაკური და ქართული კომპანიების წარმომადგენლებს შორის ორმხრივი ბიზნეს შეხვედრები გაიმართა.

2021 წლის 2 დეკემბერს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ესტონეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივი პროექტის „ქალ მეწარმეთა განვითარების პროგრამა საქართველოში" ფარგლებში საქართველო-ესტონეთის ქალ მეწარმეთა ბიზნეს ფორუმი გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა წარმატებული ქალი მეწარმეების ბიზნესის ისტორიებისა და გამოცდილების გაზიარებას, ესტონურ კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებას. საქართველო-ესტონეთის ქალ მეწარმეთა ბიზნეს ფორუმში 200-მდე კომპანიის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა

2021 წლის 14 დეკემბერს, აზერბაიჯანის ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს (AZPROMO), საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და თურქეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს (DEIK) ორგანიზებით, აზერბაიჯანის ქალაქ ბაქოში საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამმხრივი ეკონომიკური მინისტერიალის ფარგლებში საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის ბიზნეს ფორუმი გაიმართა. ფორუმში 21-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილება, რომელთა შორის იყვნენ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლები, მშენებლობისა და IT სექტორების, ვაჭრობისა და ლოგისტიკის, სოფლის მეურნეობისა და საკონსულტაციო სექტორების წარმომადგენლები, მათ შორის, მსხვილი ბიზნეს ასოციაციები. ვიზიტის ფარგლებში შედგა ორმხრივი ბიზნეს შეხვედრები, ასევე, გაფორმდა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას, აზერბაიჯანის ექსპორტისა და ინვესტიციების სააგენტოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა რეგულარულად აწვდის ქართულ კომპანიებს ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ბიზნეს ღონისძიებების თაობაზე, რათა ქართულმა ბიზნესმა შეძლოს მათში მონაწილეობა შემდგომში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მიზნით. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ასევე, უზრუნველყოფს საზღვარგარეთ დაგეგმილი საერთაშორისო გამოფენების შესახებ მეწარმეთა ინფორმირებას. პალატის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია საზღვარგარეთ დაგეგმილი 55-მდე საერთაშორისო გამოფენის თაობაზე.

2021 წელს, სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ორგანიზება გაუკეთა გამოფენა-გაყიდვას ჩინეთში: „2021 საზღვაო აბრეშუმის გზის ექსპო", რომლის ფარგლებშიც პალატის ჩართულობით, მონაწილეობა მიიღეს ქართულმა ღვინის კომპანიებმა. აღნიშნული გამოფენა ქალაქ გუანჯოუში ჩატარდა, სადაც ქართული კომპანიების პროდუქცია

წარმოდგენილი იყო, ქართულ პავილიონში. გამოფენაში მონაწილეობით, ქართულ კომპანიებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მოეხდინათ საკუთარი ბრენდების პოპულარიზაცია ჩინურ ბაზარზე.

გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს ინიციატივით, ასევე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩართულობით, ქართული თაფლის კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს ლონდონის თაფლის კონკურსში „London International Honey Awards 2021", სადაც მსოფლიოს 20 ქვეყნიდან 290 თაფლის სახეობა იყო წარდგენილი. ლონდონის საერთაშორისო თაფლის კონკურსში ფესტივალში სამმა ქართულმა თაფლის მწარმოებელმა კომპანიამ გაიმარჯვა და მათმა პროდუქციამ ხარისხის შეფასების კატეგორიაში 4 ვერცხლის ჯილდო მოიპოვა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.2. B2B შეხვედრების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა მხარდაჭერილი კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის (საბაზისო - 700; სამიზნე - 4000).

2021 წელს, სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის 500-ზე მეტი B2B შეხვედრა ჩატარდა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.3. იდენტიფიცირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტის/მომსახურების რაოდენობა (საბაზისო 2019 - არა; სამიზნე 2025 - 4).

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ იდენტიფიცირებული იქნა საექსპორტო პოტენციალის მქონე შემდეგი პროდუქტები - შესაფუთი მასალები და ფარმაცევტული პროდუქცია.

სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს შესაფუთი მასალების კლასტერთან და ასევე, დონორ ორგანიზაციასთან. კერძოდ, ევროკავშირმა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) PMAG შემფუთველთა კლასტერთან თანამშრომლობით განახორციელა შესაფუთი მასალების მწარმოებელი და შემფუთველი კომპანიების წარმომადგენლებისთვის სემინარი „შეფუთვების ტექნოლოგია და წრიული ეკონომიკა". ოთხდღიან ონლაინ სასწავლო კურსი შეფუთვების მსოფლიო ორგანიზაციის (WPO) წარმომადგენლებმა ჩაატარეს.

2022 წელს, 27-29 სექტემბერს, გერმანიაში იმართება შესაფუთი მასალების პირველი გამოფენა (FACHPACK 2022), დაგეგმილია შესაფუთი მასალების გამოფენაში ქართული კომპანიების მონაწილეობა.

სააგენტოს მიერ, საექსპორტო პოტენციალის თვალსაზრისით, ასევე, იდენტიფიცირებული იქნა ფარმაცევტული სექტორი. აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ფარმაცევტთა ასოციაციასთან.

ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1. ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის რომ DCFTA-ს შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში (საბაზისო 2019 - არა; სამიზნე 2025 - 60%).

სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს კვლევის შედეგად, ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის მონაწილეთა 70% თვლის რომ DCFTA-ს შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში.

სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ განხორციელებული კურსის შედეგად, ექსპორტის მიმართულების ქართულ კომპანიებში არსებული კადრების პროფესიული უნარები მნიშვნელოვნად იზრდება. მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად ეხმარება მსმენელს ყოველდღიური საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში, ექსპორტის ბაზრების დივერსიფიცირებაში და ექსპორტის ციკლის ყველა კომპონენტში კომპეტენციის ამაღლებაში.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **მოეწყო შეხვედრები და ტრენინგები DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე** (ს/გ - 10 ჩატარებული ტრენინგი/ შეხვედრა).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების პროექტის „მხარდაჭერა-2"-ის ფარგლებში, დარგობრივი ასოციაციების (რესტორატორთა ასოციაცია, გასტრონომიული ტურიზმის ბიზნესასოციაცია) ჩართულობით, კახეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, ასევე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, კერძოდ, იმერეთსა და აჭარაში საწარმოებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლებთან განხორციელდა სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით. ჩატარებულია სულ 4 ტრენინგი.

ასევე, სსიპ „ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს" მიერ, 2021 წლის განმავლობაში, განხორციელდა სექტორული შეხვედრები შემდეგ სფეროებში: სამშენებლო პროდუქტები, სათამაშოები, ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები. ჯამში გაიმართა 13 ტრენინგი.

- **ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსი** (ს/გ - 2 ტრენინგი წლიურად).

სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ ორგანიზებული ექსპორტის სასერთიფიკატო კურსის ფარგლებში, ქართული ექსპორტიორი კომპანიების მენეჯერებს ეძლევათ შესაძლებლობა აიმაღლონ ცოდნა, განივითარონ საჭირო უნარ-ჩვევები ექსპორტის ციკლის ყველა მიმართულებით და მნიშვნელოვანი კავშირები დაამყარონ სხვა ქართულ ექსპორტიორ კომპანიებთან.

სალექციო საათები ეთმობა ისეთ მოდულებს, როგორიცაა, ინკოტერმსი, ხარისხის ინფრასტრუქტურა, მარკეტინგი, ბრენდინგი, ექსელი და ფასწარმოქმნა, ექსპორტის ციკლი, „მოლაპარაკების ხელოვნება" და ა.შ. ასევე, კურსი ითვალისწინებს სასწავლო ვიზიტს ერთ-ერთ წარმატებულ ექსპორტიორ კომპანიაში.

ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსის პროგრამა მაქსიმალურად არის მორგებული საბაზრო მოთხოვნებზე და ექსპორტის მენეჯერებს აძლევს პრაქტიკულ ცოდნას, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორიცაა საერთაშორისო გაყიდვების წარმოება, ექსპორტის ბაზრების დივერსიფიცირება, რაც თავის მხრივ, დამქირავებელი კომპანიის საექსპორტო გაყიდვების ზრდაზე და დივერსიფიცირებაზე აისახება. ამასთანავე, კურსის მსვლელობისას განიხილება საერთაშორისო სავაჭრო მისიები და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).

სააგენტო „აწარმოე საქართველოში" - როგორც პროექტის ინიციატორი, ყველა მონაწილეს კურსის ღირებულების 80%-ს უფინანსებს. 2021 წელს ჩატარდა 3 კურსი.

- **DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან** (ს/გ - მინიმუმ 2 შეხვედრა).

DCFTA-დან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების შედეგად მიღებული ტექნიკური რეგულაციების შესახებ, სსიპ „ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს" მიერ, 2021 წლის განმავლობაში, განხორციელდა სექტორული შეხვედრები შემდეგ სფეროებში: სამშენებლო პროდუქტები, სათამაშოები, ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები. ჯამში გაიმართა 13 შეხვედრა (ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით), რომლებსაც დაესწრო 72 დაინტერესებული პირი.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში დაახლოებული ქართული კანონმდებლობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის გაზრდისა და მეწარმეთა ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციაში ხელშეწყობის მიზნით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ AA Facility პროექტის მხარდაჭერით, კახეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, ასევე, დასავლეთ

საქართველოს რეგიონებში, დარგობრივი ასოციაციების (რესტორატორთა ასოციაცია, გასტრონომიული ტურიზმის ბიზნესასოციაცია) ჩართულობით, საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს სპეციალისტებმა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) პრინციპების დანერგვასთან დაკავშირებით. კორონავირუსის გლობალური პანდემიის გათვალისწინებით, შეხვედრებს ესწრებოდა 25 ადამიანი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.2. DCFTA.gov.ge ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა.

იზრდება ცნობიერება DCFTA-ის სარგებლისა და ვალდებულებების შესრულების პროცესის შესახებ; დაიხვეწა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების საშუალებები და გახდა მომხმარებელზე მეტად ორიენტირებული.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **DCFTA-ს შესახებ ვებ-გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საიტზე განთავსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება** (ს/გ - DCFTA.gov.ge ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია საშუალოდ 5%-ით წლიურად).

2021 წელს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის მეორე ფაზის მხარდაჭერით, განხორციელდა ვებ-გვერდის განახლება, რომლის მიზანიც იყო საიტი უფრო მეტად ყოფილიყო მომხმარებლების საჭიროებებზე მორგებული. შედეგად, მუდმივად ხორციელდება საიტზე განთავსებული ინფორმაციის განახლება.

ამოცანა 4.3. ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთაშორისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.1. საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროების შენარჩუნება / გაუმჯობესება (საბაზისო - ILAC – 0 ; IAF - 0, EA – 6 სფერო; სამიზნე ILAC – 2; IAF - 2, EA – 8).

ILAC-სა და IAF- ში სრული წევრობის უზრუნველსაყოფად, გასატარებელი ღონისძიებების 90%-ზე მეტი შესრულებულია, რაც გულისხმობს შემდეგს: მომზადებულია შედარების ცხრილი, მიწოდებულ იქნა ორგანიზაციებში და შესაბამისად ასოცირებული და მემორანდუმზე ხელმომწერი სტატუსი მინიჭებული იქნა 2021 წელს, რაც წარმოადგენს სრული წევრობის წინაპირობას.

მითითებული წევრობის სტატუსი წარმოადგენს ILAC-სა და IAF-ში აკრედიტაციის ცენტრის სრული წევრობის წინაპირობას, საქართველოში გაცემული სერტიფიკატების საერთაშორისოდ აღიარებისა და სავაჭრო ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად განვითარების ხელშეწყობას. მითითებულ ორგანიზაციებში წევრობა პოზიტიურად აისახება ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე საერთაშორისო ბაზრებზე.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის გაწევრიანება ლაბორატორიების საერთაშორისო კომიტეტში (ILAC) და აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმში (IAF).**

2020 წლის დეკემბერში, აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან გაგზავნილი განაცხადის ფორმისა და შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე, 2021 წლის 15 იანვარს, აკრედიტაციის ცენტრს მიენიჭა ლაბორატორიების საერთაშორისო აკრედიტაციის თანამშრომლობის (ILAC) ასოცირებული წევრის და საერთაშორისო აკრედიტაციის ფორუმის (IAF) მემორანდუმის ხელმომწერის სტატუსი. მითითებული წევრობის სტატუსი წარმოადგენს ILAC-სა და IAF-ში აკრედიტაციის ცენტრის სრული წევრობის წინაპირობას. ზემოხსენებულ ორგანიზაციებში სრულ წევრობაზე განაცხადის წარდგენა დაგეგმილია 2022 წლის განმავლობაში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.2. დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა (საბაზისო 2019 - საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა - 15697; ქართულ ენაზე თარგმნილი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა -120; გაყიდული/გავრცელებული საერთაშორისო / ევროპული სტანდარტების რაოდენობა - 381).

2021 წელს საქართველოს სტანდარტად მიღებულმა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობამ 21,663 შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ქართულ ენაზე ითარგმნა 141 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი, გაყიდული/გავრცელებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობამ 2,820 შეადგინა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.3. მეტროლოგიის სფეროში დაინტერესებული პირებისათვის გაწეული სერვისების გაზრდილი დიაპაზონი ან/და სფერო, მათ შორის,

საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისები (საბაზისო 2019 - ფიზ-ქიმიური გაზომვებს და სტანდარტული ნიმუშების სფეროში მომსახურება არ არის მოთხოვნის შესაბამისად დაფარული GEOSTM-ის მიერ).

2021 წლის განმავლობაში მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გაზომვის მიმართულებებში სააგენტოს მეტროლოგიის ინტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 65 CMC ჩანაწერი, 2021 წელს გამოქვეყნდა 4 ახალი CMC ჩანაწერი, 1 მცირე მოცულობის სფეროში, 3 - ფარდობითი ტენიანობის სფეროში.

საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონურმა განყოფილებამ 2021 წელს დაიწყო ახალი სერვისი - დენსიმეტრების, არეომეტრების, სპირტმზომების და შაქარმზომების დაკალიბრება.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **მეტროლოგიის სფეროში ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება ახალი (მათ შორის ფიზ-ქიმიური გაზომვების მიმართულებით) და/ან გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით** (ს/გ - დაინტერესებული პირებისათვის მიწოდებულია გაზრდილი და/ან გაუმჯობესებული დიაპაზონების სერვისები).

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მეტროლოგიის სფეროში ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესი. კერძოდ, სააგენტოს გერმანული რეგიონალური პროექტის ფარგლებში გადმოეცა ეტალონური აპარატურა - სანიმუშო დენსიმეტრი (Density Meter Anton Paar DMA 1001). აღნიშნულმა, სააგენტოს შესაძლებლობა მისცა დაენერგა ახალი სერვისი - დენსიმეტრების, არეომეტრების, სპირტმზომების და შაქარმზომების დაკალიბრება. აღნიშნული მომსახურება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურსათის სფეროში, ფარმაცევტულ სფეროში არსებული კომპანიებისათვის, ასევე, საგამოცდო ლაბორატორიებისათვის.

- **GEOSTM-ის მეტროლოგიის ინსტიტუტის შესაბამისი პერსონალის ტრენინგი (მათ შორის ონლაინ) ახალი მიმართულების სერვისების დაფარვის მიზნით** (ს/გ - სააგენტოს პერსონალი მომზადებულია და ასრულებს დაკალიბერბას გაზომვების გაფართოებული დიაპაზონის/ახალ სფეროებში, მათ შორის ფიზ-ქიმიური გაზომვების სფეროში).

გერმანელი ექსპერტების მიერ GEOSTM-ის ფიზ-ქიმიური ეტალონური განყოფილების სპეციალისტებისათვის ჩატარდა ტრენინგი - pH-მეტრიის და დენსიმეტრიის (სიმკვრივის გაზომვების) სტანდარტული ნიმუშების წარმოების, დაკალიბრების, პროექტის

ფარგლებში მიღებული აღჭურვილობის გამოყენებისა და პრაქტიკული დაკალიბრების (მაგ. არეომეტრების, სპირტომერების, სახარიმეტრების) საკითხებზე.

მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ შემუშავდა შესაბამისი დაკალიბრების პროცედურა, რომელმაც ვალიდაცია გაიარა გერმანელ ექსპერტებთან, რის შემდგომაც სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტმა 2021 წ. დაიწყო აღნიშნული მომსახურების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის.

ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.4.1. პოტენციური ადგილობრივი მეწარმეების/ მომწოდებლების მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეთავაზებულ იქნებიან საქართველოში არსებულ უცხოელ ინვესტორებს (მინიმუმ 60 პირდაპირი უცხოური ინვესტიციის კომპანია) (საბაზისო 2019 - არა; სამიზნე 2025 - კი).

შექმნილია მონაცემთა ბაზა (კატალოგი) საქართველოში არსებული სახელმწიფო და კერძო პროექტების შესახებ, რომელიც დაეგზავნა 70 პოტენციურ ინვესტორს.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **დაკავშირება ბიზნეს ასოციაციებთან ბაზაში შესატანი პოტენციალის მქონე კომპანიების გამოსავლენად** (ს/გ - მიმართვები ბიზნეს ასოციაციებთან წლიურად).

სააგენტო „აწარმოე საქართველოში" ამუშავებს ინფორმაციას საქართველოში არსებული სახელმწიფო და კერძო პროექტების შესახებ და კატალოგის სახით უზიარებს პოტენციურ ინვესტორებს. 2021 წელს კატალოგში შესული იყო 22 კერძო პროექტი, მათ შორის, 20 უძრავი ქონებისა და სტუმარ-მასპინძლობის, ხოლო 2 - წარმოების სექტორში. 2021 წელს, კატალოგის სახით ინფორმაცია პროექტების შესახებ 70 პოტენციურ ინვესტორს დაეგზავნა.

აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, მათ შორის, მომზადდა ინფორმაცია საინვესტიციო კუთხით საინტერესო SME კომპანიების პროექტებზეც და განთავსდა აღნიშნულ კატალოგში.

პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის **მიზანს წარმოადგენს** მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის გზით. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის **გავლენის მაჩვენებელია** - OECD „SME Policy Index" კვლევაში „SME Innovation Policy" ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება.

OECD-ის კვლევის „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი", ერთ-ერთი კომპონენტია „ინოვაციური პოლიტიკა", სადაც საქართველოს შეფასება 3.27 ქულას შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ანგარიშის თანახმად, 12-დან 9 კომპონენტში, საქართველო, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, უმაღლესი ქულით შეფასდა და ნიშანდობლივია, რომ იმ 3 კომპონენტიდან, სადაც, რეიტინგის მიხედვით, არსებობს გამოწვევები და შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პოტენციალი, ერთ-ერთი სწორედ ინოვაციური პოლიტიკის განვითარებაა.[32]

თანამედროვე მსოფლიოში, ტექნოლოგიურ სიახლეებსა და ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული ზრდა მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევისთვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს. ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ინოვაცია, ტექნოლოგია, კვლევა/განვითარება (R&D) და მათი დანერგვა ბიზნესში გადამწყვეტი ფაქტორია კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის. სწორედ ინოვაციების, ცოდნის და R&D-ის ბიზნესში დანერგვის დაბალი მაჩვენებელი განაპირობებს კომპანიების საწარმოო პროცესის არაეფექტიანობას და დაბალი დამატებული ღირებულების ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია.

საგულისხმოა, რომ ტექნოლოგიურ განვითარებაზე დაფუძნებული ზრდა და ინოვაციების ხელშეწყობა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაწილია, რომელსაც მოიცავს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან ერთ-ერთი, მე-9 მიზანი. აღნიშნული მიზანი გულისხმობს „მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნას, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობას, ხოლო ერთ-ერთი შემადგენელი გლობალური ამოცანა ითვალისწინებს „ადგილობრივი ტექნოლოგიების განვითარების, კვლევისა და ინოვაციების

[32] OECD, SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020 იხ. ბმული: https://www.oecd.org/publications/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020-8b45614b-en.htm

ხელშეწყობას განვითარებად ქვეყნებში, ხელშემწყობი პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფის ჩათვლით". ამ ეტაპზე, საქართველოს ნაციონალიზებული აქვს მდგრადი განვითარების 17-ივე მიზანი[33]. შესაბამისად, ინოვაციების ხელშეწყობა და განვითარება ქვეყნის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ხაზგასასმელია, რომ ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით თანამშრომლობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ფართო სფეროა, რომელიც შეთანხმების არაერთ მიმართულებაშია ინტეგრირებული. კერძოდ, ხელშეკრულების თანახმად „ინოვაციური პოლიტიკის განვითარების წახალისება კვლევებისა და განვითარების კომერციალიზაციის შესახებ (მათ შორის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დამწყები კლასტერების განვითარებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დამხმარე მექანიზმები) ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით" საქართველოსა და ევროკავშირის შორის სექტორული თანამშრომლობის მიმართულებაა . მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სწორედ ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, რომლის შედეგია საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება. აღნიშნული კი ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი პრიორიტეტია.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რამაც ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების სფეროში პოზიტიური დინამიკა უზრუნველყო, თუმცა, პროგრესული ნაბიჯების და ქვეყნის წინსვლის მიუხედავად, როგორც საკანონმდებლო, ისე აღსრულების ნაწილში, ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების კუთხით კვლავ არსებობს გამოწვევები, რომელიც საერთაშორისო შეფასებებშიც აღინიშნება. აღნიშნულის ერთ-ერთი დასტურია, OECD-ის ზემოაღნიშნული კვლევა „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი", რომლის მიხედვითაც ინოვაციური პოლიტიკა დამატებით მიზნობრივ მხარდაჭერას და შემდგომ განვითარებას საჭიროებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოებები, რომელიც აფერხებს ცოდნის, ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების განვითარებას და დანერგვას ბიზნესში,

[33] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N2328 განკარგულება „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე", იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4732470?publication=0

სახელმწიფო პოლიტიკის მხრიდან ფოკუსირებას, დამატებით ხელშეწყობას და მიზნობრივ მხარდაჭერას საჭიროებს.

სწორედ აღნიშნულის საპასუხოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა" მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიაში ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა, რომლის ფარგლებშიც მთელი რიგი მიზნობრივი აქტივობები განხორციელდა.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება - ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 5 ამოცანას და 8 აქტივობას.

ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1: ინოვაციური დაფინანსების სახელმწიფო პროდუქტების ბენეფიციარების რაოდენობა (საბაზისო - 164, სამიზნე 2025 – 10%-იანი ზრდა).

2021 წელს, მცირე გრანტების (15,000 ლარამდე) ფარგლებში დაფინანსდა 31 ბენეფიციარი, სტარტაპებისთვის თანადაფინანსების გრანტების მიმართულებით (100,000 ლარიანი) 40 სტარტაპი დაფინანსდა, ხოლო ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები (650,000 ლარიანი) 10 სტარტაპზე გაიცა.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **ინოვაციური პროდუქტების განვითარების და კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სააგენტოს მიერ გაიცა 100,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის და 650,000 ლარიანი ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის (GENIE პროექტი)** (ს/გ - დაფინანსებული სტარტაპების რაოდენობა (140 სტარტაპი).

სააგენტოს მიერ **მსოფლიო ბანკის „ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის" (GENIE)** ფარგლებში ხორციელდება თანადაფინანსების გრანტების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სტარტაპებისთვის 100,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების და 650,000 ლარიანი ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების გაცემას.

2021 წელს, თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის (100,000 ლარიანი) ითვალისწინებს 10% თანამონაწილეობას, ხოლო ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები (650 000 ლარიანი) - სულ მცირე 50%-იან თანადაფინანსებას.

მეწარმეებზე გაიცა ფინანსური რესურსი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში, საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისებას და კომერციალიზაციის გზით ინოვაციების და ინოვაციური საწარმოების შექმნას.

- **ინოვაციური სტარტაპების შექმნის და განვითარების ხელშეწყობის მიზნით სააგენტოს მიერ გაიცა მცირე (15,000 ლარამდე) გრანტები** (ს/გ - გაცემული გრანტების რაოდენობა - 35).

საგენტო ახორციელებს მცირე გრანტების (15,000 ლარამდე) პროგრამას, რომელიც წარმოადგენს თემატური დაფინანსების მექანიზმს. პროგრამის მიზანია სტარტაპების შექმნის და განვითარების ხელშეწყობა. მცირე გრანტები გაიცემა ძირითადად პროტოტიპირებისთვის, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარებს საშუალება აქვთ იდეა გადააქციონ ბიზნეს მოდელად და ასევე, დაიხმარონ ფაბრიკალური ლაბორატორიები.

პროგრამის ფარგლებში, ღია კონკურსის გზით და დადგენილი კრიტერიუმებით შეირჩნენ აპლიკანტები, რომლებიც დაფინანსდნენ ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში პროტოტიპის შექმნის, მისი გამოცდის, დახვეწის ან/და გაუმჯობესებისთვის. შედეგად, განხორციელდა როგორც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ასევე, გაუმჯობესდა არსებული ტექნოლოგიები. პროგრამის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა პროტოტიპირებისა და ელექტრონული სერვისების მიმართულებით პროტოტიპირების კონკურსების ჩატარება. ელექტრონული სერვისების გრანტის მიზანია ისეთი სერვისების/პლატფორმების დანერგვის, ტესტირების ან გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც აძლიერებს ადგილობრივ ელექტრონულ სერვისებს. ელექტრონული სერვისების პროტოტიპირების გრანტები გაიცა ისეთი პროექტების დასაფინანსებლად, რაც გამოწვეული იყო პანდემიით შექმნილი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად.

2021 წელს, მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ჯამში, დაფინანსდა 31 პროექტი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.2: იმ მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი (პროტოტიპის დონეზე) ან მომსახურება, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციართა შორის (საბაზისო 2019 - 27, სამიზნე 2025 – 100).

აღნიშნული მაჩვენებელი, საანგარიშო წელს, 33 სტარტაპია.

ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1: დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა (საბაზისო 2019 - 0, სამიზნე 2025 – არანაკლებ 700 პირი).

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, საანგარიშო წელს, ელექტრონული კომერციის საკითხებზე დატრენინგდა 640 ბენეფიციარი.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ელექტრონული კომერციის საკითხებზე ჩატარდა ტრენინგები და დატრენინგდა 640 ბენეფიციარი** (ს/გ - 600 დატრენინგებული მეწარმე).

2021 წელს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, ელექტრონული კომერციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის მასშტაბური, უფასო ტრენინგების (როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ ფორმატში) ციკლი განხორციელდა.[34]

ტრენინგების საშუალებით (თითოეული ტრენინგი 4 დღეს მოიცავდა), მეწარმეებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ელექტრონული კომერციის საკითხებზე, მათ შორის:

- ✓ რა არის ელექტრონული კომერცია და მისი უპირატესობები;
- ✓ ციფრული მედია და კომუნიკაცია;
- ✓ სოციალური ქსელები და მათი მნიშვნელობა გაყიდვებში;
- ✓ როგორ ავაწყოთ და ვმართოთ წარმატებული Facebook გვერდი;
- ✓ პროდუქციის ვიზუალური და შინაარსობრივი მხარის მნიშვნელობა;
- ✓ ონლაინ რეკლამა;
- ✓ სამიზნე აუდიტორია, მომხმარებლების მოზიდვა და მათთან კომუნიკაცია;
- ✓ პროდუქციის მიწოდება საქართველოში და საზღვარგარეთ.

ტრენინგები მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის აკადემიის მხარდაჭერით ჩატარდა. კურსის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს გადაეცათ ორენოვანი ელექტრონული სერტიფიკატი.

ტრენინგებში, ჯამში, მონაწილეობა 640-მა დაინტერესებულმა მეწარმემ მიიღო.

[34] სავაჭრო-სამრეწველო პალატა, იხ ბმული: https://gcci.ge/ka/news/article/telavshi-savachro-palatis-organizebit-elektronuli-komertsiis-treningi-imarteba-86

ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.2: მეწარმეთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს ტრენინგი ციფრულ უნარებში (საბაზისო 2019 - 385, სამიზნე 2025 - 3000).

2021 წლის განმავლობაში, რეგიონალურ ცენტრებსა და ტექნო პარკებში ჩატარდა ტრენინგები ციფრულ უნარებში, რომლის ფარგლებშიც დატრენინგებულ ბენეფიციარებს შორის არიან ახალგაზრდები და დამწყები მეწარმეები (1000-მდე მეწარმე). ბენეფიციარებმა შეისწავლეს: 3D მოდელირება & TinkerCad, Corel draw, Front end development, Web Programming.

ამასთან, საანგარიშო წელს, „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის" ფარგლებში გადამზადებული 574 მონაწილიდან, 36 იყო მეწარმე.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.3: ციფრული უნარების ტრენინგების მიმღებ მეწარმეთა რაოდენობაში იმ მეწარმეთა %-ული წილი, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო სერთიფიკატი, რაც სამუშაოს მიღების წინაპირობას წარმოადგენს (საბაზისო 2019 - 0, სამიზნე, 2025 – 40%).

კურსების გავლის შემდგომ, მონაწილეთა 65%-მა მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **„3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის" ფარგლებში ჩატარდა ICT ტრენინგები და გადამზადდა 574 IT სპეციალისტი** (სამოქმედო გეგმით 2021, 2022 – 300 IT სპეციალისტი).

ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის (GENIE) ფარგლებში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აგრძელებს ბაზარზე არსებულ ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად პროფესიებში კვალიფიციური კადრების მომზადებას და ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიებზე წვდომისთვის საჭირო უნარების განვითარების უფასო შესაძლებლობას დაინტერესებული პირებისთვის.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამა", რომელიც ითვალისწინებს IT სპეციალისტების გადამზადებას და სერტიფიცირებას.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ყველა მოქალაქეს საშუალება ეძლევა დარეგისტრირდეს მისთვის სასურველ კურსზე შემდეგი მიმართულებებით: პროგრამირება, პროექტ მენეჯმენტი, Game/Mobile development, ხელოვნური ინტელექტი, დიზაინი, კიბერუსაფრთხოება, ბლოკჩეინი, ქსელები, ვირტუალიზაცია და

სხვა, ჯამში 45 მიმართულებით. კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ ყველა კურსდამთავრებული იღებს საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის ვაუჩერს.

საანგარიშო წელს, საპილოტე კურსი, რომელიც დისტანციურ რეჟიმში წარიმართა, სრულად გაიარა 574 სტუდენტმა, მათ შორის, 536 გავიდა საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდაზე (Google, Microsoft, Oracle და ა.შ.), რომელიც წარმატებით ჩააბარა 371-მა სტუდენტმა და მოიპოვა საერთაშორისო სერთიფიკატი.

- **ტრენინგების ჩატარება ფრონტ-ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტსა და ქოფირაითინგში და გრაფიკულ დიზაინში** (ს/გ - 300 გადამზადებული ადამიანი).

3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის გარდა, რეგიონალურ ცენტრებსა და ტექნოპარკებში, ასევე, ტარდება სხვადასხვა IT ტრენინგები დამწყები სპეციალისტებისთვის.

2021 წელს, ჩატარდა ტრენინგები ფრონტ-ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტში, ქოფირაითინგში და გრაფიკულ დიზაინში.

ჯამში ტრენინგი გაიარა 400-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

- **რეგიონებში ინოვაციების მხარდაჭერის და რეგიონული ეკონომიკის გაძლიერების მიზნით 2 ახალი საგრანტო პროგრამა დაიწყო.**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, ევროკავშირის საგრანტო დაფინანსებით „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში, ახალი საგრანტო პროგრამები გამოცხადდა შემდეგ რეგიონებში: იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. ერთიანი რეგიონული განვითარების პოლიტიკისა და ევროკავშირის ტერიტორიული დაგეგმვის უახლესი მიდგომების შესაბამისად, პროექტის მიზანია, რეგიონული სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება, ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება და ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში.

პროგრამა მოიცავს ორი კატეგორიის საგრანტო პროგრამას - მცირე გრანტი და ინოვაციური მეწარმეობის გრანტი:[35]

- მცირე გრანტი ითვალისწინებს 30,000 ლარის ოდენობით დაფინანსებას, რომლის მიზანია ინოვაციების დანერგვა, ტესტირება ან გაუმჯობესება მათი შემდგომი კომერციალიზაციისთვის. ინოვაციებით და ტექნოლოგიებით დაინტერესებული

[35] წყარო: იხ. ბმული www.grants.gov.ge

სუბიექტების საერთაშორისო ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ეკოსისტემაში ინტეგრაცია და მათი კომერციული პოტენციალის გაზრდა.

- ინოვაციური მეწარმეობის 100,000 ლარიანი გრანტის მიზანია ინოვაციური ან/და ტექნოლოგიური ელემენტის შემცველი და კომერციალიზაციის მაღალი პოტენციალის მქონე ბიზნეს პროექტების დაფინანსება.

საგრანტო პროგრამები ითვალისწინეს შემდეგი მიმართულებების დაფინანსებას:

- ✓ კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტის/სერვისის პროტოტიპის შექმნა;
- ✓ ინოვაციური წარმოების მეთოდების შეძენა (მანქანა-დანადგარები);
- ✓ ბიზნესის განვითარება, ინტელექტუალური საკუთრების განაცხადები და საზღაურები, კვლევითი და საცდელი მომსახურებები და ქვეკონტრაქტები, შემუშავებული ინოვაციების ტესტირება და გამოცდა, ბიზნეს გეგმის მომზადება შემდგომი კაპიტალის მობილიზებისათვის, კომერციალიზაცია და სხვა.

საგრანტო პროგრამების ამოცანას წარმოადგენს საპილოტე რეგიონებში ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ადგილობრივი საწარმოების ბიზნეს პროცესებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვისკენ მიმართული ღონისძიებების (მათ შორის, ფინანსებზე წვდომის ინსტრუმენტების გაძლიერება) მხარდაჭერა. საგრანტო კონკურსი ინოვაციურ მეწარმეებს საშუალებას აძლევს მიაწოდონ ბაზარს ახალი პროდუქცია და მომსახურება, განავითარონ რეგიონული ღირებულებათა ჯაჭვი და რეგიონული ეკონომიკის პროდუქტულობის დონე.

ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.1: ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა (საბაზისო 2019 - 0, სამიზნე, 2025 – 1064).

საანგარიშო წელს, ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტები 49 ერთეულით გაიზარდა.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- ❖ **საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ხორციელდება ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა** (ს/გ -

ინფრასტუქტურა დასრულებულია სულ მცირე ერთ სამიზნე გეოგრაფიულ არეალში).

მსოფლიო ბანკთან გრძელდება მუშაობა „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის" საკითხებზე, მისი ძირითადი მიმართულებების განხორციელების მიზნით.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია, მსოფლიო ბანკთან დაწყებული პროექტი „Log-in Georgia", რომლის მიზანია მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. პროექტი 3 კომპონენტს მოიცავს, კერძოდ, ფართოზოლოვან ინტერნეტთან წვდომის ზრდას, მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობას და პროექტის დანერგვის მხარდაჭერას.

სოფლების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით დაფარვის ზრდით და ასევე, ქვეყნის მასშტაბით ტრენინგისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების მეშვეობით, პროექტი ხელს უწყობს ციფრული სერვისების გამოყენებას და ითვალისწინებს ციფრული საფინანსო სერვისების და ელექტრონული კომერციის, ისევე როგორც ელექტრონული მთავრობის სერვისების წახალისებას. აღნიშნულის გარდა, პროექტი ხელს უწყობს დისტანციური სწავლებისა და ტელემედიცინის განვითარებას, მიზნად ისახავს პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოების და ფართოზოლოვანი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რათა სოფლად ინტერნეტ პროვაიდერებმა დაბალ ფასად შეძლონ კონკურენტული მაღალხარისხიანი ინტერნეტ სერვისის მიწოდება.

პროექტის „Log-in Georgia" ფარგლებში, ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამა აქტიურ ფაზაშია და წარმატებით ხორციელდება. პროგრამა ითვალისწინებს ღია დაშვების ქსელის შექმნას ისეთ დასახლებულ პუნქტებში ე.წ. „სამიზნე გეოგრაფიულ არეალში", სადაც:

- ✓ არ არის ოპერატორების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც უწყვეტად დაკავშირებულია ოპერატორების ოპტიკურ მაგისტრალებთან;
- ✓ მოსახლეობის რაოდენობა მეტია ან ტოლია 200-ის;
- ✓ კერძო კომპანიების მიერ არ იგეგმება ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

პროგრამის ფარგლებში, შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე:

- ✓ ერთიანი ნეიტრალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის შექმნა;

- ✓ სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ფართოზოლოვანი საბითუმო მომსახურებების განვითარება;
- ✓ შექმნილი ქსელის ორ ნებისმიერ დაშვების წერტილს შორის კავშირი.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება საშუალებას მისცემს კერძო, განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიებს, მომსახურება გაუწიონ მოსახლეობას, სადაც ამ დრომდე ამგვარი სერვისი არ ყოფილა ხელმისაწვდომი.

პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს, ქსელის მშენებლობა დასრულებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სადაც აშენდა 140კმ. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა. რაც 49 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 28 000-ზე მეტ მოსახლეს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს ელექტრონული ჯანდაცვით, ელექტრონული განათლებით, ელექტრონული კომერციით და სხვა თანამედროვე სერვისებით. პროექტის განხორციელებით შეიქმნა შესაძლებლობა, თითოეულმა ოჯახმა მიიღოს 100 მბ/წმ, ხოლო დაწესებულებებმა - 1გბ/წმ სიჩქარის ინტერნეტი. სერვისი უკვე მიეწოდება ადგილობრივ ოპერატორებს და ათი მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს რეგისტრაცია და მოსახლეობის ქსელში ჩართვა.

მშენებლობა აქტიურ ფაზაშია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, რომელიც მოიცავს 50 კმ-იანი მაგისტრალის მშენებლობას, 13 დასახლებულ პუნქტს და 10,500 მოსახლეს. აღნიშნული პროექტი 2022 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

- ❖ **„პროექტ "Log in Georgia"-ს ფარგლებში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისა და მონაცემთა გადაცემის ქსელის კონცეპტუალური დიზაინის მომზადება".**

პროექტის "Log in Georgia"-ს ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების აქტუალობიდან და პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, კონცეპტუალური დიზაინი გაიყო ორ ნაწილად.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის კონცეპტუალური დიზაინი დასრულებულია. აღნიშნული დიზაინის საფუძველზე გამოცხადდა მშენებლობის ტენდერები ქობულეთის, რაჭისა და ლეჩხუმის სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში. რაც შეეხება მონაცემთა გადაცემის ქსელის კონცეპტუალურ დიზაინს, დოკუმენტის მომზადება იგეგმება 2022 წელს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.2: ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიან რეგიონების დასახლებული პუნქტების (<200 მოსახლეობით) რაოდენობა (სათემო ინტერნეტიზაცია) სამოქმედო გეგმით (საბაზისო 2019 - 124, სამიზნე, 2025 - არანაკლებ 174).

იმ რეგიონების ინტერნეტიზაცია, სადაც მოსახლეობა 200-ზე ნაკლებია (რომელსაც არ ფარავს სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამა) ერთ-ერთ მნიშვნელოვან

გამოწვევას წარმოადგენს. ამგვარ რეგიონებში კერძო სექტორისთვის კომერციულად არამომგებიანი გარემოა და შესაბამისად, მათ ინტერესი არ გააჩნიათ განავითარონ საკუთარი ინფრასტრუქტურა. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, ამ რეგიონების ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, ბოლო წლებში, საქართველოს მთავრობის მხრიდან სათემო ინტერნეტიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები განხორციელდა. კერძოდ, 2017 წელს თუშეთში, ინტერნეტით დაიფარა 2 ხევი და 24 სოფელი და 2019 წლის ბოლოს ფშავ-ხევსურებსა და გუდამაყარის ხეობებში - 100-მდე სოფელი (496 ოჯახი, 1291 მუდმივი მაცხოვრებელი).

შენიშვნა: სათემო ინტერნეტიზაციის შემდეგი პროექტის დაწყება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან დასახლებებში იგეგმება. მიმდინარე ეტაპზე ხორციელდება სათემო ინტერნეტ ქსელებით დასაფარი დასახლებული პუნქტების დაზუსტება, რის შემდეგაც დაიწყება ქსელის დაპროექტების სამუშაოები.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.3: ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლად აშენებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელების სიგრძე (კმ) (საბაზისო, 2019 - 0, სამიზნე, 2025 – 5000).

პროექტის ფარგლებში, საანგარიშო წელს, ქვეყნის მასშტაბით აშენებულია 140 კმ. სიგრძის ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელი. კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში 140 კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა მოეწყო.

ამოცანა 5.5 მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.5.1: მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გადაწყვეტილი პრობლემები.

მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო კომპანიებისთვის გაწეული იქნა დახმარება ინტერნეტის ურთიერთგაცვლის ცენტრის (IXP) ფორმირების და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მშენებლობის მიმართულებით შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან შუამდგომლობის გზით.

ასევე, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს" გაეწია დახმარება ციფრული მაუწყებლობის მულტიფლექს პლატფორმის თავისუფალი რესურსების ათვისების მიმართულებით. აქტივობებზე მუშაობა გრძელდება.

ამოცანა 5.6. კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.6.1: ტექნოლოგიური გადაცემების პროექტების რაოდენობა, რომელიც კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა (საბაზისო, 2019 - 0, სამიზნე, 2025 – 1).

იდენტიფიცირებულია კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე 9 ქართული ტექნოლოგია.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **კომერციალიზაციის ეტაპზე გადასასვლელად პროექტების ხელშეწყობა/გამოვლენა.**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში, 2019 წლიდან, ახორციელებს „ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამას" (TTPP), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. პროგრამა ითვალისწინებს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეების შერჩევას და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებზე, სანამ მათი წარდგენა მოხდება პოტენციური მომხმარებლებისთვის/კლიენტისთვის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

3-წლიანი პროგრამის განმახორციელებლები არიან მსოფლიო ბანკი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

პროგრამა სხვა აქტივობებთან ერთად ითვალისწინებს შემდეგ მიმართულებებს:

- ✓ საპილოტე პროექტში მონაწილეობის მიღების მსურველ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში ვიზიტები;
- ✓ მკვლევარებისგან პროექტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შეთანხმება, რათა პროგრამის გუნდმა შეარჩიოს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტები;
- ✓ ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების დახმარებით იმ პროექტების იდენტიფიცირება, რომელთაც აქვთ ტექნოლოგიური და კომერციული მზაობის შესაბამისი დონე (TRL4+); ბიზნეს მზაობის დონის შეფასების განსაზღვრა და ტექნოლოგიების გადაცემის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ✓ შერჩეული პროექტებისთვის ისეთი აქტივობების დაფინანსება, რომელიც გაზრდის ტექნოლოგიის მზაობის დონეს;

- ✓ ტექნოლოგიების გადაცემის სისტემის სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება წარმატებით დასრულებული ტექნოლოგიის გადაცემით (მოლაპარაკებებიდან ხელშეკრულების გაფორმების საფეხურამდე) და პროცესში ხელშეწყობით (მაგ. კვლევითი კონტრაქტი, ინტელექტუალური საკუთრების კვლევა და დაცვა, ბაზრის ანალიზი და ა.შ.);
- ✓ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრებთან თანამშრომლობის განვითარება, საერთაშორისო ურთიერთობების გასაძლიერებლად და ევროპულ ბაზარზე შესასვლელად.

პროექტის ფარგლებში გამოვლენილია 9 ტექნოლოგია, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა გლობალურ ჯაჭვში ჩართვის კუთხით.

პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის **მიზანს წარმოადგენს** მცირე და საშუალო მეწარმე ქალთა ზრდა/განვითარება გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის **გავლენის მაჩვენებელია** - მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა წილი.

საქსტატის მონაცემების თანახმად, 2021 წელს მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში, იმ სუბიექტების პროცენტული წილი, რომელშიც ფიგურირებს ქალი დამფუძნებელი, 38%-ს შეადგენს. ამასთან, მხოლოდ ქალ-მეწარმეთა მიერ დაფუძნებული ბიზნეს სუბიექტების წილი მთლიანი ბიზნეს სუბიექტების 36%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და ეკონომიკური ღირებულების შექმნაში ქალის როლის ზრდა მსოფლიოში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის გლობალურ ტენდენციად ყალიბდება.

გენდერული თანასწორობა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაწილია და 17 მიზნიდან მე-5 მიზანი ითვალისწინებს „გენდერული თანასწორობის მიღწევას და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესებას". გენდერული მაჩვენებლები და სამიზნეები გაწერილია, ასევე, სხვადასხვა მიზანში, რომელთა ამოცანების შესრულება ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას 2030 წლისთვის. საქართველოს მთავრობამ გლობალური 17 მიზნის ადაპტაციით, განსაზღვრა საქართველოსთვის პრიორიტეტული ამოცანები, მაჩვენებლები და სამიზნეები. საქართველოს ნაციონალიზებული აქვს მდგრადი განვითარების 17-ივე მიზანი და შესაბამისად გენედერული თანასწორობის დაცვა ქვეყნის ეროვნული დღის წესრიგის შემადგენელ ნაწილად განისაზღვრა.

ნიშანდობლივია, რომ გენდერული თანასწორობის გაძლიერება ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ნაწილია. კერძოდ, თანაბარი შესაძლებლობები „რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას" [36] ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს.

შესაბამისად, მდგრადი ზრდისა და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების გზაზე გენდერული თანასწორობის მიღწევა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის

[36] წყარო: ასოცირების ხელშეკრულება, კარი VI, მუხლი 349, იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

გზით, ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ამის ნათელი დასტურია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიაში 7 პრიორიტეტული მიმართულებიდან „ქალთა მეწარმეობის განვითარების", როგორც ცალკე პრიორიტეტის, განსაზღვრა.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, ქალთა სამეწარმეო პოტენციალის ზრდისა და ქალ მეწარმეთა ხელშეწყობის მიმართულებით მთელი რიგი მხარდამჭერი ღონისძიებები და მიზნობრივი პროგრამები განხორციელდა. თუმცა, მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქალთა მეწარმეობის მიმართულება, სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. აქვე, აღსანიშნავია კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისიც, რომლის უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით მწვავედ მეწარმე ქალებზე აისახა.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია საქსტატის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2020 წელს, ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობის (აქტიურობის) მაჩვენებელი შეადგენს 40.4%-ს, ხოლო კაცების ანალოგიური მაჩვენებელი 62%-ია. ამასთან, მთლიანი დასაქმებულებიდან ქალების წილი 44%-ია. რაც შეეხება დაქირავებით დასაქმებულთა თანაფარდობას სქესის მიხედვით, 2020 წელს, დაქირავებით დასაქმებულ ქალთა და კაცთა რაოდენობას შორის სხვაობა მინიმალურია კაცთა სასარგებლოდ. კერძოდ, დაქირავებით დასაქმებულ ქალთა წილი 49%-ს, ხოლო დაქირავებით დასაქმებული კაცების ანალოგიური მაჩვენებელი 51%-ს შეადგენს. რაც შეეხება სიღარიბის მაჩვენებელს (სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მყოფი მოსახლეობის წილი), აღნიშნული მაჩვენებელი, 2020 წელს ქალებთან მიმართებით 20.9%-ს, ხოლო კაცებთან მიმართებით 21.7%-ს შეადგენს. საგულისხმოა უთანასწორობა, რომელიც ფიქსირდება სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის (ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა) განაწილების მხრივ სქესის მიხედვით. კერძოდ, 2020 წელს ქალებისთვის - 64%, ხოლო კაცების მხოლოდ 36% იყო ეკონომიკურად არააქტიური. გენდერული უთანასწორობა წარმოდგენილია არა მხოლოდ ზოგად სტატისტიკურ მაჩვენებლებში, არამედ, ბიზნეს სექტორის მიმართულებითაც. კერძოდ, 2019, ბიზნეს სექტორში დასაქმებულ ქალთა წილმა 41%, ხოლო კაცის ანალოგიურმა მაჩვენებელმა 59% შეადგინა. ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა მფლობელებში კი საგრძნობლად (თითქმის ორჯერ) ჭარბობენ მამაკაცები და ეს ტენდეცია წლების განმავლობაში პრაქტიკულად უცვლელია.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად გამოხატავს გამოწვევას, რომელიც უკავშირდება ქალთა აუთვისებელ პოტენციალს და ამასთან, ადასტურებს ქალთა ეკონომიკურ ცხოვრებაში მეტად ჩართვისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

აღნიშნულის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობა, შესაბამისი მხარდამჭერი პოლიტიკის და სხვადასხვა მიზნობრივი ინსტრუმენტების ფარგლებში, გეგმავს და ახორციელებს მნიშვნელოვან სახელმწიფო პროგრამებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს

ქალების ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში, შეამსუბუქოს ქალებზე კრიზისის დამაზიანებელი გავლენა, და უზრუნველყოს ქვეყანაში ინკლუზიური ზრდის მიღწევა.

საქართველოს მთავრობის მიერ ქალთა მეწარმეობის განვითარების მიმართულებით განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ნაბიჯებმა პოზიტიური ასახვა ჰპოვა OECD-ის კვლევაში „SME Policy Index 2020". კერძოდ, რეიტინგის მიხედვით, „ქალთა მეწარმეობა" 4.24 ქულით 12-დან იმ 9 კომპონენტში მოხვდა, სადაც ქვეყანა უმაღლესი ქულით შეფასდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ასევე, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „Global Gender Gap"-ის ანგარიში [37], რომლის თანახმად, საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწია და 2021 წელს 156 ქვეყანას შორის 49-ე ადგილი (2017 წელთან შედარებით, სადაც საქართველო 144 ქვეყნიდან 95-ე ადგილზე იყო), ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის (ECA) რეგიონის 26 ქვეყანას შორის მე-12 ადგილი დაიკავა. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო უსწრებს ჩრდილოეთ მაკედონიას, უკრაინას, პოლონეთს, ბოსნია და ჰერცეგოვინას, სლოვაკეთის რესპუბლიკას, ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთს და სომხეთს. „ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების შესახებ" კომპონენტის ნაწილში კი, საქართველო 2017 წელს 74-ე ადგილზე იყო, ხოლო 2021 წელს 10 პოზიციით დაწინაურდა და 64-ე ადგილზე გადავიდა.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება - ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 5 ამოცანას და 10 აქტივობას.

ამოცანა 6.1. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების" (WEPS) პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.1.1: საინფორმაციო სესიების რაოდენობა (საბაზისო 2019 - 8 სესია, სამიზნე, 2025 – 10 სესია).

CIDA-ს მიერ, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" ჩართულობით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების" თემაზე ჩატარდა ადგილობრივად 7 სამუშაო შეხვედრა და 8 საერთაშორისო შეხვედრა.

ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე კოვიდ პანდემიის გავლენის შესახებ ჩატარდა ღონისძიება, რომელსაც 95 მონაწილე დაესწრო.

[37] მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „Global Gender Gap Report", იხ. ბმული: https://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2021.pdf

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში” წარმომადგენლების მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედი მეწარმე ქალებისთვის ჩატარდა ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 13-მა მეწარმე ქალმა.

ქალი მეწარმეების ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობის წახალისების მიზნით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **ქალთა გაძლირების პრინციპებთან დაკავშირებით საინფორმაციო სესიების ორგანიზება კომპანიების წარმომადგენლებისთვის** (ს/გ - 5 საინფორმაციო სესია).

CIDA-ს მიერ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში” ჩართულობით, გლობალური ზეგავლენის ინიციატივა „დასახე მიზნად გენდერული თანასწორობა (TGE)” ფარგლებში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების (WEPs)-ის თემაზე ჩატარდა 7 სამუშაო შეხვედრა ადგილობრივად და 8 საერთაშორისო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ქართულ კომპანიებს მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ. ინიციატივაში მონაწილეობა მიიღო 13-მა ქართულმა კომპანიამ.

ინიციატივა მიზნად ისახავს კომპანიებისთვის შესაძლებლობის მიცემას დასახონ და მიაღწიონ ამბიციურ კორპორაციულ მიზნებს ქალთა წარმომადგენლობისა და ხელმძღვანელობისთვის, გააძლიერონ საკუთარი წვლილი მდგრადი განვითარების შესაბამისი მიზნის მიღწევაში, რომელიც გლობალურად ბიზნესში ქალთა თანაბარი წარმომადგენლობის, მონაწილეობისა და ლიდერობის ხელშეწყობას გულისხმობს. ინიციატივა ითვალისწინებს ბიზნესის წახალისებას - გახდეს წამყვანი მაგალითი გენდერული თანასწორობის კუთხით ამბიციური მიზნების განხორციელებისას.

პროგრამის შინაარსობრივი ნაწილი მოიცავდა შემდეგ მოდულებს:

- ✓ ამოცანების დასახვა და ამბიციის განსაზღვრა;
- ✓ სტრატეგიები წარმატებისთვის;
- ✓ პროგრესის გაზომვა და კომუნიკაცია.

მოდულების ფარგლებში განხილული თემები კი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ✓ WEPs შეფასების კითხვარის შევსება და განხილვა;
- ✓ შედეგების მიმოხილვა/ამბიციის განსაზღვრა;
- ✓ წარმატებული სტრატეგიები ქალთა გაძლიერების მიმართულებით;
- ✓ როგორ გავხდეთ მშობლების ხელშემწყობი *(parentsmart)* დამსაქმებელი;
- ✓ როგორ დავაორგანიზოთ WEPs-ის შიდა განხილვები;
- ✓ ქალების ლიდერობა კლიმატის მოქმედებაში;

- ✓ საინფორმაციო შეხვედრა ქალ მეწარმეთათვის სააგენტოს პროგრამების შესახებ;
- ✓ კაცების, როგორც მოკავშირეების ჩართვა და სხვ.

პროგრამის განმავლობაში, მოდულების პარალელურად, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეემუშავებინათ სამოქმედო გეგმა, განესაზღვრათ ქმედებები და ამოცანები.

დამატებით აღსანიშნავია, რომ TGE-ის ინიციატივის ფარგლებში, კავშირ „საფართან" ურთიერთანამშრომლობით, ქართული კომპანიებისთვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი თემაზე - „ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკის ხელშეწყობა კერძო სექტორში". შეხვედრების თემატიკა მოიცავდა ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკას შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, დისკრიმინაციასთან ბრძოლის საერთაშორისო და ადგილობრივ მექანიზმებს, დასაქმების ადგილზე დისკრიმინაციის, თანამშრომელთა განვითარებაზე თანაბარი წვდომის საკითხებს და ა.შ.

- ❖ **გაიმართა ღონისძიება „დარეკე ზარი გენდერული თანასწორობისთვის" (Ring the Bell for Gender Equality)** (ს/გ -1 ღონისძიება).

2021 წლის 11 მარტს, CIDA-ს და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ორგანიზებით ონლაინ ფორმატში, სსიპ „აწარმოე საქართველოს" ჩართულობით ჩატარდა ღონისძიება „დარეკე ზარი გენდერული თანასწორობისთვის" *(Ring the Bell for Gender Equality)*. შეხვედრის თემას წარმოადგენდა კოვიდ პანდემიის გავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. ღონისძიებაზე სიტყვით გამომსვლელებს შორის იყვნენ როგორც ბიზნეს სექტორის, ისე მთავრობის, პარლამენტის და საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები. ღონისძიებას დაესწრო 95 მონაწილე.

- ❖ **ქალი მეწარმეებისთვის სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება** (ს/გ - წლიურად 2 შეხვედრა).

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" წარმომადგენლების მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედი მეწარმე ქალებისთვის 1 ონლაინ პრეზენტაცია ჩატარდა, რომელიც მიზნად ისახავდა დამწყები ქალი მეწარმეებისთვის სააგენტოს პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

ღონისძიება ჩატარდა ტრენინგის „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი" ფარგლებში და მასში მონაწილეობა მიიღო 13-მა დამწყებმა მეწარმე ქალმა.

- ❖ **ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები ქალი მეწარმეების ინოვაციურ პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით (ს/გ - წლიურად 2 შეხვედრა).**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა, რომლის

ფარგლებშიც სააგენტოს წარმომადგენლებმა პოტენციურ ბენეფიციარებს მიაწოდეს ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი პროგრამების/პროექტების შესახებ.

შეხვედრები მიზნად ისახავდა ქალი მეწარმეების სამეწარმეო პოტენციალის, მათი ინოვაციური შესაძლებლობების ამაღლებას და ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ პროექტებში ქალთა ჩართულობის ზრდას.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.1.2: ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც ადასტურებს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას თავიანთ საქმიანობაში (საბაზისო 2019 - არა, სამიზნე, 2025 – 65%).

ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის საფუძველზე გამოვლინდა, რომ 70%-ს აჭარბებს ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც ადასტურებს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებით საქმიანობაში.

ამოცანა 6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.2.1: სახელმწიფო პროგრამების სტატისტიკა წარმოდგენილია გენდერული ნიშნით (საბაზისო 2019 - 1 პროგრამა, სამიზნე 2025 – 3 პროგრამა).

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში მიმდინარე 3 პროგრამის - ინდუსტრიული კომპონენტი, მიკრო და მცირე მეწარმეობის კომპონენტი და ბიზნეს უნივერსალის პროგრამა - ფარგლებში იწარმოება გენდერული სტატისტიკა.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 3 პროგრამის სტატისტიკა (მცირე გრანტები (15,000 ლარამდე), თანადაფინანსების გრანტები სტარტეპებისთვის და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები) იწარმოება გენდერული ნიშნით.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში" პროგრამების სტატისტიკა იწარმოება გენდერული ნიშნით.**

საანგარიშო პერიოდში, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში" 2021 წელს აწარმოა გენდერული სტატისტიკა შემდეგი 3 პროგრამისთვის:

- ✓ მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა;
- ✓ ინდუსტრიული კომპონენტი;
- ✓ ბიზნეს უნივერსალის პროგრამა.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში, მიკრო და მცირე მეწარმეობის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით, ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობას, ახალი ბიზნესების დაფინანსებას ან/და არსებულის გაფართოებასა და განვითარებას. პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც გრანტის მაქსიმალური მოცულობა ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 30,000 ლარს, განსაზღვრულია სხვადასხვა პრიორიტეტი, მათ შორის არის ქალი მეწარმეების მიერ ბიზნესის წამოწყება ან არსებულის გაფართოება, რომელიც გულისხმობს ქალ მეწარმეთა მიერ განაცხადის შემოტანისას დამატებითი ქულის მინიჭებას. აღნიშნული კი მნიშვნელოვან წამახალისებელ მექანიზმს წარმოადგენს მეწარმე ქალთა სტიმულირებისთვის.

პროგრამის ბენეფიციართა შესახებ გენდერული სტატისტიკის წარმოება 2015 წლიდან მიმდინარეობს.

ინდუსტრიული კომპონენტი ითვალისწინებს კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ან სალიზინგო კომპანიის მიერ გაცემული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას (ფინანსური მხარდაჭერა) და ასევე, ტექნიკურ დახმარებას წარმოება/გადამუშავების (გარდა სოფლის მეურნეობისა), სასტუმრო ინდუსტრიისა და ტურისტული სერვისების და საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროს მიმართულებით, რომელიც მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს განავითარონ არსებული ბიზნესი და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები. ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში ხორციელდებოდა სესხების/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება პირველი ტრანშის გაცემიდან/სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის განმავლობაში (თანადაფინანსების პერიოდი Covid-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ 2020 წელს, 24 თვიდან 36 თვემდე გაიზარდა).

პროგრამის ფარგლებში, 2021 წლიდან მიმდინარეობს ბენეფიციართა დამფუძნებელი და დირექტორი ქალების რაოდენობის აღრიცხვა.

ბიზნეს უნივერსალის პროგრამამ, რომელიც 2021 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა, ფაქტობრივად ჩაანაცვლა ინდუსტრიული კომპონენტი. პროგრამა მოიცავს 4 მიმართულებას, ესენია: თანადაფინანსების (მოიცავს სესხის და ლიზინგის პროცენტის და საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსებას), საგარანტიო, საგრანტო და უძრავი ქონების ხელმისაწვდომობის მიმართულება. პროგრამა ემსახურება შემდეგ მიზნობრივ ინდუსტრიებს: წარმოება და გადამუშავება (გარდა სოფლის მეურნეობისა), სასტუმროები, ტურისტული სერვისები, ბალნეოლოგიური კურორტები, ეკო და აგრო ტურისტული ინდუსტრიები. ერთ სესხთან მიმართებით ბენეფიციარი უფლებამოსილია

გამოიყენოს პროგრამის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად. სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება ხორციელდება სესხის/ლიზინგის სრული ვადით. პროგრამის ფარგლებში სესხის/ლიზინგის საგნის ღირებულების მინიმალური მოცულობაა 50,000 ლარი, ხოლო მაქსიმალური მოცულობა - 10 მლნ ლარი. ასევე, მხარდაჭერის დამატებითი პირობებით ისარგებლებენ შემდეგი საპილოტე რეგიონები: იმერეთი, კახეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.

მნიშვნელოვანია გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით განხორციელებული პროექტები, რომლის მიზანია სახელმწიფო უწყებების მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დაგეგმვა/განხორციელებაში, უწყებების მიერ განხორციელებულ პროგრამებში გენდერული კომპონენტის ინტეგრირება და გენდერული სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში" მხარდაჭერით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" შემუშავებული აქვს გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამწლიანი სამოქმედო გეგმა. [38] სტრატეგიის მიზანია სააგენტოს საქმიანობაში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა. სტრატეგიის ძირითად პრინციპებს შორის აღსანიშნავია გენდერული თანასწორობის გაძლიერება და დაცვა, რაც გულისხმობს გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებას სააგენტოს პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში. სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმა მეტწილად შესრულებულია.

გენდერული მეინსტრიმინგი - მიდგომა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვა/განხორციელების ყველა დონესა და საფეხურზე ქალებისა და კაცების ინტერესებისა და საჭიროებების თანაბრად გათვალისწინებას. პოლიტიკის პროცესის ორგანიზება, გაუმჯობესება, განვითარება და შეფასება გენდერული კომპონენტის ინტეგრირებით.[39]

სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია სააგენტოში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობაში ქალის და კაცის, განსხვავებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების უკეთ განსაზღვრას.

სტრატეგიის შესაბამისად, სააგენტოში შეიქმნა და მოქმედებს გენდერული თანასწორობის საკითხების მუდმივმოქმედი კომისია. კომისიის ძირითადი ამოცანაა

[38] სსიპ „აწარმო საქართველოში" დირექტორის ბრძანება, გენდერული თანასწორობის სტრატეგია, იხ. ბმული: https://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/60d583b332594-Binder1.pdf
[39] წყარო: ევროპის საბჭო, What is Mainstreaming, იხ. ბმული: https://www.coe.int/en/web/genderequality/what-is-gender-mainstreaming

უზრუნველყოს სააგენტოს მიერ სტრატეგიული ამოცანების დაგეგმვა, კოორდინირება, შესრულება და შესრულების მონიტორინგი.

კომისიის მუშაობა, მათ შორის, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ✓ სააგენტოში არსებული სტრატეგიების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და შიდა რეგულაციების გენდერულ მეინსტრიმინგი;
- ✓ გენდერული თანასწორობის მექანიზმის გაძლიერება;
- ✓ ქალთა ასოციაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება;
- ✓ სააგენტოში სექსუალური შევიწროების და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პოლიტიკისა და შესაბამისი საჩივრების მიღება-განხილვის მექანიზმის მონიტორინგი;
- ✓ გენდერულ ჭრილში სტატისტიკის შეგროვების მონიტორინგი;
- ✓ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების აქტივობები.

კომისიის სხდომები ტარდება წელიწადში 2-ჯერ.

მნიშვნელოვანია, ასევე, აღინიშნოს, რომ სააგენტოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში სააგენტოში დანიშნულია ე.წ. გენდერული მრჩეველი, რომელიც სააგენტოს დახმარებას უწევს გენდერული მიმართულებით.

- ❖ **სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში" 3 პროგრამის სტატისტიკა წარმოებს გენდერული ნიშნით** (ს/გ - 1 პროგრამა).

სააგენტოს მიერ 3 პროგრამისთვის (მცირე გრანტები (15,000 ლარამდე), თანადაფინანსების გრანტები სტარტეპებისთვის და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები) მიმდინარეობს სტატისტიკის წარმოება გენდერულ ჭრილში.

- ❖ **დამტკიცდა საქსტატის გენდერული სტატისტიკის პირველი სტრატეგია 2021-2023 წლებისთვის.**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა (საქსტატი) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის აქტიური თანამშრომლობა, რომელიც საფუძვლად დაედო საქსტატის მიერ, 2021 წლის ოქტომბერში, გენდერული სტატისტიკის პირველი სტრატეგიის დამტკიცებას 2021-2023 წლებისთვის[40]. დოკუმენტი საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიას ეყრდნობა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სწორედ გენდერული სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებაა.

[40] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გენდერული სტატისტიკის სტრატეგია, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/media/41397/Gender_Strategy-Geostat.pdf

გენდერული სტატისტიკის ცალკე სტრატეგიის შემუშავება კი გენდერის საკითხის მაღალ საფეხურზე აყვანის ნათელი დასტურია.

სტრატეგიის ხედვას წარმოადგენს „ხარისხიანი, მოთხოვნაზე ორიენტირებული, გენდერულად მგრძნობიარე სტატისტიკა, რომელიც მხარს უჭერს დაგეგმვას და მტკიცებულებაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღებას საქართველოში სრული გენდერული თანასწორობის მისაღწევად" და ითვალისწინებს 3 მიზნის მიღწევას. ეს მიზნებია:

- ✓ მაღალი ხარისხის და მოთხოვნაზე ორიენტირებული გენდერული სტატისტიკის წარმოება;
- ✓ გენდერული სტატისტიკის წარმოების და გამოყენების, კოორდინაციის და დაფინანსების შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- ✓ გენდერული სტატისტიკის გავრცელებისა და გამოყენების გაუმჯობესება.

დოკუმენტი შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით, აქტიური კონსულტაციების საფუძველზე შემუშავდა და ითვალისწინებს როგორც ძირითად საერთაშორისო ნორმებს, ასევე, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის, პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის, ასევე, მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფარგლებში საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქსტატმა საკუთარ საქმიანობაში, გენდერული ასპექტების გათვალისწინების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რომელიც მოიცავს გენდერული მონაცემების პორტალისშექმნას, [41] ყოველწლიური პუბლიკაციის მომზადებას „ქალი და კაცი საქართველოში", [42] საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის ჩატარებასა და მოსახლეობის მიერ დროის გამოყენების მიმდინარე კვლევას, რომლის დასრულებაც 2022 წელს იგეგმება. ინიციატივის მხარდაჭერა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" ფარგლებში განხორციელდა, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერაა დაფინანსებული.

- ❖ **ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" მიერ მიმდინარეობს გენდერულ თანასწორობის სტრატეგიის და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება.**

[41] საქატატი, გენდერული სტატისტიკის პორტალი, http://gender.geostat.ge/gender/index.php?lang=ka

[42] საქსტატი, პუბლიკავიები: „ქალი და კაცი საქართველოში", იხ. ბმული: http://gender.geostat.ge/gender/index.php?lang=ka#publications

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მიმდინარე ეტაპზეა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგია ადგენს სააგენტოს პრიორიტეტებს, მიზნეს და ამოცანებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიხედვით და ითვალისწინებს 3 მიზნის მიღწევას:

- ✓ ქალთა გაძლიერების პრინციპების ჩართვა სააგენტოს პროგრამებში, სერვისის მიწოდებაში და მისი ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა;
- ✓ გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებებისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ინსტიტუციური მექანიზმის განვითარება და ეფექტიანი აღსრულება სააგენტოს სისტემაში;
- ✓ რეგიონული ექსტენციის ცენტრების გაძლიერება.

სტრატეგიის შემუშავება სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, პროექტის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში" (WEESC) ფარგლებში მიმდინარეობს.

ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.3.1: „მიკრო გრანტების" სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ქალების წილი (საბაზისო, 2019 - 45%, სამიზნე, 2025 – 50%).

საანგარიშო წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ განხორციელებულ „მიკრო გრანტების" (მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა) სახელმწიფო პროგრამაში ქალ ბენეფიციართა წილმა 50%-ს მიაღწია.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- ❖ **მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში განხორციელდა ქალ მეწარმეთა პრიორიტეტიზაცია და ქალ ბენეფიციართა რიცხვმა 50%-ს მიაღწია** (ს/გ - 50%).

ქალების მხარდაჭერის კომპონენტი სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც აქტიურად არის ინტეგრირებული სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროგრამებში. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების გზით, ახალი ბიზნესების დაფინანსებას ან/და არსებულის გაფართოებას. პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც გრანტის მაქსიმალური მოცულობა

ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 30,000 ლარს, განსაზღრულია სხვადასხვა პრიორიტეტი, მათ შორის არის ქალი მეწარმეების მიერ ბიზნესის წამოწყება ან არსებულის გაფართოება, რომელიც გულისხმობს ქალ მეწარმეთა მიერ განაცხადის შემოტანისას დამატებითი ქულის მინიჭებას. აღნიშნული კი მნიშვნელოვან წამახალისებელ მექანიზმს წარმოადგენს მეწარმე ქალთა სტიმულირებისთვის.

საგულისხმოა მნიშვნელოვანი პროგრესი, რომელიც სააგენტოს მიერ ეტაპობრივად დანერგილი ეფექტიანი ინსტრუმენტების, მათ შორის, ზემოაღნიშნული წამახალისებელი მექანიზმის განხორციელების შედეგად იქნა მიღწეული და რომელმაც ასახვა ჰპოვა შესაბამის სტატისტიკურ მონაცემშიც. კერძოდ, ბოლო წლებში, სააგენტოს პროგრამებში ქალ ბენეფიციართა მონაწილეობის პოზიტიური დინამიკა დაფიქსირდა და 2021 წელს, ქალი ბენეფიციარების რიცხვმა პროგრამის მთლიან ბენეფიციარებში 50%-ს მიაღწია, მაშინ, როდესაც აღნიშნული წილი პროგრამის საწყის ეტაპზე, 2015 წელს, 32%-ს, ხოლო 2018 წელს - 45%-ს შეადგენდა.

ფინანსური დახმარების პარალელურად, მნიშვნელოვანია, ასევე, ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტი. მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო მიმართულება ითვალისწინებს აპლიკანტთა და ბენეფიციართა რეგულარულ კონსულტირებას, სავალდებულო ტრენინგებსა და საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ტრენინგსაც იმ მიმართულებით, რომელშიც ისინი გამოხატავენ დაინტერესებას.

- **საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მცირე საგრანტო პროგრამაში ქალ ბენეფიციართა წილი მთლიანი ბენეფიციარების 30%-ს აღემატება.**

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 31 ბენეფიციარიდან 10 ქალი ბენეფიციარი იყო (32%). ინოვაციების თანადაფინანსების 650,000 ლარიანი გრანტების ფარგლებში 10 გამარჯვებული სტარტაპიდან 2 იყო ქალი დამფუძნებელი; სტარტაპებისთვის თანადაფინანსების 100,000 ლარიანი გრანტის ფარგლებში 40 გამარჯვებული სტარტაპიდან 10-ში არის მინიმუმ ერთი ქალი დამფუძნებელი (კომპანიის წილების მფლობელი).

- **ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში ქალთა მონაწილეობის სტიმულირების მიზნით განხორციელდა ღონისძიებები.**

პოლონეთის მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან ერთად (PARP) განხორციელდა პროექტი „Acceleration Program for Georgian innovative startups – sector ICT". პროექტის ფარგლებში გამარჯვებულმა სტარტაპებმა გაიარეს უფასო ტრენინგები, რომლის

შემდეგ სასწავლო ვიზიტით გაემგზავრნენ პოლონეთში, სადაც გაიმართა შეხვედრები პოტენციურ ინვესტორებთან და პოლონურ კომპანიებთან.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 12-მა სტარტაპმა, მათ შორის, 5 იყო ქალი წარმომადგენელი.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში ქალთა მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, 2021 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, ნორვეგიის საელჩოს საქართველოში მხარდაჭერით მომზადდა და დამტკიცდა „გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა 2020-2022". პროექტის ფარგლებში, 2021 წლის 10 მარტს ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „ქალთა ჩართულობის გაზრდა ICT სექტორში", რომელსაც დაესწრო 50-მდე ქალი მონაწილე.

საქართველოში იტალიის საელჩოს მიერ, იტალიის ტექნოლოგიური ინოვაციების ასოციაცია COTEC-თან ერთად განხორციელდა პროექტი „STEM Study Visit to Italy". პროექტის შედეგად შეირჩა 2 სტარტაპი (მათ შორის 1 ქალი), რომლებიც გაივლიან 3-თვიან უფასო სტაჟირებას იტალიაში.

- **შეიქმნა რეგიონალური მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტრუმენტის - „ბიზნეს ჰაბის" კონცეფცია.**

სახელმწიფო პროგრამების შესახებ მეწარმე ქალთა ცნობიერების ამაღლების და მათი სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაძლიერების მიმართულებით, მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რეგიონალური მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტრუმენტი - ე.წ. „ბიზნეს ჰაბის" კონცეფციის შექმნა (Growth Hubs), რომლის მიზანია მეწარმეების კონსულტირება და ადგილობრივი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რეგიონში არსებული მდგომარეობის ანალიზის ჩატარება და ადგილობრივი კავშირების გაძლიერება. გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობის შედეგად, შეიქმნა „Growth Hub"-ის ზოგადი კონცეფცია და აღნიშნულის საფუძველზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის, მუშავდება ბიზნეს ჰაბის სამოქმედო გეგმა. ამასთან, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის დახმარებით, აჭარის რეგიონისთვის გათვალისწინებულია მსგავსი ტიპის სამოქმედო გეგმის მომზადება. ბიზნეს ჰაბების შექმნის მიზნებს შორის, მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ✓ ადგილობრივ დონეზე ბიზნეს უნარების საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ✓ საგანმანათლებლო და უნარების ასამაღლებელი აქტივობების დაგეგმვა და მიწოდება;
- ✓ ეკონომიკის ინკლუზიური ზრდა სამუშაო ძალის პროდუქტიულობის გაზრდის შედეგად;
- ✓ სექტორების პრიორიტეტიზაცია რეგიონის ჭრილში;

- ✓ ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის წახალისება;
- ✓ ადგილობრივი კავშირების გაძლიერება და კლასტერების ჩამოყალიბება.

ბიზნეს ჰაბებში განხორციელდება დაინტერესებული პირებისთვის, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- ✓ ფინანსები, ანალიტიკა და მარკეტინგი;
- ✓ ბიზნეს გეგმის სპეციფიკა;
- ✓ ინფორმაციული მხარდაჭერა (სახელმწიფოს/დონორი ორგანიზაციების მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამები);
- ✓ რელევანტური B2B კავშირების შეთავაზება;
- ✓ საჭიროებიდან გამომდინარე სერვის პროვაიდერების ბაზების გაზიარება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რეგიონებში ქალ მეწარმეთა აქტივობის ზრდა და მათი ცნობიერების ამაღლების კომპონენტი ერთ-ერთი გამოწვევაა, პროექტი ამ მიმართულებით, მნიშვნელოვან დადებით ზეგავლენას მოახდენს. 2025 წლისთვის 5 ჰაბის, ხოლო 2030 წლისთვის მინიუმ 10 ჰაბის შექმნა იგეგმება.

- ❖ **სოფლად მცხოვრებ ქალთა წახალისების მიზნით დაგეგმილია ახალი საგრანტო პროგრამის განხორციელება.**

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, დაგეგმილია სოფლად მცხოვრებ ქალთა მიზნობრივი ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის განხორციელება, რომელიც გულისხმობს ქალთა მიერ მცირე სასათბურე მეურნეობების შექმნის ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

პროგრამის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს პოტენციური ქალი ბენეფიციარის მიერ მიწის ნაკვეთის ფლობა ან თანასაკუთრება. აღნიშნული კრიტერიუმის დადგენა, მათ შორის, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ არაერთი კვლევით, ქალთა მიერ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ფლობა მნიშვნელოვან გამოწვევას და შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გრანტის გაცემა მაქსიმუმ 25,000 ლარის ოდენობით, რომლის თანამონაწილეობა ბენეფიციარის მხრიდან გრანტის მთლიანი ოდენობის 10%-ით (90% - გრანტი) იქნება განსაზღვრული. საპილოტე პროგრამის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებაა. პროგრამის განხორციელების საწყისი ეტაპი ითვალისწინებს შერჩეული ბენეფიციარებისთვის სპეციფიური ტრენინგებისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას, როგორც სასათბურე მეურნეობის მოწყობისა და მოვლის, ისე სპეციფიური კულტურების მიმართულებით.

პროგრამის საბოლოო მიზანია სოფლად მცხოვრები ქალების გრძელვადიანი საჭროებების გათვალისწინება, რესურსებზე მათი ხელმისაწვდომობის ზრდა და სოფლად მცხოვრებ ქალთა მცირე ფერმერულ მეურნეობებში ჩართვის ხელშეწყობა, რაც საბოლოო ჯამში, მათი ეკონომიკური გაძლიერების მყარ საფუძვლებს შექმნის.

პირველ ეტაპზე, საპილოტე პროექტის განხორციელება დაგეგმილია მარნეულის მუნიციპალიტეტში.

ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.4.1: ქალ-მეწარმეთა რაოდენობა ტრენინგებში (საბაზისო 2019 - არა, სამიზნე, 2025 – 600 ქალი მეწარმე).

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, საანგარიშო წელს ელექტრონული კომერციის საკითხებზე დატრენინგდა 410 ბენეფიციარი ქალი.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ელექტრონული კომერციის საკითხებზე ჩატარებულ ტრენინგებზე გადამზადდა 410 ქალი მეწარმე** (ს/გ - 400 ქალი მეწარმე).

საანგარიშო წელს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ელექტრონული კომერციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის მასშტაბური, უფასო ტრენინგების (როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ ფორმატში) ციკლი განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულმა მეწარმეებმა. ტრენინგების საშუალებით მეწარმეებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ელექტრონული კომერციის საკითხებზე, შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ რა არის ელექტრონული კომერცია და მისი უპირატესობები;
- ✓ ციფრული მარკეტინგი - ციფრული მედია და კომუნიკაცია;
- ✓ სოციალური ქსელები და მათი მნიშვნელობა გაყიდვებში და სხვა.

ტრენინგებზე, ჯამში, 640 ბენეფიციარი დატრენინგდა, საიდანაც 64%-ს ქალი მეწარმეები შეადგენდნენ (ქალი - 410 და კაცი - 230).

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.4.2: ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში (საბაზისო 2019 - არა, სამიზნე, 2025 – 70%).

ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი: ტრენინგის მონაწილეთა 80% თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება მათ ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.5.1: ტრენინგების რაოდენობა (საბაზისო - არა, საბოლოო 2025 – 10 ტრენინგი).

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა 2 ტრენინგი. გადამზადდა 20-მდე თანამშრომელი.

გენდერული მიდგომების მიმართულებით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" თანამშრომელთა კომპეტენციების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 3 ტრენინგი, გადამზადდა 72 თანამშრომელი.

გენდერის მიმართულებით ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ჩატარდა 3 ტრენინგი, გადამზადდა 48 თანამშრომელი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.5.2: ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი. რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით. (საბაზისო 2019 - არა, სამიზნე, 2025 – 70%).

ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი: ტრენინგის მონაწილეთა 90% თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომლებისთვის ჩატარდა 2 ტრენინგი „გენდერული გავლენის შეფასებაში - GIA"** (ს/გ - წლიურად 2 ტრენინგი).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა 2 ტრენინგი (1 ფიზიკურ, 1 ონლაინ ფორმატით) თემაზე „გენდერული გავლენის შეფასება" (GIA).

ტრენინგები მიზნად ისახავდა სამინისტროს სექტორული პოლიტიკის განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და დაქვემდებარებული უწყებების წარმომადგენელთა უნარ-ჩვევების გაძლიერებას სახელმწიფო პოლიტიკის

წარმოებაში გენდერული ასპექტების ინტეგრირების მიზნით. ტრენინგებზე განხილული თემები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ✓ რას გულისხმობს „გენდერული გავლენის შეფასება" - ცნება და მისი მნიშვნელობა;
- ✓ რას ითვალისწინებს „გენდერული გავლენის შეფასების" ინსტრუმენტის როლი უკეთესი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში;
- ✓ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესში როგორ უკავშირდება „გენდერული გავლენის შეფასება" გენდერზე დაფუძნებულ სხვა ინსტრუმენტებს, კერძოდ, „რეგულირების გავლენის შეფასების" (RIA) და „გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის" (GRB) ინსტრუმენტებს.

ტრენინგებზე, ჯამში, უწყების 20-მდე თანამშრომელი გადამზადდა, რომლებიც ჩართულნი არიან სექტორული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

- ❖ **სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა 3 ტრენინგი** (ს/გ - 20 გადამზადებული თანამშრომელი წლიურად).

სააგენტო „აწარმოე საქართველოში" ხელს უწყობს გენდერული მიდგომების ინტეგრირებას როგორც ადმინისტრაციულ დონეზე, შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში, ასევე, სახელმწიფო პროგრამებისა და მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტრუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

სააგენტოს მიერ დამტკიცებულია გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის სტრატეგიულ მიზანს სააგენტოს საქმიანობაში სწორედ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა წარმოადგენს. სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია „სააგენტოს თანამშრომლების და ბენეფიციარების ცნობიერების გაზრდისა და უნარების განვითარების/გაძლიერების მხარდაჭერა ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე", ხოლო ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს „სააგენტოს ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლება გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებებისა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და სხვა საკითხების შესახებ."

ამ მიმართულებით სააგენტოს წარმომადგენლების კომპეტენციების ამაღლების მიზნით, საანგარიშო წელს, სააგენტოში 3 ტრენინგი ჩატარდა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გასვლითი ღონისძიების ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „დისკრიმინაციის ფორმები სამუშაო ადგილზე და თანასწორობის მიღწევის გზები და ბარიერები". ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა უწყების წარმომადგენელთა უნარ-ჩვევების

განვითარება გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებებისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებში. კურსი მოიცავდა როგორც თეორიული ინფორმაციის გაზიარებას, ისე პრაქტიკულ სავარჯიშოებს შემდეგ თემებზე:

- ✓ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში;
- ✓ განსხვავებული სოციალიზაცია და შრომის გენდერული დაყოფა;
- ✓ გენდერული თანასწორობის განსხვავებული მიდგომები და პოლიტიკები;
- ✓ გენდერული მეინსტრიმინგი ორგანიზაციულ სტრუქტურაში და მის საქმიანობაში;
- ✓ ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობა;
- ✓ გენდერული სტერეოტიპების როლი კარიერის არჩევისას;
- ✓ დისკრიმინაციის ფორმები სამსახურში;
- ✓ სექსუალური შევიწროება და მისი პრევენციის/აღმოფხვრის მექანიზმები;
- ✓ გენდერული ბალანსის და ანტიდისკრიმინაციული გარემოს შექმნის მექანიზმები.

ტრენინგი წარმატებით გაიარა სააგენტოს 23-მა თანამშრომელმა.

სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით, სააგენტოს თანამშრომლებისთვის, ასევე, ჩატარდა 2 ონლაინ ტრენინგი - გენდერული თანასწორობის შესახებ და „სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე". ელექტრონული კურსები. კურსი სააგენტოს 49 თანამშრომელმა გაიარა.

ჯამში, სამივე ტრენინგზე, სააგენტოს 72 თანამშრომელი გადამზადდა გენდერის მიმართულებით.

- ❖ **საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგები** (ს/გ - 3 დატრენინგებული თანამშრომელი წლიურად).

პოლიტიკის წარმოებაში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით, გენდერზე დაფუძნებული მიდგომების შესახებ ინსტიტუციურ დონეზე ცნობიერების ამაღლება და თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს.

სააგენტოს მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა თანამშრომლების გადამზადება საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებზე, შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ გენდერული აუდიტის სემინარი;
- ✓ სამუშაო შეხვედრა/სემინარი „სექსუალური შევიწროების ცნება და გასაჩივრების მექანიზმები";
- ✓ ტრენინგი „სექსუალური შევიწროება და მსხვერპლზე ფოკუსირებული გამოძიების მექანიზმები".

- **გენდერის მიმართულებით სოფლის განვითარების სააგენტოს თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა 3 ტრენინგი გენდერის მიმართულებით.**

ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომლები დატრენინგდნენ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ შემდეგი თემატიკის მიხედვით:

- ✓ გენდერი და გენდერული ურთიერთობები (TOT) (18 თანამშრომელი);
- ✓ გენდერი და გენდერული ურთიერთობები (21 თანამშრომელი);
- ✓ გენდერული მეინსტრიმინგი (9 თანამშრომელი).

სამივე ტრენინგზე, ჯამში, გადამზადდა 48 თანამშრომელი.

პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის **მიზანს** მცირე და საშუალო საწარმოთა მწვანე ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა **წარმოადგენს**. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის **გავლენის მაჩვენებელია** - OECD "SME Policy Index" კვლევაში „მწვანე ეკონომიკაში მცირე და საშუალო მეწარმეები" ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება.

საგულისხმოა, რომ OECD-ის კვლევაში **„**SME Policy Index 2020", „მწვანე ეკონომიკა" 3.05 ქულით 12-დან იმ 3 კომპონენტშია, სადაც, რეიტინგის მიხედვით, არსებობს გამოწვევები და შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პოტენციალი, რაც ქვეყნის მხრიდან ფოკუსირებულ მიდგომას და მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელებას საჭიროებს.

თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე, მწვანე ეკონომიკის განვითარება სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის მიმართულებად ყალიბდება. მწვანე ეკონომიკა გულისხმობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას გარემოსდაცვითი სტანდარტების მაქსიმალური დაცვით და ითვალისწინებს ეკოლოგიურად სუფთა რესურსების ჩანაცვლების გზით არსებული რესურსების ეფექტიან და რაციონალურ გამოყენებას.

მწვანე ზრდა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომელიც ფართოდ არის ინტეგრირებული გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნებში და მოიცავს ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივ დაცვას, მდგრად მოხმარება/წარმოებას და მწვანე ზრდას. შესაბამისად, მწვანე ეკონომიკის განვითარება ქვეყნის ეროვნული დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია.

აღსანიშნავია, ასევე, რომ მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომლის თანახმად „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში". [43]

საკითხის აქტუალობას და გლობალურ მნიშვნელობას ადასტურებს, ასევე, სტრატეგიაში „მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის" ცალკე პრიორიტეტულ

[43] ასოცირების ხელშეკრულება, კარი VI, მუხლი 301, იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

მიმართულებად გამოყოფა, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ამოცანებისა და მთელი რიგი მიზნობრივი, შედეგზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება - მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 3 ამოცანას და 5 აქტივობას.

ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.1.1: მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (საბაზისო, 2019 - არა, სამიზნე, 2025 - კი).

მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული პროგრესისა როგორც საკანონმდებლო, ისე აღსრულების მიმართულებით, კვლავ გამოწვევად რჩება თანამედროვე გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვა მეწარმეობაში და საქართველოს, ამ მხრივ, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რეფორმები აქვს გასატარებელი. თუმცა, მიუხედავად გამოწვევებისა, საქართველოს ეკონომიკას მწვანე ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია მრავალი მიმართულებით. აღნიშნულს ადასტურებს OECD-ის კვლევა „SME Policy Index 2020", რომლის ფარგლებშიც „მწვანე ეკონომიკა" იმ კომპონენტებს შორის არის, სადაც ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა და შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი შესაძლებლობებია.

მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი კონტიბუციის შეტანა შეუძლიათ მწვანე ეკონომიკის განვითარებაში. თუმცა, ამ პროცესს თან ახლავს გამოწვევებიც, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან დამატებით ფოკუსირებას და მხარდამჭერ პოლიტიკას.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში მწვანე ზრდის, როგორც ზრდის ახალი წყაროს, ხელშეწყობა თანდათან იმატებს. საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, სამეწარმეო საქმიანობაში ეტაპობრივად დაიწყო გარემოსადმი მეგობრული ქმედებების დანერგვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკაში მწვანე ზრდის მიმართულებების გაძლიერებას და გარემოსდაცვითი სტანდარტების განვითარებას. ამ ეტაპზე, ფართოდ არის დანერგილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მექანიზმი, რომელიც გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურაა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. ასევე, 2019 წლის დეკემბრიდან ძალაშია შესული და მოქმედებს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ)", რომელიც კონკრეტული პროდუქციის მწარმოებლებსა და იმპორტიორებს აკისრებს პასუხისმგებლობას მათი საქმიანობიდან წარმოქმნილი სპეციფიკური ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებაზე. აღნიშნული

ნაბიჯები და შემდგომი პროგრესული რეფორმები ეტაპობრივად უზრუნველყოფს მწვანე ზრდის ხელშეწყობას და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ამ მიმართულებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია „მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის" შემუშავება. აღნიშნული სტრატეგიის შემუშავების წინაპირობას კი მწვანე ზრდის კონცეფციის შემუშავება წარმოადგენს. შესაბამისად, 2021 წელს მომზადდა მწვანე ზრდის კონცეფციის პროექტი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სტრატეგიის დოკუმენტი.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობა:

- **შემუშავდა მწვანე ზრდის კონცეფციის პროექტი.**

2021 წელს, მომზადებული იქნა მწვანე ზრდის კონცეფციის პროექტი, რომლის განხილვაც დაგეგმილია შესაბამის უწყებებთან ერთად. კონცეფციის მიღების შემდგომ, საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, იგეგმება მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ბოლო წლების განმავლობაში, ევროკავშირის, გაეროსა და მათ მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, მწვანე განვითარების მიმართულებით არაერთი პროექტი განხორციელდა მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგებით. პროექტების შედეგად, საწარმოებმა მიიღეს პირდაპირი ეკონომიკური, ხოლო გარემომ - ეკოლოგიური ეფექტი.

2019 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment („ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის") პროგრამა. იგი ითვალისწინებს იმგვარი მართვის და ეკონომიკური განვითარების მექანიზმების დანერგვაში მხარდაჭერას, რომელიც შეამცირებს გარემოზე ზეგავლენის რისკებს და ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და მოსახლეობის ეკოლოგიური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის ფარგლებში, ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის, ჩატარდა სემინარები, ტრენინგები, ვორქშოპები და კონფერენციები შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ რესურსეფექტურობა და სუფთა წარმოება (RECP);
- ✓ მწვანე ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობები;
- ✓ ეკოინოვაცია;
- ✓ ეკოლოგიური ღირებულებათა ჯაჭვი და პროდუქციის ინოვაცია;
- ✓ გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემები და მწვანე ფინანსების პერსპექტივები საქართველოში.

ამოცანა 7.2. ეკო-ინოვაციის[44] მიდგომის პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.2.1: კომპანიათა რაოდენობა, რომელთანაც შედგა საინფორმაციო შეხვედრები (საბაზისო, 2019 - N/A, სამიზნე, 2025 – 100 შეხვედრა).

2021 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" ჩართულობით ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, საინფორმაციო სესიები ჩატარდა 100-მდე კომპანიასთან. ამასთან, დაწყებულია მუშაობა 8 კომპანიასთან, რომლებთანაც მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს კომპანიების შემოწმება ეკო-ინოვაციების დანერგვისთვის მზაობის კუთხით. განხორციელდა ვიზიტები ადგილზე, შეფასდა არსებული მდგომარეობა და შესაძლებლობები, შესაბამისმა ექსპერტმა მოამზადა რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებული იქნება საბოლოო დოკუმენტში. პროცესის დასრულება დაგეგმილია 2022 წლის მაისამდე.

საბოლოო სტრატეგიასა და სამოქმედო დოკუმენტს კომპანიები გამოიყენებენ ეკო-ინოვაციური მიდგომების დასანერგად. კომპანიები წარმოადგენენ სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორებს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.2.2: მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, რომელშიც დანერგილია ეკო-ინოვაციური მიდგომა (საბაზისო, 2019 - 0, სამიზნე, 2025 – 8).

3 კომპანიის ეკო-ინოვაციების დოკუმენტის სრული ანალიზი უკვე დასრულებულია, ხოლო დანარჩენი 5 კომპანიისთვის ეკო-ინოვაციების მიმართულებით ანალიზის დოკუმენტი მზადება გრძელდება და დასრულდება 2022 წლის გაზაფხულზე.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობა:

- **ჩატარდა კვლევა ეკო-ინოვაციების მიმართულებით.**

მცირე და საშუალო საწარმოებში ეკოინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციის მიმართულებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ევროკავშირის მხარდაჭერა და მის მიერ დაფინანსებული პროგრამა EU4Environment, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) ქვეყნის ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებასა და საზოგადოების ეკოლოგიური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში გარემოსთან

[44] **ეკო-ინოვაცია** - ბიზნეს მოდელი, რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიან ოპერირებაზე გათვლილ მიდგომებს კომპანიის საქმიანობისა და ღირებულებათა ჯაჭვის ყველა ეტაპზე. ახალი ბიზნეს მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მდგრადობას პროდუქტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, ასევე, ზრდის კომპანიის მაჩვენებლებს და კონკურენტუნარიანობას. მას შეუძლია დაეხმაროს მცირე და საშუალო საწარმოებს ახალ და გაფართოებულ ბაზრებზე წვდომაში, მწარმოებლურობის ზრდაში, ახალი ინვესტიციების მოზიდვაში და ღირებულებათა ჯაჭვის მასშტაბით მომგებიანობის გაზრდაში.

დაკავშირებული საქმიანობის მხარდაჭერით, „მწვანე ზრდის" შესაძლებლობების დემონსტრირებითა და შეთავაზებით, ამასთან, ისეთი მექანიზმების დანერგვით, რომლებიც ეკოლოგიური რისკებისა და გავლენების უკეთ მართვის საშუალებას იძლევა. EU4Environment პროგრამის ფარგლებში, CIDA-ს და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამასთან (UNEP) პარტნიორობით, პროგრამის ფარგლებში „ეკოინოვაციური მიდგომების პოპულარიზაცია საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში", განხორციელდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციას, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით საწარმოების უარყოფითი გავლენის შემცირებასა და რისკებისადმი მედეგობის ზრდასთან.

კვლევის შედეგად ჩატარდა ეკო-ინოვაციების გარემოს ბაზრის შეფასება და პოლიტიკის ინსტრუმენტების ანალიზი, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული პრიორიტეტული სექტორების დასადგენად. დოკუმენტი მოიცავს როგორც ბაზრის პოტენციალის, ისე არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზს ეკო-ინოვაციების მიმართულებით. კვლევის შედეგად გამოვლინდა სექტორები, რომლებსაც ყველაზე მეტი პოტენციალი აქვთ ეკო-ინოვაციური მიდგომების დანერგვის მიმართულებით.

ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით, UNEP, ევროკავშირი და CIDA კიდევ უფრო მეტად ჩართავს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს და დაეხმარება მათ შეიმუშაონ ახალი ბიზნეს სტრატეგიები ან მოდელები, რომლებიც შეესაბამება ეკო-ინოვაციების მიდგომას. ანგარიშის პრეზენტაცია 2021 წლის მაისში, ვირტუალურ ფორმატში გაიმართა. ანგარიშის ონლაინ ვერსია გაეგზავნა სახელმწიფო უწყებებს.

ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.3.1: „მწვანე" ფინანსური პროდუქტების არსებობა.

მდგრადი განვითარების პროცესში მდგრადი დაფინანსების მიმართულების გაძლიერებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. მდგრადი დაფინანსება გულისხმობს ფინანსური რესურსების მობილიზების ხელშეწყობას მწვანე, სტაბილური და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკების პოლიტიკაში გარემოსდაცვითი, სოციალური და მდგრადი განვითარების საკითხების

გათვალისწინება, რომელიც პირდაპირ კავშირშია „მწვანე" ფინანსური პროდუქტების შექმნასთან.

2020 წელს, მწვანე სესხების მოცულობამ 405 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება 2020 წლის ბოლოსთვის არსებული მწვანე სესხების მთლიან მოცულობას, ის 1.4 მლრდ ლარს შეადგენდა.

2020 წლის ბოლოსთვის, მწვანე სესხების წილი მთლიან პორტფელში საშუალოდ 6% იყო, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი დაახლოებით 17%-ს შეადგენდა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.3.2. მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის არსებობა.

ეროვნული ბანკის მიერ მიმდინარეობს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარება, რომელიც ფინანსური სექტორისა და კაპიტალის ბაზრის მონაწილეების მიერ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების გათვალისწინებას და მათთან დაკავშირებული რისკების მართვას გულისხმობს. მიმდინარე რეჟიმშია მდგრადი განვითარების ტაქსონომიის დოკუმენტის შემუშავების პროცესი. შექმნილია მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი. გზამკვლევი აერთიანებს ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში. 2021 წელს კომერციულმა ბანკებმა ESG ფორმები პირველად შეავსეს, რომლებიც ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი.

ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.4.1: საკანონმდებლო ჩარჩო დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას

შემუშავებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები.

ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.1: საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა საქართველოს ეკოტურიზმის[45] განვითარების სტრატეგია

[45] **ეკოტურიზმი - „მწვანე ტურიზმის" სახეობა**, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი რეგიონების, გარემოსა და თემების შენარჩუნებას. ეს ნიშნავს პასუხისმგებლიან მოგზაურობას ბუნებაში, გარემოს

2020-2030 და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობა:

- **შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია 2020-2030 და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ეროვნული სატყეო სააგენტოს ერთობლივი თანამშრომლობით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით და საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის აქტიური ჩართულობით შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030"[46], რომელიც მოიცავს, 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმას და შესაბამის ლოგიკურ ჩარჩოს.

სტრატეგიის ხედვის თანახმად, „ეკოტურიზმი საქართველოში უზრუნველყოფს ტურისტებისთვის ავთენტური გამოცდილების გაზიარებას, სარგებელი მოაქვს ადგილობრივი თემებისთვის და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას. ამავე დროს, იგი უზრუნველყოფს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში".

სტრატეგიის მიზანია არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხის, ოთხი სეზონის ეკოტურისტული პროდუქტის განვითარება და სწორი პოზიციონირება საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, რაც გულისხმობს პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას და პროდუქტის არეალის გაფართოებას, ადგილობრივი თემების და კერძო სექტორის ხელშეწყობას, ეკოტურისტული პროდუქტის შეთავაზების ფორმირებას პოპულარიზაციაში და თანმიმდევრული, სწორი ნაბიჯების განსაზღვრას ეკოტურისტული რესურსის მაქსიმალური დაცვითა და შენარჩუნებით.

სტრატეგია, 2030 წლისთვის მისაღწევი ხუთი ძირითადი მიზნის ფარგლებში მოიცავს ინდიკატორებს (2025 და 2030 წლებისთვის, საბაზისო წელი - 2019), სტრატეგიულ

დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეკოტურიზმი წარმოადგენს დაბალი ზემოქმედების მქონე და ხშირად, სტანდარტული, მასობრივი ტურიზმის ალტერნატივას. ეს არის მდგრადი ტურიზმის ფორმა, რომელსაც გაცილებით გრძელვადიანი მიზნები აქვს, ვიდრე უბრალოდ დანიშნულების ადგილზე მოგზაურობა

[46] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030, იხ. ბმული: https://gnta.ge/ge/publication/

ამოცანებსა და 2021-2023 წლებში განსახორციელებელ პრიორიტეტულ ქმედებებს, რომელთა მიმართაც განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებები.

ეკოტურიზმის სტრატეგია ხელს შეუწყობს ტურისტულ ბაზარზე ახალი პროდუქტების ფორმირებას, შიდა ტურისტული ნაკადის გააქტიურებას, რაც, ამავდროულად, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის, სოციალურ-ეკონომიკური და გარემოს გრძელვადიანი დაცვის გაძლიერების, საბოლოო ჯამში კი, ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშემწყობ მექანიზმს წარმოადგენს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.2: ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კეთილმოწყობილი ბილიკები (საბაზისო, 68 მარკირებული საფეხმავლო (ინტეგრირებული სამანქანოსთან) და საგანმანათლებლო ბილიკი (ჯამური სიგრძე 1,550 კმ)).

5 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 10 ბილიკი. ასევე, მიმდინარეობს ბილიკების მოწყობის სამუშაოები რამდენიმე დაცულ ტერიტორიაზე.

ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობა:

- **ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით 5 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 128 კმ ჯამური სიგრძის 10 ბილიკი** (ს/გ - წლიურად 2 ახალი ბილიკი).

ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა, რომლის ფარგლებშიც საგანმანათლებლო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა მნიშვნელოვან პრიორიტეტულ ქმედებად არის განსაზღვრული. ამ მხრივ, საანგარიშო წელს პოზიტიური დინამიკა აღინიშნა. კერძოდ, ალგეთის ეროვნულ პარკში მოეწყო 101,2 კმ. სიგრძის საფეხმავლო ბილიკების ქსელი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, კერძოდ, აბასთუმანში მოეწყო ორი ბილიკი (ჯამში - 17 კმ), ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე - 8 კმ სიგრძის ბილიკი, ასევე, წალკის კანიონში მოეწყო 1.8 კმ სიგრძის ბილიკი, ხოლო თეთრა მღვიმეში - 110 მ სიგრძის ბილიკი.

დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის მოეწყო ეკოტურები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, ჩატარდა ეკოსაგანმანათლებლო ლექცია-სემინარები, კვირეულები, დასუფთავებისა და გამწვანების აქციები და შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, რომლებშიც საანგარიშო პერიოდში სულ ჩართული იყო 14,115 ადამიანი.

მოსახლეობის ჩართულობისა და დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით, ფუნქციონირებს დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციები, რომლებიც

წარმოდგენილნი არიან ადგილობრივი მოსახლეობის, სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებითა და სხვა დაინტერესებული მხარეებით.

საანგარიშო პერიოდში დაცული ტერიტორიების სააგენტოს Facebook-ის გვერდის მომწონებელთა რაოდენობა 137,000-ს აღემატება.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.3: დაცული ტერიტორიების გაზრდილი ფართობი (საბაზისო, 2019 - 666 107ჰა, სამიზნე, 2025 – 185 000 ჰა-ით ზრდა).

დაცული ტერიტორიების ჯამური ფართობი 2019 წელთან შედარებით, 2021 წელს 132,181 ჰექტრით გაიზარდა. შეიქმნა 7 დაცული ტერიტორია: ცივ-გომბორის აღკვეთილი, ერუშეთის ეროვნული პარკი, ფარავნის ტბის აღკვეთილი, საღამოს ტბის აღკვეთილი, აბულის ტბის აღკვეთილი, თრუსოს ხეობის დაცული ლანდშაფტი და არაგვის დაცული ლანდშაფტი.

ეკოტურიზმის განვითარებისთვის დაცული ტერიტორიების გაზრდა და პოპულარიზაცია ქვეყანაში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რომელსაც საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია ერთ-ერთ პრიორიტეტულ ქმედებად განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ 2021 წელი ამ მიმართულებითაც პროგრესით აღინიშნა და შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები, გაიზარდა დაცული ტერიტორიების ჯამური ფართობი.

7 დაცული ტერიტორიიდან - ერთი, ცივ-გომბორის აღკვეთილი (4,936 ჰა) შეიქმნა 2021 წელს, ხოლო კანონი ძალაში შევა 2022 წლის 1 იანვრიდან.

6 დაცული ტერიტორიის - ფარავნის ტბის აღკვეთილი (4,031 ჰა), საღამოს ტბის აღკვეთილი (629 ჰა), აბულის ტბის აღკვეთილი (211 ჰა), ერუშეთის ეროვნული პარკი (11,385 ჰა), თრუსოს ხეობის დაცული ლანშაფტი (7,007 ჰა) და არაგვის დაცული ლანდშაფტის (99,802 ჰა) შექმნასთან დაკავშირებით კანონები ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვრიდან.

ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.6.1: ტრენინგების იმ კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი, ვისაც მიაჩნია, რომ შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში (საბაზისო 2019 - 60%, სამიზნე, 2025 - 80%).

საანგარიშო წელს, სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული „გარემოსდაცვითი მმართველის" ტრენინგების

კურსდამთავრებულთა 80% სხვადასხვა კომპანიაში „გარემოსდაცვითი მმართველის" პოზიციაზე დასაქმდა.

<u>ამოცანის ფარგლებში შესრულდა შემდეგი აქტივობები:</u>

- **ჩატარდა „გარემოსდაცვითი მმართველის" 4 სასწავლო კურსი, რომლის შედეგად კურსების გავლის მსურველთა 100% დაკმაყოფილებულია** (ს/გ - 90%).

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი" ახორციელებს სასწავლო კურსს „გარემოსდაცვითი მმართველი",[47] რომლის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და თანამედროვე სამყაროს სტანდარტების გათვალისწინებით კომპანიებისთვის შესაბამისი კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კურსი ზედმიწევნით პასუხობს კანონმდებლობის მოთხოვნებს, კომპანიის საჭიროებებს და ეხმარება საწარმოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში.

საანგარიშო წელს „გარემოსდაცვითი მმართველის" 4 სასწავლო კურსი ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 57 მონაწილე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კურსის გავლის მსურველთა 100% დაკმაყოფილებულია.

სასწავლო კურსი 2015 წლიდან ფუნქციონირებს და დღემდე გადამზადებულია 499 გარემოსდაცვითი მმართველი. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეები იძენენ ცოდნას შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და განახლება;
- ✓ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების ორგანიზება;
- ✓ ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე თვითმონიტორინგისა და შიდა კონტროლის განხორციელება;
- ✓ ეკომარკირების მექანიზმები საქართველოში.

- **გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით გაიმართა 16 საინფორმაციო შეხვედრა** (ს/გ - 5 საინფორმაციო შეხვედრა).

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი" გარემოსდაცვით საკითხებთან, მათ შორის, ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით, ორგანიზებას უწევს საჯარო განხილვებსა და საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების და დაინტერესებული

[47] სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი", იხ. ბმული: http://www.eiec.gov.ge/News/Press-Releases/

მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა. შეხვედრების ფარგლებში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების საჯარო განხილვა და ფართო დისკუსია გარემოსდაცვით აქტუალურ თემებზე, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა აიმაღლონ ცოდნა, დასვან კითხვები მათთვის საინტერესო მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ და მიიღონ კომპეტენტური პასუხები დარგის სპეციალისტებისგან.

საანგარიშო წელს, ცენტრმა, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით 16 საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება უზრუნველყო.

- **შემუშავდა სახელმძღვანელო ეკომარკირების შესახებ და გაიმართა ტრენინგი „ეკომარკირების მექანიზმები საქართველოში".**

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, „EU4Environment"-ის პროექტის „საქართველოს მხარდაჭერა მდგრადი საჯარო შესყიდვებისა და დამატებითი ინსტრუმენტების განვითარებაში" ფარგლებში, ეროვნული ექსპერტის ჩართულობით, შეიმუშავა სახელმძღვანელო ქვეყანაში არსებული ეკომარკირების შესახებ, რომელიც განკუთვნილია როგორც კერძო სექტორის, ასევე, საჯარო სექტორის წარმომადგენლებისთვის. საქართველოში ეკომარკირების შესახებ გაიდლაინის შინაარსი მოიცავს თემებს ეკომარკირების ზოგადი განმარტებისა და მისი ტიპების შესახებ, მის კავშირს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs), ბიოწარმოების ქართულ სერტიფიცირებას, ხარისხის ნიშნებს და ა.შ. დოკუმენტი სახელწოდებით „ეკომარკირება საქართველოში" შემუშავებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გაიმართა ტრენინგი „ეკომარკირების მექანიზმები საქართველოში", რომელიც მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას ეკომარკირების კონცეფციის შესახებ საქართველოში საჯარო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის, ასევე, ეკომარკირების სისტემების გამოყენების სარგებლის შესახებ საზოგადოებისა და ბიზნესის ინფორმირებას. ტრენინგში მონაწილეობდა 53 პირი.

- **მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა ტრენინგი.**

საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, გაიმართა ტრენინგი „შესყიდვის პრიორიტეტული ობიექტებისათვის მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმის გამოყენება". ტრენინგში სულ მონაწილეობდა 50 პირი.

- **„საქართველოში მონრეალის ოქმის განხორციელების სამოქმედო პროგრამის" ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები.**

გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „საქართველოში მონრეალის ოქმის განხორციელების სამოქმედო პროგრამა", ჩატარდა ტრენინგები:

- ✓ სამაცივრო ტექნიკისა და ჰაერის კონდიცირების სექტორის სერტიფიცირებული ტექნიკოსებისთვის (მონაწილეობდა 15 პირი);
- ✓ მებაჟე ოფიცრებისთვის - თემაზე „ოზონდამშლელი ნივთიერებები და მათი ამოცნობა" (მონაწილეობდა 19 პირი);
- ✓ შესყიდვების სპეციალისტებისთვის - თემაზე „მწვანე შესყიდვების საკითხები სამაცივრე და ჰაერის კონდიცირების სექტორში" (მონაწილეობდა 22 პირი საჯარო სექტორიდან).

❖ **ჩატარდა მწვანე ეკონომიკის ელექტრონული სასწავლო კურსი.**

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, ევროკავშირის პროექტის „EU4 Environment" ფარგლებში, შეიმუშავა საგანმანათლებლო პლატფორმის - unccelearn.org მწვანე ეკონომიკის სასერტიფიკატო კურსი.[48]

საერთაშორისო პლატფორმაზე განთავსებულია მწვანე ეკონომიკის 5 ქართულენოვანი მოდული, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის - სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის, კერძო სექტორისთვის, ასევე, გარემოსდაცვითი მმართველების, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგების, მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის. ელექტრონული კურსი მოიცავს ინტერაქტიულ გაკვეთილებს, ქვიზებს, კითხვარებს. კურსში მოცემული ყველა ეტაპის წარმატებით დახურვის შემთხვევაში, პირი მიიღებს სერტიფიკატს.

ევროკავშირის მწვანე კვირეულის ფარგლებში, სასერტიფიკატო კურსზე მსურველთა რეგისტრაცია პირველად გამოცხადდა 2021 წლის 27 მაისს. მსოფლიოს წამყვანი საგანმანათლებლო პლატფორმის მწვანე ეკონომიკის სასერტიფიკატო კურსი არის უფასო.

❖ **პროგრამის „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში" ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები მასწავლებლებისთვის და გადამზადდა 1,800 მასწავლებელი.**

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი", გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, ახორციელებს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების ტრენინგს - „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება

[48] სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი", იხ. ბმული: http://eiec.gov.ge/News/Press-Releases

სკოლაში”. [49] ტრენინგის მიზანია პედაგოგების მიერ სწორად იქნეს აღქმული და გადაცემული სახელმძღვანელოებში ასახული გარემოსდაცვითი და აგრარული საკითხები. ცენტრის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოების მეშვეობით, მასწავლებლებმა, მოსწავლეებში შესაბამისი ცოდნის გაზიარების გზით, ხელი უნდა შეუწყონ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და აგრარული საკითხების სწავლებას დაწყებით საფეხურებზე. ამ ეტაპის გავლის შემდგომ, მოსწავლეები შეძლებენ გარემოსდაცვით საკითხებში საკუთარი როლის, შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებას. მათ ეცოდინებათ - რა არის მდგრადი განვითარება და როგორ შეუწყონ ხელი მდგრადი განვითარების პროცესს, როგორ მოიხმარონ გონივრულად ბუნებრივი რესურსები, როგორ დაიცვან ბიომრავალფეროვნება და რა შეუძლიათ გააკეთონ წყლის რესურსების მდგრადი მოხმარებისთვის, გაეცნობიან კლიმატის ცვლილების საკითხებს და რაც მნიშვნელოვანია, ეცოდინებათ როგორ მოიქცნენ ბუნებრივი საფრთხების დროს, როგორ შეამცირონ ნარჩენები სწორი ქცევით, გაიაზრებენ რატომ არის მნიშვნელოვანი მიწის რესურსების დაცვა, რა კავშირშია მიწის რესურსები სოფლის მეურნეობასთან და რას ნიშნავს სურსათის უსაფრთხოება.

პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია 50,000 პედაგოგის შესაძლებლობების გაძლიერება.

- **საზოგადოების ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიქმნა პუბლიკაციები.**

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის” მიერ სხვადასხვა თემატიკის პუბლიკაციები გამოიცა, რომელთა ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ცენტრის ვებ-გვერდზე, [50] ხოლო ბეჭდური ვერსიის გავრცელება ხორციელდება სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრაზე. პუბლიკაციები ეხება შემდეგ საკითხებს:

- ✓ ატმოსფერული ჰაერის ხარისხი;
- ✓ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება;
- ✓ ხშირად დასმული კითხვები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის შესახებ;
- ✓ როგორ მოვიქცეთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების დროს;

[49] სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“, იხ. ბმული: გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი - მთავარი (eiec.gov.ge)

[50] სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“, იხ. ბმული: http://www.eiec.gov.ge/News/Publications.aspx

- ✓ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის);
- ✓ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება (გზამკვლევი სკოლებისთვის);
- ✓ შესავალი კატასტროფების რისკის შემცირებასთან დაკავშირებით;
- ✓ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა;
- ✓ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა.

გარემოს დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და განათლების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრის ორგანიზებით მიზნობრივი ჯგუფებისთვის ეწყობა კონფერენციები, სემინარები და ტრენინგები სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხზე. საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხელი ეწყობა ეკო-ტურების, ეკო-ბანაკების, გამოფენა-კონკურსების, გამწვანებისა და დასუფთავების აქციების ორგანიზებას. სასწავლო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ფორმდება მემორანდუმები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ადგილობრივ უნივერსიტეტებს შორის. მზადდება და ვრცელდება ყოველწლიური საინფორმაციო კალენდარი, სოციალური რეკლამები, „მწვანე თარიღების" ელექტრონული კალენდარი და სხვ. მოეწყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხზე.

- ❖ **გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის შესახებ მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი.**

გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენციის, შერბილებისა და აღმოფხვრის მიზნით, საქართველოში გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ევროპული სისტემა ინერგება. „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონი 2021 წელს დამტკიცდა და ეფუძნება „დამბინძურებელი იხდის" პრინციპს. აღნიშნული გულისხმობს, რომ თუ საწარმო თავისი საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად დააზიანებს გარემოს, ის თავად იქნება ვალდებული, აღმოფხვრას გარემოსთვის მიყენებული ზიანი და გაიღოს ამისთვის საჭირო ფინანსური რესურსი. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემასთან მიმართებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ცენტრმა შექმნა ვიდეორგოლი, რომლის მიზანია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ვიდეორგოლი განთავსებულია ცენტრის Facebook გვერდზე და Youtube არხზე.

რისკები და გამოწვევები

სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულების და აქტივობების განხორციელების მიმართულებით **ძირითადად გამოკვეთილ ან/და პოტენციურ რისკებს შორის,** რომელიც მეტწილად საერთოა იდენტიფიცირებული გამოწვევებისთვის, უნდა აღინიშნოს მსოფლიოში და შესაბამისად, საქართველოში მიმდინარე კოვიდ პანდემია.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული, თავის მხრივ, პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენს *(ან შესაძლოა პოტენციურად წარმოადგენდეს ასეთს),* სტრატეგიით გათვალისწინებული რიგი ამოცანების ფარგლებში დასახული აქტივობების შესრულებაზე და შესაბამისად ასახვას ჰპოვებს აღნიშნული ამოცანების ფარგლებში განსაზღვრული გარკვეული აქტივობების სრულად განხორციელებაზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის **2021 წლის სამოქმედო გეგმით** განსაზღვრული აქტივობების ფარგლებში **ვერ განხორციელდა ორი აქტივობა.**

აღნიშნული აქტივობებია:

ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

აქტივობა: ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) მოხმარების შესახებ მეწარმე სუბიექტების დატრენინგება.

შეუსრულებლობის მიზეზი/გამოწვევა: პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები, საკანონმდებლო ცვლილებები და სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს" საქმიანობის პრიორიტეტების ცვლილება. სააგენტოს მიერ ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) მოხმარების შესახებ მეწარმე სუბიექტებისთვის ტრენინგების განხორციელება დაგეგმილია 2022-2023 წლებში.

ამოცანა 3.5. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა

აქტივობა: მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ტრენინგების სტიმულირება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით**.**

შეუსრულებლობის მიზეზი/გამოწვევა: შეუსრულებლობის მიზეზს და ამასთან, გამოწვევას წარმოადგენდა პანდემია და პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები. კერძოდ, აღნიშნული განაპირობა, როგორც პანდემიის გამო დისტანციურმა მუშაობამ, ასევე ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, რამაც საანგარიშო წელს ტრენინგებზე მიწოდება და მოთხოვნა შეამცირა.

2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყებების მიერ შესაბამისი აქტივობების შესრულების პროგრესს 2021 წლის მდგომარეობით.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით და 2021 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული, შვიდივე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში გათვალისწინებული 94 აქტივობიდან 85 აქტივობა განხორციელდა სრულად, 6 აქტივობა შესრულდა მეტწილად, 1 აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ და 2 აქტივობა არ შესრულდა.

აღნიშნული ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

2022 წლის სამოქმედო გეგმა

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის ფარგლებში, ასევე, დამტკიცებული იქნა შემდგომი, 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმა, 7 პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, ითვალისწინებს 42 ამოცანას და 97 აქტივობას.